40
1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# ჯეჯილი

1
1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიცი, მნატრობდით, მელოდით

**სიმონ შამფრიანი**

აი, მოვედი, ბავშვებო,
ვიცი, მნატრობდით, მელოდით,
ფრთაგამოსხმული, ხალისით
მოვქროდი, მოვიმღეროდი.

მომყვა ფიფქების ლაშქარი,
თუმცა ფიფქები როდია,—
ცის ოქროს ყვავილებია,
თქვენს გასახარად მოდიან.

— რა მოგაქვს, წელო ახალო?—
შემეკითხებით, ცხადია.
— უპირველესად ყოვლისა
თქვენთვის მშვიდობა მწადია.

მომაქვს მზე—შავი ღრუბლების,
მრუმე ნისლების ლახვარი,
დედა სიცოცხლის, სიკეთის,
გარდ-უვალების მხატვარი.

— რას გვისურვებდი, გვთავაზა?—
შემეკითხებით ამასაც.
— მინდა, ყოველი ჩემი დღე
თქვენთვის გაბრწყინდეს ლამაზად.

მინდა: სულ მაღლა და მაღლა
გქონდეთ გაფრენის სურვილი,
ვეღარ მოიკლათ წამითაც
ცოდნის, მიების წყურვილი;

გამკობდეთ, გალამაზებდეთ
ნაღდი ოთხები, ხუთები,
შემოესიოთ მთა და ბარს,
როგორც მერცხლების გუნდები;

ზვრებში თუ პლანტაციებში,
ყველგან—სოფლად თუ ქალაქად,
იყოთ ხელგამომავალნი—
იმატოს ხვავმა, ბარაქამ!

იხარეთ ჩვენი მამულის
იმედად, საბედნიეროდ,
და თქვენი ნიჭის ნაშუქმა
დიად მერმისში იელვოს!

ამას გისურვებთ, კარგებო:
ვიცი, მნატრობდით, მელოდით.
თქვენთან შეხვედრის ხალისით
მოვქროდი, მოვიმღეროდი.

მხატვარი ი. სამსონაძე

15844





საქართველოს ალკკ ც.კ.-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
სამხატვრო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

პიონერი

1 იანვარი 1978

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



# ტბასთან

**ლ. სიდოროვსკი**

**ვ. ი. ლენინის გვერდით გატარებულ დღეებზე მოგვითხრობს პარტიის წევრი 1917 წლიდან ა. ნ. ემელიანოვი.**

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ემელიანოვი ემელიანოვის ქუჩაზე ცხოვრობს, ოდესღაც, მამამისის აშენებულ სახლში. ეს სახელი ქუჩას მამამისის პატივსაცემად ეწოდა. სახლის ფანჯრები სამ მხარეს გადის. ერთ-ერთი ფანჯრიდან მოჩანან ორიოდე ნაბიჯზე მდებარე სახელგანთქმულ ფარდულთან — მემორიალურ მუზეუმთან თავმოყრილი ტურისტები.

ვსხედვართ სუფთა ოთახში, იატაკზე ფერადი ფეხსაფენებია დაგებული, წითელ კუთხეში ნიკოლოზ ალექსანდრეს ძისა და ნადეჟდა კონდრატეს ასულის პორტრეტებია. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მოგვითხრობს შორეულ წლებზე, იგონებს მამას — სესტრორეცკის იარაღის ქარხნის შთამომავლობითს მუშას, ბოლშევიკს 1904 წლიდან.

1917 წლის დამდეგს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე იატაკქვეშა ბოლშევიკურ უჯრედში შედიოდა. თებერვლის ამბების შემდეგ მუშებმა პეტროგრადის საბჭოში აირჩიეს. 3 აპრილს, თანამოაზრეებთან ერთად, იგი ბელოოსტროვის სადგურზე შეხვდა ემიგრაციიდან დაბრუნებულ ვ. ი. ლენინს. იქვე იყო 13 წლის ალექსანდრე ემელიანოვიც, რომელიც მანამდე ერთი თვით ადრე გახდა კომუნისტი და წითელგვარდიელი. ალექსანდრემ იმ საღამოს პირველად ნახა ვლადიმერ ილიას ძე.

მეორე შეხვედრა 4 ივლისს მოხდა, როცა მამასთან და ძმასთან, კონდრატესთან ერთად ალექსანდრე უსმენდა რევოლუციონერი კრონშტადტელების წინაშე კსეშინსკის აივანზე გამოსულ ბელადს. ლენინი მიესალმა დემონსტრანტებს პეტროგრადის მუშების სახელით, გამოთქვა რწმენა, რომ ლოზუნგმა „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!" უნდა „გაიმარჯვოს და გაიმარჯვებს კიდეც" მიუხედავად ისტორიული გზის ყველა ზიგზაგისა" და მოუწოდა მათ სიმტკიცისაკენ, სიფხიზლისაკენ.

10 ივლისს კი დაიწყო მესამე, მთავარი შეხვედრა ლენინთან, რომელიც მთელი ერთი თვე გაგრძელდა.

მატარებელი სადგურ რაზლივში 10 ივლისს, განთიადისას ჩავიდა. ემელიანოვები იმ ზაფხულს სახლს არენდებდნენ და იქვე გვერდით, ფიცრულ ფარდულში ცხოვრობდნენ. შვილებს სხვენზე ეძინათ, როცა კარმა გაიჭრიალა. პირველად საშას გაეღვიძა. ძირს ჩაიხედა. დაინახა მამა და მასთან ერთად პალტოიანი და კეპიანი უცნობი, უწვერულვაშო კაცი. მაგრამ, როგორც კი უცნობმა დაილაპარაკა, საშამ მყისვე იცნო ის. ვლადიმერ ილიას ძე დედას მიმართავდა:

— ნადეჟდა კონდრატიევნა, დაბეჯითებით გთხოვთ: ჩემს შესახებ არც ერთი სიტყვა არ წამოგცდეთ, აბსოლუტურად არავისთან. ნურც ლაპარაკში დამიცავთ, ნურც იდავებთ ჩემს თაობაზე.

დედამ დაარწმუნა სტუმარი, რომ ემელიანოვებმა იციან საიდუმლოს შენახვა: ბარე ორი დავალება შეუსრულებიათ და არც ერთხელ არ ჩაფლავებულან.

საშამ მეტი ვეღარ მოითმინა და ძირს ჩავიდა, ძმებიც თან მიჰყვნენ.

— დიდი ოჯახი გქონიათ, — გაიღიმა ვლადიმერ ილიას ძემ. — გამაცანით.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძემ რიგ-რიგობით წარუდგინა შვილები.

— შვიდნი მყვანან. უფროსს — ალექსანდრეს — უკვე სამი წლის მუშაობის სტაჟი აქვს. ბოლშევიკია. ჩემი პირველი თანაშემწეა. სერგეი თოთხმეტი წლისაა. ჯერჯერობით დედამისს ეხმარება, მაგრამ ესეც ჩემი გზით ივლის, ზეინკალ-მექანიკოსი გახდება. ნიკოლოზს ცამეტი წელი შეუსრულდა ცქვიტი, საზრიანი ყმაწვილია. ანატოლი ათისაა, ლევი — ექვსისა. აგერ, აკვანში კი გოშას, ანუ გიორგის სძინავს. ორწლინახევრისა ხდება.

— აქ ექვსია. მეშვიდე სადღაა? — დაინტერესდა სტუმარი. — სად დასეირნობს ამ უდროო დროს?

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძემ წუხილი ვერ დაფარა:

— უფროსობით მეორე — კონდრატეა. მეთვრამეტე წელში გადადგა, კომერციულ სასწავლებელში სწავლობს მის ირგვლივ ვაჭართა შვილები ირევიან და კონდრატეს ცოტა თავში აქვს ავარდნილი. არავითარ ძალაუფლებას, მამის უფლებასაც კი, არა სცნობს. აი ახლაც დურნოვოს აგარაკზე სეირნობს მაგრამ არა უშავს, თანდათანობით დავამუშავებ, ჩვენი ჯიშისა დადგება.

ვლადიმერ ილიას ძის თვალებში მხიარული ნაპერწკლები გაკრთა.

— დიდად საინტერესოა. როგორც კი დაბრუნდება კონდრატე, ჩემთან შემოგზავნეთ. ვფიქრობ, საერთო ენას ვიპოვით.

დილით სტუმარმა და კონდრატემ

გულახდილად ისაუბრეს. ორივეს მოეწონა ერთმანეთი.

— ჩვენს შეხედულებებს შორის ერთგვარი განსხვავება ჯერ კიდევ არის, — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ, — მაგრამ ეს დროებითი ამბავია, იგი ტიპიური ემელიანოვი იქნება.

სხვენზე პატარა მაგიდა და ორი სკამი დადგეს. პირველსავე დღეს ლენინმა იქ დაწერა სტატია-თეზისები „პოლიტიკური მდგომარეობა", შემდეგ წერილები გაზეთების „ნოვაია ჟიზნის" და „პროლეტარსკოე დელოს" რედაქციებისათვის. მაგრამ იმისათვის, რომ ემუშავნა, პარტიის საქმიანობა რომ წარემართა, იგი ყველა ამბის კურსში უნდა ყოფილიყო, ამიტომ იმ დილასვე ვლადიმერ ილიას ძემ ემელიანოვს სთხოვა:

— მე აბსოლუტურად ყველა გაზეთი მჭირდება. სადგურში ჰყიდიან ალბათ, არა? თქვენ ჩვეულებრივ რამდენს ყიდულობთ ხოლმე, ნიკოლაი ალექსანდროვიჩ?

— ორს.

— მაშ ახლაც ორი იყიდეთ, რომ ეჭვი არ აიღონ. უფროსმა შვილებმაც (რომლებსაც ამაზე უკვე მოვეთათბირე) ორ-ორზე მეტი არ იყიდონ.

გაზეთებით მომარაგების საქმე მოაგვარეს. ვლადიმერ ილიას ძე დაძაბული მუშაობდა, ამასთან კონსპირაციის ყველაზე მკაცრ ზომებს იცავდა. სხვენიდან მხოლოდ დილის ჩაიზე, სადილად და სავახშმოდ ჩამოდიოდა, თანაც ცდილობდა ისეთ ადგილას დამჯდარიყო, რომ ვერავის დაენახა ფანჯრიდან. ბაღში სასეირნოდ მხოლოდ დაბინდების შემდეგ გადიოდა.

მაგრამ ვითარება თანდათან შემაშფოთებელი ხდებოდა. გარშემო მჭიდროდ ცხოვრობდნენ მეაგარაკენი — უპირატესად წვრილბურჟუაზიული საზოგადოება. შესაძლო იყო, ემელიანოვებისას უცხო კაცის ყოფნა შეემჩნიათ და ხელისუფლებასთან დაესმინათ. თანაც ერთ ღამეს საშიში ამბავი მოიტანა: სესტრორეცკის ქარხანაში შტაბს-კაპიტან გვოზდევის მეთაურობით დამსჯელი რაზმი მოვიდა და წითელგვარდიელებს იარაღს ართმევენო. დაიწყო საყოველთაო ჩხრეკა და დაპატიმრებები. რადგან ალექსანდრეც წითელგვარდიელი იყო, ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი დამსჯელთა თავდასხმა.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძემ სასწრაფოდ აცნობა ცენტრალურ კომიტეტს, რომ განზრახული ჰქონდა ვლადიმერ ილიას ძე ფინელი მთიბავის სახით დაემალა ტბის გაღმა ნაპირას. ეს გეგმა მოიწონეს.

— და აი, — ალექსანდრე ნიკოლოზის ძე წამოდგა, — რამდენიმე დღის შემდეგ, შუაღამისას, როცა მთელი დასახლება ძილს მიეცა, ჩვენ ჩუმად გამოვედით სახლიდან და აგერ, ამ ბილიკით წყლისკენ დავეშვით.

ჩემს თანამოსაუბრეს სახლის კიბიდან თხუთმეტი-ოცი ნაბიჯით დაშორებული გუბურისაკენ მივყავარ და იქ, ნაპირთან განაგრძობს თხრობას: ჩასხდნენ ორ ნავში (პირველში — მამა, ვლადიმერ ილიას ძე და თვითონ ალექსანდრე, მეორეში — კონდრატე, სერიოჟა და კოლია) და წყლის ტოტით ტბისკენ გასცურეს.

მშვიდობიანად მიაღწიეს შეგულვებულ ადგილს. ლენინს მოეწონა ახალი საცხოვრებელი. კარავში თივა დააგეს. ალექსანდრემ იქვე ახლოს ცეცხლი დაანთო და სერგეის დაჭერილი თევზისაგან სუპი მოხარშეს. ვლადიმერ ილიას ძე ცეცხლის პირას გულაღმა წამოწვა და ხმადაბლა თქვა:

— აი კვლავ ვოლგისა და ბავშვობის სურნელი ვიგრძენი. კარგია ჩვენი მიწა-წყალი...

— ...და ბარაქიანიც, მაგრამ წესრიგი არ არის ამ მიწა-წყალზე, — დასძინა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძემ.

— დავამყარებთ წესრიგს! ორი-სამი თვის მერე.

— მოვასწრებთ კი? — დაეჭვდა ემელიანოვი, — ისინი გვირტყამენ და გვირტყამენ, ჩვენ კი ხურდასაც ვერ ვუბრუნებთ.

— თქვენ, ალბათ, შტაბს-კაპიტან გვოზდევის ტიპის დამსჯელები გყავთ მხედველობაში. მინდოდა დამეზუსტებინა მისი ექსპედიციის წარმატებები. საშა, თქვენი ათეულიდან რამდენი დამშვიდობა სახაზინო შაშხანებს?

— სამი. ძველი ბერდანები წაიღეს. მომავალ კვირას ახლებს მოვუხერხებთ

— მოდით არითმეტიკა მოვიშველიოთ. საშას ათეულში განიარაღებული აღმოჩნდა ერთი მესამედი. დავამრგვალოთ ნახევრამდე. თუ ვერწმუნებით ესერულ გაზეთ „რევოლუციონნი ნაროდის" ცნობას, სესტრორეცკის წითელ გვარდიაში შვიდასამდე კაცია. კოლია, აბა გაყავით შვიდასი ორ ნაწილად, რამდენს მივიღებთ?

— სამას ორმოცდაათს.

— საქსებით სწორია. სამას ორმოცდაათმა კაცმა შეინარჩუნა შაშხანა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ნიკოლაი ალექსანდროვიჩ, ეს ციფრი ახლო მომავალში გაიზრდება თუ არა ივლისამდელ დონემდე?

— გადააჭარბებს. ჩემი აზრით, გვოზდევის თავდასხმა მხოლოდ დააჩქარებს მუშების შესვლას წითელ გვარდიაში. ერთი თვის შემდეგ მისი რიგები ერთნახევარჯერ-ორჯერ გაიზრდება. ახლა ხალხი საყოველთაოდ შეიარაღდება, ვინაიდან სხვაგვარად არ გვეცხოვრება. ან ჩვენ, ან ისინი.

— კარგი ნათქვამია: „ახლა ხალხი საყოველთაოდ შეიარაღდება, სხვაგვარად არ გვეცხოვრება". საყოველთაოდ შეიარაღებული ხალხი სოციალისტური რევოლუციის საფუძველთა საფუძველია. ეს მზა პოლიტიკური თეზისია მიმდინარე მომენტისათვის...

ილიჩს განსაკუთრებით კოლია ეხმარებოდა. ის ყოველთვის მის ახლოს იყო და ზუსტად ასრულებდა დამზვერავით სამსახურს: სათიბის ახლომახლო ვინმე უცნობი თუ გამოჩნდებოდა, პირობით ნიშანს აძლევდა. ვლადიმერ ილიას ძე მაშინვე თივის მოგროვებას იწყებდა ან ტირიფნარში შედიოდა. კოლია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ლენინი მშვიდად ყოფილიყო, როცა იგი „მწვანე კაბინეტად" წოდებულ მყუდრო მინდორში მუშაობდა... მაგრამ აი, დგებოდა შესვენების საათები და ორივენი სოკოზე ან ტბაზე მიდიოდნენ.

უფროსი ძმები აქ დროგამოშვებით მოდიოდნენ, გაზეთები ან ცხელი საჭმელი მოჰქონდათ (როცა ავდარი იყო და ნადეჟდა კონდრატეს ასულს თვითონ არ შეეძლო საჭმლის მოტანა). მოჰყავდათ ლენინთან პარტიის ხელმძღვანელი მუშაკები. ცენტრალური კომიტეტის წარმოგზავნილები დიდი სიფრთხილით გადმოდიოდნენ ტბაზე. ისინი ჯერ რაზლივში, ემელიანოვის სახლში უნდა მისულიყვნენ, და როგორც კი დათქმულ პაროლს შეამოწმებდნენ, ნადეჟდა კონდრატეს ასული ალექსანდრეს ან კონდრატეს დაუძახებდა. წარმოგზავნილები ჩვეულებრივ უკანასკნელი მატარებლით, ღამის სამ საათზე ჩამოდიოდნენ, ამიტომ დედას შვილების გაღვიძება უხდებოდა. მაგრამ ისინი უმალვე გამოფხიზლდებოდნენ ხოლმე და ერთ-ერთი მათგანი კვლავ გაუდგებოდა ტბის გზას. სვერდლოვიც მიიყვანეს ლენინთან, ძერჟინსკიც, ორჯონიკიძეც, შოტმანიც, რახიაც, ფოტოგრაფი ლეშჩენკოც, რომელმაც გადაიღო გრიმირებული ილიჩის სურათი კონსპირაციული მოწმობისათვის.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ხან ერთ წვრილმანს იხსენებს, ხან მეორეს.

ერთხელ, გაზეთის კითხვისას, ლენინს გაეცინა:

— აგერ წერენ, რომ მე ჯაშუში ვარ, ფინეთში გავიქეცი, ნავით გადავედი კრონშტადტში, იქიდან კი წყალქვეშა ნავით — გერმანიაში... რას ერჩი, არის სიმართლის ნატამალი ამაში, ჩვენ ხომ მართლაც ნავით გადმოვედით ტბაზე...

ვლადიმერ ილიას ძე ყველაზე მეტ დროს „მწვანე კაბინეტში" ატარებდა. იქ შეადგინა რეზოლუციის პროექტები რსდმპ (ბ) VI ყრილობის ყველა ძირითად საკითხზე, დაწერა ბროშურა „ლოზუნგებისათვის" და რამდენიმე სტატია, იქ დაიწყო მუშაობა წიგნზე „სახელმწიფო და რევოლუცია".

აგვისტოში თიბვა დამთავრდა. გახშირდა წვიმები, ჰაერი ნესტით გაიჟღინთა, აცივდა. მთიბავის სახით დამალვა სულ უფრო და უფრო ძნელი შეიქნა. ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, ლენინი ფინეთში, ჰელსინგფორსში დაემა-

ლა. მომზადდა საბუთები სესტრორეცკელი მუშის კონსტანტინე პეტრეს ძე ივანოვის სახელზე. 8 აგვისტოს საღამოს ვლადიმერ ილიას ძემ ემელიანოვის, რახიას და შოტმანის თანხლებით დატოვა კარავი, ბიჭებს გამოემშვიდობა და ბილიკს გაუყვა. საშამ, კონდრატემ, კოლიამ და სერგეიმ კი ყველაფერი მიალაგ-მოალაგეს, ცეცხლი ჩააქრეს, ნავში ჩასხდნენ და თვითონაც დატოვეს სტუმართმოყვარე ნაპირი.

დადგა 25 ოქტომბერი, და ალექსანდრე ემელიანოვმა კვლავ ნახა ვლადიმერ ილიას ძე — მათი წითელგვარდიული რაზმი იმ ღამეს სმოლნს იცავდა. ლენინი სწრაფად მიაბიჯებდა დერეფანში. საშამაც გაიგონა იმ დღეს ბელადის სიტყვები, რომ ,,მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობაზეც მუდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, მოხდა!‘‘

შემდგომ კი ალექსანდრე ემელიანოვი შაშხანით ხელში იცავდა რევოლუციას. თეთრფინელებსაც ებრძოდა, კოლჩაკსაც, დენიკინსაც. კონდრატეც, რომელმაც სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა და კომუნისტი გახდა, მონაწილეობდა სამოქალაქო ბრძოლებში. სერგეიმ პერეკოპთან დასდო თავი 1920 წელს. ანატოლი და გიორგი გმირულად დაიღუპნენ დიდ სამამულო ომში. მათ ოჯახში შვიდი ძმიდან ორია დარჩენილი. ლევ ნიკოლოზის ძეც კომუნისტია,, პერსონალური პენსიონერი. მოსკოვში ცხოვრობს.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე პროლეტარული რევოლუციის წინაშე დამსახურებისათვის ლენინის ორდენით იყო დაჯილდოებული, ნადეჟდა კონდრატეს ასული — შრომის წითელი დროშის ორდენით. მათ ცხოვრების დიდი გზა განვლეს და დაკრძალული არიან თავიანთი სახლის გვერდით.

ის ფიცრული ფარდული მემორიალურ მუზეუმად გადაიქცა. ირგვლივ მინისა და ლითონის დამცავი პავილიონი აკრავს. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მიჩვენებს მაგიდას, სკამებს, სამოვარს, ნავთის ლამპას და სხვა საგნებს, რომლებიც მაშინ, ცხრაასჩვიდმეტში, იმავე ადგილას იდგნენ, სადაც ამჟამად დგანან. თვით ის ხის კიბეც კი შემონახულია, რომლითაც ლენინი სამზარეულოდან სხვენში ადიოდა.

მე და მასპინძელი მეორე მემორიალურ მუზეუმში — ,,კარავში‘‘ მივდივართ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე უახლოვდება ნავს, რითაც ივლისის ღამეს მასა და მამამისს ლენინი გადაჰყავდათ ტბაზე. თოვლისფრად თმაგათეთრებული კაცი ფრთხილად ეხება ნავის კიდეს და ასე მგონია, თვალები ახალგაზრდული შუქით ენთება. მგონია კი არა, ეს მართლაც ასეა.

თარგმნა ს. ბეჩოელმა.
მხატვარი დ. ზარაფიშვილი.



# თავისთავად იგულისხმება

სიტყვამ შეიძლება დაიგვიანოს — დიდი ხნით თუ არა, წამიერად შეიძლება სულაც გადაგივარდეს გულიდან. აკი ხდება ხოლმე ასე — სათქმელი გაქვს, რომ არ თქვა არ შეგიძლია, სიტყვისათვის კი ვერ მიგიგნია. რა იქნა, სად გაქრა ასე თვალსა და ხელს შუა?..

მიზეზებს ვინ მოთვლის!..

ერთისას კი მეც გეტყვით, რასაც თვითონ დავკვირვებივარ: უფროსებს ხშირად მოგონებებში ეკარგებათ სიტყვები. მოგონებები ხსოვნაში ცოცხლობენ და რაც უფრო შორეულია და ღრმა მოგონება, მით უფრო ძნელია იქ მარგალიტივით გაბნეული სიტყვების პოვნა.

ზაირა მასწავლებელსაც ასე დაემართა. მე ვკითხე — პროფესია როგორ აირჩიეთ, მასწავლებელი როგორ გახდით-მეთქი? ზოგი იფიქრებდა, ამ ახალგაზრდა ქალს სულ რაღაც გუშინდელ ამბავს ეკითხებიანო, იმას კი ბავშვობა გაახსენდა, თავისი მოწაფეობის წლები, და ჩვენ მოგონებების მშვენიერ ქვეყანაში აღმოვჩნდით. სიტყვები ნელ-ნელა იბადებოდნენ და ფერები ემატებოდა ბავშვობის სამახსოვრო დღეებს.

ისე, გულახდილად რომ ვთქვათ, ცოტა უცნაური გოგონა კია პატარა ზაირა ივანელაშვილი. მარტოსულია და ტოლებს არ გაეკარებაო — ვერ იტყვი, უფრო პირიქითაც არის — მათთან ყოფნას, ალბათ, არაფერი ურჩევნია, მაგრამ ხშირად გარინდებაც იცის. ასეთ დროს დიდ ქალსა ჰგავს, ცხოვრების ავ-კარგზე ჩაფიქრებულს. შეიკრავს წარბებს, შემოიდგამს შუბლზე ხელს და აიკვიატებს ფიქრს, თუნდაც: ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ,,ზაირა‘‘?

აჰ, თქვენ ამბობთ...

არა, არ უნდა მზამზარეული პასუხი, თვითონვე მოძებნის წიგნს, საკუთარი თვალით ნახავს და დარწმუნდება, რასაც თქვენ ამბობთ, იმაში — ,,ზაირა‘‘ ყვავილია, ყვავილსა ნიშნავს. იმასაც მეტი კი არ უნდა! მარტო ერთ სიტყვაზე ოცნების კოშკებს ააშენებს, და შეიყვარებს, უფრო მეტად შეიყვარებს ამიერიდან ყვავილებს, როგორც თავის პატარა დობილებს. ასეა, სხვისთვის რომ ცოტაა, მისთვის მთელი ამბავია, ერთმა სიტყვამაც გაუხსნა, სხვანაირი დაანახვა ქვეყანა, სადაც თურმე განუყრელები არიან ადამიანები და ყვავილები, აქამდე კი არ იცოდა, არ დაკვირვებია, არ ჩაძიებია.

ასეთ ბავშვზე მასწავლებლები ამბობენ — მგრძნობიარეაო, ემოციური. ხანდახან უცნაური სიტყვების თქმა იციან მასწავლებლებმა, მაგრამ ყოველთვის დინჯი და აწონილ-დაწონილი ლაპარაკი კი უყვართ. ზაირას პირველი მასწავლებელიც ასეთია — ელენე ნაცვლიშვილი. ის რომ რამეს იტყვის, დასტური

* ზაირა ივანელაშვილი პიონერებთან ნ. სუხიაშვილთან და ნ. ჩერქეზიშვილთან ერთად.

აღარ უნდა. მარტო წერა-კითხვას ხომ არა, იგი ცხოვრების პირველ ანა-ბანას ასწავლის ზაირასა და მის თანატოლებს. უფრო მეტი სასწაული რაღა იქნება!

ჰოდა, ამ სასწაულის ფასი იმთავითვე იცის ზაირამ. გადაჭარბებული ნუკი გეგონებათ. არიან ბავშვები, რომლებსაც ნამდვილად შესწევთ უნარი, დააფასონ სხვისი შრომა — დედა იქნება იგი თუ მასწავლებელი, უფროსი მეგობარი თუ სულაც უცხო ადამიანი. და როცა ასეა, რა გასაკვირია, რომ მათ სიყვარულიც უფრო ღრმა და უფრო ერთგული შეუძლიათ. ზაირას სიყვარულიც ერთგულებად და მოვალეობად იქცა. იმ სიყვარულზე ვამბობ, რომლითაც მას თავისი პირველი მასწავლებელი უყვარდა და უყვარს. როცა გაიზარდა, რა თქმა უნდა, გაიგო, რომ ქვეყნად მრავალი საინტერესო საქმე და პროფესია არსებობს, მაგრამ ასე ეგონა, სხვა საქმეს რომ დადგომოდა, თავისი პირველი მასწავლებლის სიყვარულს უღალატებდა. სიყვარულს კი, მოგეხსენებათ, ისე არაფერი ამშვენებს, როგორც ერთგულება.

...მეექვსე წელია ზაირა ივანელაშვილი ინგლისურ ენას ასწავლის საგარეჯოს მე-3 საშუალო სკოლაში. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ გეტყვით, რომ არც ინგლისურის მასწავლებლობა ყოფილა მისთვის შემთხვევითი. მთავარი მიზეზი აქაც მასწავლებლის მაგალითი იყო. ინგლისურ ენას ზაირას საგარეჯოს მე-2 საშუალო სკოლაში თინა მაჭავარიანი ასწავლიდა. სულ სხვა გატაცებით იცოდა საუბარი თინა მასწავლებელმა, ერთი გაკვეთილი არასოდეს ჰგავდა მეორეს, თემა და სათქმელი თავის აღსაზრდელებთან დიალოგში ხშირად ისე მოულოდნელად იბადებოდა ხოლმე, როგორც ლექსებს ქმნიან პოეტები. გაკვეთილებზე კი არა, ასეთ ადამიანთან მერეც არ გინდა დაშორება.

საქმემ და საზრუნავმა საბოლოოდ დაამეგობრა ისინი.

ზ ა ი რ ა  ი ვ ა ნ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: — ზოგჯერ, როცა არ ხერხდება რჩევა და დარიგება ვთხოვო ვინმეს, მე წარმოვიდგენ, როგორ მოიქცეოდა თინა მასწავლებელი ასეთ დროს და გამოსავალსაც ვპოულობ ხოლმე.

რაკი ნამდვილ ამბავს ვყვებით, თავის თავს მაინც იცნობს და ახლა სახელის შეცვლას აზრი არა აქვს. ბესოს თავგადასავალი უნდა გავიხსენო. ბესო მერვეკლასელი ბიჭია. ამ კლასს კი ზაირა ივანელაშვილი ხელმძღვანელობს. არავინ იცოდა, რატომ და საიდან, უცბად ბიჭმა გული აიცრუა სწავლაზე და სკოლაში აღარ დადიოდა. რა არ უთხრეს, რა ზომებს არ მიმართეს, ის მაინც თავისას არ იშლიდა. რადგან აღარ მეშვებითო, იფიქრა, მე ასე ვიზამ, გაკვეთილებს ხან დავესწრები და ხან არაო. აბა ასეთი საქციელი რა ხეირს დააყრიდა მოსწავლეს. ჩავარდა საგონებელში ზაირა მასწავლებელი. ლამის იყო მოთმინებიდან გამოეყვანა ამ გაუგებარ სიჯიუტეს. ასეთ დროს ისევ თავისი თინა მასწავლებლის მაგალითი დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ — ერთ დღეს, ერთი შემთხვევაც კი ვერ გაიხსენა, რომ მის მასწავლებელს გულმოსულობის გამო წონასწორობა დაეკარგოს და ცუდი რამ ეკადრებინოს თავისი აღსაზრდელისათვის.

ისევ გულახდილი საუბარი ამჯობინა მასწავლებელმა ბესოსთან. ის კი არა, სთხოვა, შენი იმედი მაქვს და გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველკვირეული აღრიცხვა უნდა შეიძლოო. ვინ იფიქრებდა, თუ ბესო ასე შეიცვლიდა საქციელს და ისიც ასე მალე. ის დღეა და ის დღე, გაკვეთილი აღარ გაუცდენია. თუმცა აქ დიდად საოცარიც არაფერია — მერვეკლასელმა ბიჭმა დიახაც უნდა იცოდეს ნდობის დაფასება და გამართლება. ამ ცოტა ხნის წინ, თურმე, ზაირა მასწავლებლისთვის ხუმრობით უთქვამს — ერთი სული მაქვს კლასის კრება როდის იქნება, ამხანაგები სულ რომ მსაყვედურობდნენ, იქნებ ახლა მაინც გამოიმეტონ თბილი სიტყვაო. კარგია, როცა თანატოლები ერთმანეთის აზრს პატივს სცემენ. ესეც ცნობილია — კარგი კლასი იქ არის, სადაც ნამდვილი მეგობრობა იციან, მეგობრობის სათავე კი საერთო საქმეა და ერთად გაზიარებული ლხინი თუ გასაჭირი. ზაირა ივანელაშვილს თუ ჰკითხავთ, შეიტყობთ, რომ ბევრ სიკეთეს, რითაც მისი პიროვნული ღირსება ფასობს, იგი თავის თანაკლასელებსა და თანატოლებს უმადლის. იმიტომაც გულწრფელად უკვირს, როცა ზოგიერთ მოსწავლეს ერთი სული აქვს, გაკვეთილები დამთავრდება თუ არა, ჩანთას წამოავლოს ხელი და სახლს მიაშუროს, ნურც პიონერული რაზმის შეკრებას უხსენებ და ნურც კომკავშირის კრებას, ნურც ლაშქრობას და ნურც დისპუტის საღამოს. ზოგისთვის, პირიქით, ოღონდ კრებაზე სიტყვით გამოვიდეს, ოღონდ დისპუტზე ყველაზე მეტი ილაპარაკოს და მეტი არაფერი უნდა. იმას კი არ დაგიდევს, რიგიანად იქცევა თუ არა, მთავარია, ხალხს თვალში ხვდებოდეს მისი საქციელი. ზაირა მასწავლებელს თავისი მოწაფეობის წლებიდან სწამს მტკიცედ და საბოლოოდ: იმისთვის, ვინც ჭეშმარიტი მეგობრობა იცის, პიონერული რაზმის შეკრება თუ კომკავშირული კრება ისევე სავალდებულოა, როგორც გაკვეთილი. ვისაც თანატოლებისა და კოლექტივის ბედი აღელვებს, მისთვის ასეთი შეკრება თავის მოსაწონებელი ასპარეზი კი არა, საქმეა და გულწრფელი საზრუნავი. სხვა რომ არა იყოს რა, აქ, ამ შეკრებებსა და შეხვედრებზე საკუთარ თავსაც უკეთ გაიცნობ და დააფასებ, უკეთ გაარკვევ — რა გიჭირს და რა გილხინს. ხოლო ვინც საკუთარი თავის ფასი იცის, მას სხვისი ცნობაც უკეთ შეუძლია. აქედან იწყება ის, რასაც პირადულისა და საზოგადოებრივის შეხამება ჰქვია, და ის, რის გარეშეც არ შეიძლება ადამიანი სრულყოფილ სიხარულსა და ბედნიერებას განიცდიდეს.

იხსენებს ზაირა მასწავლებელი თავისი მოწაფეობის წლებს და, თითქოს საკუთარ ფიქრებს ეხმიანებაო, ისე წყნარად და ისე გულწრფელად ამბობს, რომ ბევრი ახალი მის ცხოვრებაში დაიწყო იმ სამახსოვრო დღეებში, როცა ტოლებმა ჯერ ოქტომბრელთა ვარსკვლავის ხელმძღვანელობა ანდეს, ხოლო შემდეგ პიონერული რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

რაც უფრო მეტი გაქვს საქმე, მით უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ ადამიანი და პასუხისმგებლობის ეს გრძნობა უფრო გამაღლებს ხალხის თვალშიც და საკუთარი თავის წინაშეც.

მე ზაირა ივანელაშვილი იმ დღეს ვნახე, როცა საგარეჯოში კომკავშირელთა რაიონული კონფერენცია გაიმართა. აქ, სადაც იგი საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატად აირჩიეს. ახალგაზრდა პედაგოგთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს მორიგ სხდომაზე მიეჩქარებოდა. თუ სხვა დროსაც შევხვედრივარ მას — გაკვეთილების, პიონერული თუ კომკავშირული შეკრებების შემდეგ. მოწყენილიც შემხვედრია და გახარებულიც, მაგრამ არასდროს მინახავს გულგრილი და ხელჩაქნეული. მას ყოველთვის შეუძლია გატაცებით და მღელვარებით ილაპარაკოს თავის საქმეზე, თავის სკოლასა და აღსაზრდელებზე. მის საქმესა და სიტყვაში მუდამ არის რაღაც ლამაზი, რაც მარტო სიხარულს კი არა, დაღლილობასაც შვენის.

საიდან მოდის ეს სილამაზე?

ბავშვობიდან, სკოლის წლებიდან, როცა მან პირველად იგრძნო თავისი მომავალი პროფესიის სიყვარული, რაც არასოდეს განელებია. დანარჩენი თავისთავად იგულისხმება.

„თუ ადამიანს თავისი შრომა უყვარს, იგი ესწრაფვის, რომ თვით შრომის პროცესში, მის შედეგებში იყოს რაღაც ლამაზი“ — ამბობდა დიდი პედაგოგი.

და კიდევ: სადაც სიყვარული სუფევს, იქ მარად ყვავიან ყვავილები, რომლებსაც სიყმაწვილის სურნელი ახლავთ...

თ. მეტრეველი.

ფოტო ვ. ბორისენკოსი.



**ნუგზარ აფხაზავა**

მხატვარი ი. სამსონაძე

ფანტასტიკური მოთხრობა



1

ვიდრე ამბავს დავიწყებდე, მოდით, ერთ კითხვაზე მიპასუხეთ: ოდესმე თუ ყოფილხართ თბილისში, პლანეტა დედამიწის ამ ერთ-ერთ უძველეს, მაგრამ ჭაბუკის ღიმილივით ლაღსა და მარად გაუხუნარ უმშვენიერეს ქალაქში?... მაშ, ყოფილხართ. კეთილი და პატიოსანი. ჰოდა, თუკი ასეა, უთუოდ მამადავითსაც მოინახულებდით, მთაწმინდის პლატოდან გადმოხედავდით მტკვრის ხეობაში ჩახატულ თვალწარმტაც პანორამას, ა?.. აჰა, თავისთავად იგულისხმება, ხომ?! ესეც კარგი და მთლად უკეთესი. ახლა ეგ მიბრძანეთ, რა გზით ახვედით და ჩამოხვედით? მესმის, გასაგებია: ზევით — მამაპაპური ტრამვაით, ქვევით — ასევე მამაპაპური საბაგირო გონდოლით... რატომ გეკითხებით? აი, რატომ: თქვენს თბილისელ მასპინძელს მანქანით რომ აეყვანეთ (ასევე მამაპაპური მანქანით), მას შეეძლო ერთი უცნაური ფენომენით გაეკვირვებინეთ. რით? ახლავე მოგახსენებთ. პლატოსაკენ მიმავალი გზა ჯერ ერთთავად აღმართში მიდის, შემდეგ გაივაკებს, ბოლოს კი თავქვე ეშვება. და აი, სწორედ იმ დაღმართში, ფუნიკულიორის ზედა სადგურიდან ათასიოდე მეტრის დაშორებით მანქანა რომ გაგეჩერებინათ და ძრავა გამოგერთოთ, ის მანქანა არც აციებდა, არც აცხელებდა და უკუსვლით აღმა წამოვიდოდა. რა ბრძანეთ? არ გიკვირთ? ეე, ეს თქვენ არ გიკვირთ, თორემ იმ თბილისელებმა, ჩვენამდე 450 წლით ადრე რომ ცხოვრობდნენ და ათასნაირი ზღაპრის ასრულების მოწმენი იყვნენ, მთაწმინდის ფენომენის ასახსნელად უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო ჰიპოთეზა გამოიგონეს. დიახ, დიახ!...

თქვენ, ცხადია, გაინტერესებთ, თავად მე რისთვის დამჭირდა ყოველივე ამაზე ლაპარაკი, ხომ? რისთვის და — პარალელისათვის, მხოლოდ და მხოლოდ პარალელისათვის, ბატონო ჩემო.

ჩვენი გალაქტიკის უკიდურეს ჩრდილოეთში, ორი სექტორის შეხვედრის ხაზზე, ამ ხაზის ჩრდილო კუთხეში, სულ რაღაც ნახევარი ასტრონომიული ერთეულის ტოლი დიამეტრის წრეში ასიოდე წლის წინათ უცნაური გრავიტაციული მოვლენა შენიშნეს: ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მიმავალ ყოველ ხომალდზე, თუკი მისი სიჩქარე არ აღემატებოდა სინათლის სიჩქარის სამოცდაათ პროცენტს, მოქმედებდა სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული დამამუხრუჭებელი ძალა, ხომალდი სწრაფად კარგავდა სიჩქარეს, მერე საერთოდ ჩერდებოდა და ბოლოს უკან იწყებდა თანაბარაჩქარებულ მოძრაობას. ყველაზე საოცარი ის გახლდათ, რომ ეს უცნაური ძალა მხოლოდ სწორხაზოვნად მოქმედებდა, ხოლო ამ წარმოსახვითი ხაზის გასწვრივ, არც ჩრდილო-აღმოსავლეთით და არც სამხრეთ-დასავლეთით, არ არსებობდა რაიმე მნიშვნელოვანი ხილული თუ უხილავი ციური სხეული, რომელიც შეიძლებოდა ამ ფენომენის გამომწვევად მიგვეჩნია.

აღწერილი გრავიტაციული ანომალიის კვლევას უამრავი დრო და ენერგია შეეწირა, მაგრამ იგი ჯერაც ამოუხსნელია და იდუმალების ბურუსითაა მოცული. ამიტომ მასზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ და თუ გრავიტაციული ანომალია ვახსენე, მხოლოდ იმიტომ, რომ გალაქტიკის ერთ-ერთ განაპირა პლანეტაზე, რომელსაც აბორიგენები ცცანას ეძახიან, სწორედ ამ კოსმოსური იდუმალების კვლევის დროს მოვხვდი. ანომალიის ველში შესვლისას ჩემი ხომალდის სიჩქარის მრიცხველი სინათლის სიჩქარის სამოცდაცხრა პროცენტს უჩვენებდა. დაახლოებით ველის ცენტრში სიჩქარემ მკვეთრად იკლო, მალე ნულამდე დაეცა. ხომალდი უკან წამოვიდა, თანდათან აჩქარდა და... უცებ სექტორის დიამეტრულად მოპირდაპირე მხარეს აღმოვჩნდი, სწორედ ზემოხსენებული პლანეტა ცცანას თანამგზავრის ორბიტაზე.

ცცანას შესახებ ჩვენმა საზოგადოებამ მცირე რამ თუ იცის, რამეთუ იგი ნაკლებად შესწავლილია. ამ პლანეტაზე მაღალგანვითარებული ცივილიზაცია ცხოვრობს. იგი ასაკით ჩვენზე გაცილებით უფროსია და არც გასაკვირია, რომ ცცანელებმა მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრ დარგში საგრძნობლად გაგვისწრეს, თუმცა ზოგ საკითხში ჩვენი უპირატესობა ფრიად შთამაგონებლად გამოიყურება (ამას მარტო თანამემამულეთა გულის მოსაფხანად არ ვამბობ, ეს მართლაც ასეა!). განვითარების მეტად მაღალ საფეხურზეა ცცანური კიბერნეტიკა, მედიცინა და ბიოლოგიური ციკლის მეცნიერებანი, განსაკუთრებით შორს წასულან ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიაში — დიახ, **ადამიანის:** ჩვენ ხომ შევეჩ-

ვიეთ, ადამიანები ვუწოდოთ უცხოპლანეტელ გონიერ არსებებს, რომლებიც დედამიწელ ჰომო საპიენსს თუნდაც მიახლოებით ჰგვანან. მეც მხოლოდ ამ ტრადიციის საფუძველზე ვთქვი — „ადამიანის ანატომიაში“-მეთქი.

სხვათა შორის, ცცანელები გაცილებით უფრო მეტად განსხვავდებიან ჩვენგან, ვიდრე ჩემთვის ცნობილ სხვა პლანეტათა მცხოვრებლები: ყველაზე უჩვეულო მათ გარეგნობაში კუდი გახლავთ — რამდენადაც ვიცი, ჩვენი გალაქტიკის არც ერთ სისტემაში კუდიანი გონიერი არსება ჯერ არავის შეხვედრია. ცცანელის კუდს ადრინდელი ფუნქცია დაუკარგავს და ამჟამად, შეიძლება ითქვას, მესამე ფეხის მაგივრობას სწევს. სიარულისას თავისი „მესამე ფეხი“ ცცანელს აკეცილი აქვს (ლათინური V ასოს მსგავსად) და საყრდენად მხოლოდ მაშინ იყენებს, როცა ქუჩაში ნაცნობთან შეხვედრისას შეჩერდება ან რაიმეს საქმიანობს. ცცანელები არასოდეს არ სხდებიან; ჯერ ერთი, ჯდომა, ჩვენი გაგებით, არ შეუძლიათ (კუდის გამო), და მეორეც — არც სჭირდებათ, რადგან სხეულის სიმძიმე ფაქტიურად სამ კიდურზე ნაწილდება და კუნთები ნაკლებად ეღლებათ.

ორიგინალურია ცცანელების სახეც, თუმცა, არსებითად, იგი სავსებით ადამიანური გახლავთ: შუბლი ფართო და მაღალი აქვთ, პირის ჭრილი და ბაგეები — ფრიად მოხდენილი, ნიკაპი — პატარა და ენერგიული, ყურები — ზომიერი. აი, ცხვირის სილამაზისა კი რა მოგახსენოთ, ცხვირი პირდაპირ შუბლიდან ეწყებათ, თანაც ისე ერთბაშად და გამეტებით, რომ ჩვენებური სახელგანთქმული კავკასიური არწივისებური ცხვირი მონაგონია. თვალები ფეტვისფერი, ფეტვის მარცვლებივით წვრილი და ისე ახლო-ახლო ჩასმული აქვთ, გეგონებათ, რაღაც უჩინარი ზამბარა ექაჩება და შუაში ცხვირი რომ არ იყოს, ერთიმეორეს დათხრიანო. ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებს, რომ ყველა ცცანელი ელამია და მათი თვალების სხივები ცხვირის ქედიდან შორიახლო ჰკვეთენ ერთმანეთს. ეს კაუჭა ცხვირი და წვრილ-წვრილი თვალები ცცანელს ავი, დაუნდობელი და ცბიერი კაცის შეხედულებას აძლევს, მაგრამ საკმარისია ერთი გაღიმება და გაგაოცებთ უჩვეულო მეტამორფოზა: შუბლს ნათელი დაადგება, თვალები მთლად ჩაილულება და მიიმალება, ცხვირი თითქოს დაპატარავდება, ლოყები ოდნავ ამოიბურცება და მთელ სახეს ნეტარებისა და სიკეთის ვარდისფერი შუქი გადაეფინება. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ცცანელებმა იციან საკუთარი ღიმილის ძალა და, მადლობა ღმერთს, ამ ღიმილს ზოგი ჩვენებური ცხვირაწეული კაცივით არ იმადლებიან ხოლმე.

რაც ახლა მოგახსენეთ, ცცანაზე ჩემი ხანმოკლე ყოფნის შთაბეჭდილებებია და თუკი ერთბაშად მოგიყევით, მხოლოდ იმიტომ, რომ მთავარი ამბის მოთხრობისას საამისოდ აღარ მეცლება.

2

ცცანელები კოსმოსში ძალზე იშვიათად დაფრინავენ და ერთადერთი კოსმოდრომი, სადაც ჩემი ხომალდით დავეშვი, სავსებით ჰყოფნით სტუმრების მისაღებად. სამფეხა მასპინძლები გულღია ღიმილითა და მეგობრული სალამით შემხვდნენ. კოსმოდრომის უფროსმა, გოლიათური აღნაგობის ჭაღარა ცცანელმა ხელი გამომიწოდა და მითხრა:

— ეჭვიც არ მეპარება, რომ კეთილი და მშვიდობიანი მისიით მობრძანდით, ამიტომ თავს ნებას მივცემ, მოგესალმოთ ჩვენი მშვენიერი და სრულყოფილი პლანეტა ცცანას სახელით: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, უძვირფასესო და სანატრელო მეგობარო!

კოსმოდრომის უფროსის მაღალფარდოვანი ტონი ჯერ მეხამუშა, მაგრამ მერე, სხვა ცცანელები რომ გავიცანი, მივხვდი — მაღალფარდოვნება და გადაჭარბებული თავაზიანობა აბორიგენთა ხასიათის ერთ-ერთ თვისებას წარმოადგენდა. მართალია, ეს გაპრანჭული ლაპარაკი ოდნავ მაღიზიანებდა, მაგრამ არაფერს მიშავებდა, არც პურს მთხოვდა და არც წყალს, და ამიტომ ძალაუნებურად შევეჩვიე.

დედაქალაქში სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის აკუმობილით (აკუმულატორული ავტომანქანით) გავემგზავრე. განიერ ვაკეზე მივქროდით. გზის ორივე მხარეს, სწორკუთხა ფორმის, გულმოდგინედ დამუშავებულ ნაკვეთებზე ნაირგვარი მცენარეულობა ხარობდა. ზოგი მათგანი ჩვენებურ ხორბალს ჰგავდა, ზოგი — კარტოფილს, ერთხანს კომბოსტოსნაირი, ოღონდ ტანმაღალი ხეების პლანტაციას მივყვებოდით, მერე ვეებერთელა გვიმრების ხეივანში შევიჭერით. უცებ ჩამობნელდა კიდეც.

— ეს ყველაფერი კულტურული მცენარეულობაა? — ვკითხე შოფერს, რომელიც ოსტატურად ჰართავდა აკუმობილს და თავაზიანად დუმდა.

— რა თქმა უნდა! — მყისვე მომიგო მან, თითქოს ამ შეკითხვას უცდიდაო. — ჩვენს პლანეტაზე, უძვირფასესო სტუმარო, ვერ იპოვით ვერც ერთ ველურ მცენარეს, ვერც ერთ სარეველას. ჩვენი ფლორა იდეალურად რაფინირებული და სრულქმნილი გახლავთ.

მე ერთხანს უხმოდ ვათვალიერებდი უცხო მცენარეულობას, მერე ჩემი შოფრის ფასკუნჯისებურ პროფილს თვალი შევავლე და ვკითხე:

— ვინ არის თქვენი ინსტიტუტის დირექტორი?

შოფერმა თავი მოაბრუნა და გამიღიმა:

— შრო გრი გახლავთ მისი გვარი, უძვირფასესო სტუმარო.

ჩემი მეხსიერების სიღრმეში რომელიღაც სიმი შეირხა.

— როგორ თქვით? შრო გრი?

— დიახ, სანატრელო სტუმარო.

სიმი ისევ შეირხა, ახლა უფრო მძლავრად, და უცებ მომაგონდა.

— მოიცათ, ეს ის შრო გრი ხომ არ არის, რომელმაც რესტიტუციის* დარგში მიკროასოციაციის უკანასკნელი პრემია დაიმსახურა?

— დიახ, ბატონო, დიახ! ო, რაოდენ ბედნიერი ვარ, რომ თქვენი პატივცემული პიროვნება ასე კარგად იცნობს მამაჩემის ნაშრომებს, ძვირფასო სტუმარო!

— თქვენ მისი ვაჟი ხართ?

— დიახ, მისი ერთადერთი ვაჟი გახლავართ. ჩემი სახელია გრი ბრა.თქვენი მშვენიერი კეთილხმოვანი სახელი კი ჩემთვის ცნობილია: თქვენ უტა ფაზია ბრძანდებით.

ამ საუბრის დროს შეუმჩნევლად შევედით დედაქალაქში. პირველმავე ქუჩამ გამაოცა არნახული და უცნაური არქიტექტურით — შენობები ისეთნაირად იყო ერთმანეთზე მიჯრილი და ახორხლილი, გეგონებოდათ, მიწისძვრისაგან მილეწილ-მოლეწილი პიტალო კლდეებიაო. წარმოიდგინეთ რაღაც უჩვეულო უწესრიგობით შეტყუპებული პრიზმები და პირამიდები, ცილინდრები და სფეროები, ტეტრაედრები და ოქტაედრები, ურთიერთგადამკვეთი ელიფსოიდები და ორმაგი სპირალები, ამას დაუმატეთ იგავმიუწვდომლად კონტრასტული ფერების ქაოსური გამა და იქნებ შეძლოთ და დაინახოთ ის ფანტასტიკური სურათი, რომლის სიტყვიერი აღწერაც შეუძლებელია.

---

* რესტიტუცია — სხეულის ერთი ნაწილისაგან მთელი ორგანიზმის აღდგენა.

— თქვენი დახვეწილი და გემოვნებიანი მზერა ალბათ ქალაქის არქიტექტურულმა დისჰარმონიამ ფრიად გააოცა. ასე არ არის, უძვირფასესო სტუმარო?

მე მხრები ავიჩეჩე:

— მართალია. და ამის გამოცნობა ძნელი არ არის, — ვუპასუხე. — ერთი მხრით ბუნების პირად საქმეში ჩარეულხართ და უმაღლესი წესრიგი დაგიმყარებიათ. — შოფერმა თავი დააქნია. — ამ დალოცვილ მიწაზე ერთ ღერ სარეველასაც კი აღარ აჭაჭანებთ. მეორე მხრით კი, — ფართო ჟესტით ქალაქზე ვუჩვენე, — პლანეტის მთავარ ქალაქში ასეთი ყოვლად უცნაური ასიმეტრია გაგიბატონებიათ

— მაშ როგორ, თქვენი აზრით, ყველგან ჰარმონია და წესრიგი უნდა სუფევდეს, სანატრელო სტუმარო?

— რასაკვირველია.

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენს გამჭრიახ გონებას მხედველობიდან გამორჩა სამი რამ. — გრი ბრამ სიჩქარეს მოუკლო და რამდენიმე აკუმობილმა მყისვე გაგვისწრო. — პირველი: ერთფეროვნება მოსაბეზრებელია; მეორე: თუ ასიმეტრია არ არსებობს, სიმეტრიის (თუნდაც როგორც ცნების) არსებობა გამორიცხულია; მესამე: ის, რაც ერთისთვის წითელია, მეორისთვის შეიძლება შავი იყოს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ის, რაც თქვენ ასიმეტრიად გეჩვენებათ, ჩვენ შეიძლება სიმეტრიად მივიჩნიოთ. ასე არ არის, უძვირფასესო მეგობარო?

— მართალი ხართ, — დავეთანხმე მე. — მაგრამ დაგეტოვებინათ ასიმეტრია ბუნებაში და მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა მისი საპირისპირო ქაოსის შექმნა აქ, დედაქალაქში!

— თქვენ, ალბათ, მე მცდით, სანატრელო სტუმარო, — გამიღიმა გრი ბრამ. — რაკი ახალგაზრდა ვარ, ჩემი ინტელექტისა და ცოდნის შემოწმება მოგისურვებიათ. ეს თქვენი ნებაა... ხოლო რაც შეეხება ქაოსს... არა, ბუნებაში არსებული ქაოსი ხელს არ გვაძლევდა. ცანას მოსახლეობა ძალიან სწრაფად იზრდება, მაშასადამე, მეტი და მეტი ნაყოფიერი, მოსავლიანი მიწები გვჭირდება. ამიტომ ჩვენც ავდექით, პირწმინდად ამოვძირკვეთ უნაყოფო ხეები და ისეთი მცენარეულობა მოვამრავლეთ, რომელიც საკვებს იძლევა. ხოლო ფოტოსინთეზისათვის, მოგეხსენებათ, სულერთია, ვაშლს ისხამს ხე თუ რკოს..

წამით დავფიქრდი. მერე:

— კარგი, მაგრამ რამდენი ჯიში დატოვეთ?

— დაახლოებით ორმოცი.

— მხოლოდ ორმოცი?!.

წარმოვიდგინე, რა სანახავი იქნებოდა ჩემი მშობლიური დედამიწა, ერთ დღეს მისი ზედაპირიდან რომ გამქრალიყო მუხა, ცაცხვი და ნეკერჩხალი, ვერხვი და ტირიფი, ვარდი და მაგნოლია, მიმოზა და იასამანი, ერთი სიტყვით,ყველა უნაყოფო, „გამოუსადეგარი“ და „არაპრაქტიკული“ მცენარე, რომელთა სახეობების რიცხვი რამდენიმე ათასს აღემატება, და მათ ნაცვლად ათასობით ჰექტარზე გაგვეშენებინა მხოლოდ გარგარი და ჭერამი, ვაშლი და მსხალი, ვაზი და მანდარინი... სულ ორმოცამდე ჯიში... აუ, რა სილამაზე, რა მრავალფეროვნება დაიკარგებოდა!... მაგრამ კამათი აღარ გამიგრძელებია, რადგან მივხვდი, რომ ცანელის პრაქტიკული გონებისათვის ბუნების პირველყოფილ, ხელუხლებელ სილამაზესა და მომხიბვლელობაზე საუბარი მიუწვდომელი და გაუგებარი იქნებოდა... გრი ბრას მეგობრულად გავუღიმე და მხარზე ხელი მოვუთათუნე. თითქოს ამას ელოდაო, ახალგაზრდა ცანელმა აკუმობილი დაამუხრუჭა, ღილაკს თითი დააჭირა და ჩემს მარჯვნივ მაშინვე ფართოდ, უხმაუროდ გაიღო მანქანის კარი.

3

— ბედი გქონიათ, — მითხრა შრო გრიმ და საათზე დაიხედა. ჩვენ მის მრგვალ კაბინეტში ვსაუბრობდით. — თუ გსურთ, შეგიძლიათ მოწმე გახდეთ ტრადიციული სახალხო ზეიმისა, რომელიც წელიწადში ერთხელ იმართება. — შრო გრიმ სათნოდ გაიღიმა. — თუკი, რა თქმა უნდა, თქვენი ნათელი გონება და მშვენიერი სხეული მეტისმეტად არ გადაღლილა ხანგრძლივი საუბრით და, საერთოდ, გუშინდელი და დღევანდელი შთაბეჭდილებებით.

გრი ბრამ შემომხედა. მივხვდი, რომ ძალიან უნდოდა დავთანხმებულიყავი.

— რა ზეიმია?

— ოო, ბრწყინვალედ გავერთობით. თქვენ უთუოდ კარგად მოგეხსენებათ, რა დიდი მასტიმულირებელი ძალა აქვს გართობას, განსაკუთრებით აქტიურ გართობას. სწორედ ასეთია ის, რომელიც ათიოდე წუთში მთავარი ნაკრძალის ტერიტორიაზე დაიწყება.

მე გამიკვირდა:

— განა ცანაზე ნაკრძალები არსებობს? ამას კი არ მოველოდი!...

— წინათ რამდენი ნაკრძალი იყო. — ღიმილით განმიმარტა შრო გრიმ. — ამჟამად კი ეს ერთიღა დავიტოვეთ. მას კონსტიტუცია იცავს და გაქრობის საშიშროება არ ემუქრება... დიახ. . თქვენ კი ერთი ეს მიბრძანეთ, ჩვენო ღირსეულო სტუმარო: მშვენიერ შორეულ პლანეტაზე, რომელსაც დედამიწა ეწოდება, იცნობენ თუ არა სიტყვა „ნადირობას“?

ჩემი კომფორტული სავარძლიდან ისე წამოვვარდი, შორიდან მაყურებელი იფიქრებდა, კატაპულტმა ამოისროლაო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნადირობა?! — ცოტა არ იყოს, ხმამაღალი შეძახილი გამომივიდა. — თუ იცნობენო? ნადირობა ხომ დედამიწელების მოგონილია!..

... ჩემს თვალწინ საოცარი სისწრაფით ჩაიქროლა ამაზონის ჯუნგლებში, საჰარისა და ყარაყუმის გაუვალ ტყეებში, ციმბირის ტაიგასა და ანტარქტიდის სტეპებში გამართული ნადირობის სურათებმა. ნადირობაო... დედამიწელ მეცნიერთა მიერ სინთეზური საკვების პრობლემის გადაჭრამ მეცხოველეობა არარენტაბელურ საქმიანობად აქცია, ხოლო ხელოვნურმა ლითონებმა და პლასტმასამ სავსებით გამორიცხა სამკაულისა და ტანსაცმლისათვის ძვლის, რქის, ტყავის თუ ბეწვის მოპოვების საჭიროება. ყოველივე ამან პლანეტაზე ცხოველთა სამყაროს ზვავისებური ზრდა გამოიწვია და დროდადრო ნადირთა კოლოსალური თავმოყრის ადგილებში ამ ზრდის შესანელებლად მონადირული ექსპედიციები იგზავნებოდა. მე რამდენჯერმე მივიღე მონაწილეობა ამ ექსპედიციებში და მამაპაპური, ძველებური კარაბინით მინადირია გაავებულ მარტორქასა და გავეშებულ კამეჩზე, ვერაგ ნიანგსა და ღვედივით მოქნილ ავაზაზე, კავკასიური ხანჯლით შევბმივარ პოლარულ დათვსა და გრიზლის, კეტით მიბრძოლია რვამეტრიან პითონთან, შიშველი ხელით მომიგუდავს გამოქვაბულის მგელი, ლასოთი დამიჭერია მუსტანგი და ზებრა...

ნადირობაო?..

უკაცრიელ პლანეტა სეფურზე გიგანტური დრაკონები დამიხოცავს, კარ-შორზე ლომისთავა ჰიდრები მიჟლეტია, ჩემი ლაზერონით მფრინავი ვეშაპი ჩამომიგდია პლანეტა ჰუნინგენის სპილენძისფერი ციდან და რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, რომელი ერთი გავიხსენო...

ნადირობაო?

ძარღვებში სისხლი ამიჩქროლდა და გული ამიფრიალდა, ძველისძველმა, პირველყოფილმა ინსტინქტმა ამიტაცა და ამიყოლია. ალბათ ასე ემართებოდა ჩემს ველურ წინაპარსაც, რომელიც ქვის ცულითა და მუხის კეტით მიდიოდა ტახზე და მარტორქაზე სანადიროდ.

მამა-შვილი და მე პატარა, უფანჯრებო ცილინდრულ ოთახში შევედით. გრი ბრამ კარი მაგრად ჩაკეტა, შრო გრი კუთხეში დადგმულ ტელეტაიპის მსგავს აპარატზე რამდენიმე კლავიშს შეეხო და იმავე წამს ღია ცის ქვეშ, ტყისპირას, ისლისნაირი მცენარის ღეროებით გადახურულ ქოხთან აღმოვჩნდით. ქოხთან რამდენიმე ცცანელი იდგა, რომელთაც წოწოლა ქუდიანი მოხუცი სანადირო თოფებს ურიგებდა. ცცანელები მოწიწებით მოგვესალმნენ და რიგი დაგვითმეს.

ცცანური სანადირო იარაღი ტყუპისცალივით ჰგავს ჩვენებურ თოფებს, რომლებიც 400-500 წლის წინათ იხმარებოდა და ახლა ყველა მუზეუმში შეგიძლიათ იხილოთ. ამიტომ გრი ბრას ახსნა-განმარტება იარაღის ხმარების თაობაზე თითქმის არ მომისმენია, სამივე ლულაში ვაზნები ჩავაწყვე, მამა-შვილს ხელი დავუქნიე და ტყეს მივეცი თავი.

— ძალიან შორს ნუ წაბრძანდებით, — მომაძახა შრო გრიმ. — თუმცა უკან დაბრუნება არ გაგიჭირდებათ, რადგან ყოველ ნახევარ საათში ტყის მცველი მწვანე რაკეტას გაისვრის და მუდმივი ორიენტირის მაგივრობას გაგიწევთ.



გულში გამეცინა, რადგან ვიცოდი, უკან დაბრუნებისას გზას ისედაც მშვენივრად გავიგნებდი — დედამიწის ტყეებსა და სხვადასხვა პლანეტის ჯუნგლებში ხეტიალმა ორიენტაციის გრძნობა ისე გამიმახვილა, რომ ყოველგვარი ლაბირინთებიდან იოლად შემეძლო თავის დაღწევა.

ტყეში სასიამოვნოდ გრილოდა. ხეები შევათვალიერე. ზოგი ნეკერჩხალს ჰგავდა, ზოგი — თელას, ზოგიც — მუხასა და ცაცხვს. როგორც ჩანს, სამყარო, ძირითადად, ერთიანია და დედამიწისებურ პლანეტაზე დედამიწისებურივე ფლორა და ფაუნაა მოსალოდნელი. თუმცა, რა თქმა უნდა, არც სხვადასხვაობაა გამორიცხული.

ტყე მშვიდი იყო. მე უხმაუროდ მივაბიჯებდი ხავსიან მიწაზე. მაღლა, ხეთა ტოტებში უჩინარი ჩიტები გალობდნენ. ცხვირწინ ირემმა ჩამირბინა. არ ვესროლე — ბალახისმჭამელ ცხოველს მოსაკლავად ვერ ვიმეტებ. მერე შორიახლო, დაბურულ ტევრში, რომელიღაც ტანმსხვილმა ცხოველმა გაიშლიგინა. თოფი შევმართე. უცებ ხრიალი მომესმა და მხარმარცხნივ, ხშირი ბუჩქებიდან, ნეკერჩხლის ახალ ამონაყარს რომ ჰგავდა, მოზრდილი ტახი გამოვარდა. თითქმის დაუმიზნებლად ვესროლე. ტახი ჰაერში შეხტა, ამოტრიალდა და ზურგით დაენარცხა მიწას. „ეს ერთი და სხვა მრავალი-მეთქი!“ — გულში შევძახე და იმ ადგილს მივაშურე, სადაც ნადირი მეგულებოდა, მაგრამ ისე არაფერი გეტკინოთ, მე იქ არაფერი დამხვედროდეს! თვალს არ დავუჯერე, არა და ვხედავდი, როგორ ნელინელ იმართებოდა გათელილი ბალახი, შმუშვნით სწორდებოდა სველ მიწას მიტკეპნილი ხავსი, ტახისა კი ნაკვალევიც არ ჩანდა ახლო-მახლო! მხრები ავიჩეჩე და იქაურობას გავშორდი.

ათიოდე წუთიც არ გასულა, ჩემგან სამოც ნაბიჯზე ტაატით მომავალი, მუქარით თავდახრილი ვეება ნადირი შევნიშნე. ხარს ჰგავდა და ხარი არ იყო, თავზე სამი

დიდ-დიდი, ბასრი რქა ამოზრდოდა, სპილოსავით მსხვილი ფეხები და ვეფხვივით მოქნილი ღონიერი ტანი ჰქონდა. მოახლოება ვაცალე, თოფი ავწიე და გულდაგულ დავუმიზნე შუათანა რქის ძირას, თვალებს შორის. ნათლად დავინახე, როგორ შეუნგრია მსხვილყალიბიანმა ტყვიამ ფართო შუბლი. ცხვირი მიწაში წარგო და მაღალ ბალახში ჩაიკეცა.

აუჩქარებლად მივუახლოვდი, გზადაგზა თოფი გავტენე, ყოველი შემთხვევისათვის გამზადებული მეჭირა — ვინ იცის, იქნებ მხოლოდ დაჭრილია, თავს რომ წავადგები, ვაითუ წამოხტეს და მეცეს-მეთქი, ვფიქრობდი. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მე იქ არაფერი დამხვედრია, ისევ წეღანდელი ისტორია განმეორდა. ხელებდაშვებული ვიდექი და თვალდაჭყეტილი, გაოგნებული ვუმზერდი, როგორ დგებოდა ფეხზე წაქცეული მაღალი ბალახი...

ნახევარ საათში კიდევ სამჯერ მომეცარა ხელი ასე. ვიცოდი, რომ ინტუიცია არ მატყუებდა, ტყვია ნამდვილად მიზანს ხვდებოდა, თუმცა რის ინტუიცია, როცა თვალნათლივ ვხედავდი, როგორ ენარცხებოდა მიწას განგმირული ნადირი... მაგრამ ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო, ჭეშმარიტად ისე გახლდათ ჩემი საქმე. ჯერ იყო და მოკლული ლომი გამიქრა თვალსა და ხელს შუა, მერე — რაღაც სპრუტისნაირი საშინელება, ბოლოს ზედიზედ ნასროლი ორი ტყვიით განგმირული ვეება დათვი „ამიორთქლდა". ლამის გავცოფდი, თოფი კინაღამ ხეს შევალეწე. და სწორედ ამ დროს პაწია მინდორზე შველს მოვკარი თვალი. მინდორი გადახრილი მზის სხივებით იყო განათებული, შველი ყელმოღერებული იდგა და მზეს უყურებდა. ბევრი არ მიფიქრია, თოფი ავწიე და ვესროლე. თითქოს ძილიდან გამოერკვაო, შველი შეკრთა, შექანდა, ნათლად შევნიშნე, როგორ აუკანკალდა მუხლები, ნელა, სულ ნელა ჩაიკეცა, ჯერ ჩაიჩოქა, ისე, რომ მზისთვის თვალი არ მოუცილებია, მერე წაიქცა და გრძელი, შხვართი ფეხები გაჭიმა, ერთიანად ცახცახებდა, ყოველი კუნთი უთრთოდა. ამას ცხადად ვხედავდი, მისკენ მივდიოდი და თვალს არ ვაშორებდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ესეც გაქრება-მეთქი. მაგრამ არა, შველი არ გამქრალა! ზედ რომ წავადექი, ჯერ კიდევ სუნთქავდა. მუხლებზე დავეცი, თავი ავუწიე. მაშინღა მოაშორა მზეს მზერა და შემომხედა. ... ტიროდა, ღმერთო ჩემო, ტიროდა! გამიგონია, წამიკითხავს, ირემი და შველი სიკვდილის წინ ადამიანივით ტირიანო, მაგრამ თავად არასოდეს მენახა ეს საოცრება... შემომხედა იმ უბედურმა ცრემლიანი თვალებით, შემომხედა და თითქოს უხმო საყვედურით, გულდაწყვეტილმა და გაოცებულმა მკითხა:

— შენც, ბრუტოს?!.*

4

— თქვენ უნიკალური თავგადასავალი გადაგხდომიათ, უძვირფასესო სტუმარო. — მითხრა შრო გრიმ და თავის ვაჟს გადახედა. — ჩვენ ჭეშმარიტად დავაშავეთ, შვილო ჩემო, სანატრელი სტუმრისათვის უთუოდ უნდა გვეუწყებინა, რაშიც იყო საქმე, მაშინ გაუგებრობა აღარ მოხდებოდა. — მანქანას ახლა თვით დირექტორი მართავდა. — გრი ბრა, გეთაყვა, აბა მოახსენე სტუმარს ყველაფერი, თავიდან ბოლომდე.

— სიამოვნებით. — ნახევრად შემობრუნდა ჩემკენ ახალგაზრდა მეცნიერი. — დიდი სიამოვნებით.

აი, რა მიამბო მან (შრო გრი საუბარში თითქმის არ ჩარეულა, სულ ორჯერ თუ შეაწია შვილს თითო-ოროლა სიტყვა), როცა დირექტორის მრგვალ კაბინეტში დავბრუნდით:

ოდესღაც ცცანაზე ისეთივე მდიდარი და მრავალფეროვანი ფაუნა ყოფილა, როგორიც ფლორა იყო, პლანეტის გაუვალ ტყეებში უამრავი მსხვილი და წვრილფეხა ნადირი ბინადრობდა, ხის ტოტებზე ასობით სხვადასხვა სახეობის ფრინველი იკეთებდა ბუდეს. ნადირი და ფრინველი იმდენი იყო, რომ ცცანელებს ეს აურაცხელი სიმდიდრე დაულეველი და ამოუწურავი ეგონათ. მაგრამ ადამიანები, რომლებიც მშვენიერი სანადირო თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი, მწარედ მოტყუვდნენ. ქალაქების სწრაფმა ზრდამ და ტყეების გეგმაზომიერმა გაჩეხვამ ცხოველთა სამყაროს სასიცოცხლო არეალი თანდათან შეავიწროვა. ამავე დროს, ვიდრე ეკოლოგები ზოგადი პრობლემის კვლევით ერთობოდნენ, ქიმიური და რადიაქტიური ნარჩენებით მოშხამულმა გარემომ მუსრი გაავლო პლანეტის ფაუნას, ხოლო თითო-ოროლა გადარჩენილ ნადირს ბრაკონიერების თოფმა მოუთავა ხელი. მალე დაეცა მონადირის ტყვიით განგმირული უკანასკნელი ფურირემი. და ეს მკვლელობა ორმოცდაათი წლის წინათ, სწორედ დღევანდელ დღეს მოხდა.

ბუნების დაცვის საზოგადოებამ, რომელიც მეტისმეტად გვიან ჩამოყალიბდა, ისღა მოასწრო, რომ დღევანდელი ცენტრალური ნაკრძალი გაჩეხვას გადაარჩინა.

ოცდაათი წლის წინათ შრო გრიმ გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაშრომები რესტიტუციის დარგში. ამ სტატიებმა სენსაცია გამოიწვია. ახალგაზრდა მეცნიერი ამტკიცებდა, რომ სხეულის თუნდაც ერთი უჯრედით შესაძლებელია ორგანიზმის სრული აღდგენა. ოდესღაც, ამბობდა იგი, ყოველ ორგანიზმს ჰქონდა იგივე თვისება, რაც დღემდე შემორჩა ჩვეულებრივ ჭიაყელას და ნაწილობრივ — ხვლიკს. პირველი მათგანი ათ ნაწილად რომ დაჭრა, ათივე ნაწილისაგან ახალი ჭიაყელები გაიზრდება, ხოლო ხვლიკს რომ კუდი მოაგლიჯო, რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ წამოეზრდება. ცოცხალი ორგა-



* ასე მიმართა იულიუს კეისარმა თავის მეგობარს მარკუს ბრუტოსს, როცა იგი მკვლელთა შორის დაინახა.

ნიზმების უდიდესმა ნაწილმა მილიონწლიანი ევოლუციის მანძილზე **მიივიწყა** ეს თვისება. კი არ დაკარგა, არამედ სწორედ **მიივიწყა.** ხოლო შრო გრიმ ნამარხი ცხოველების ძვლის ქსოვილში განსაკუთრებული ნივთიერების შეყვანით აღადგინა და გააქტიურა რესტიტუციური ფერმენტები და ფენომენალურ შედეგებს მიაღწია — ძვლის ერთი ნამცეცისაგან ან ფორმალინის ხსნარში შენახული ორგანოს მიკროსკოპული უჯრედისაგან მას შეეძლო ნებისმიერი რაოდენობის ცხოველის თუ ფრინველის სრული რესტიტუცია.

გასაგებ მორალურ მოსაზრებათა გამო ადამიანზე მსგავსი ცდების ჩატარებისაგან თავი შეიკავეს. სამაგიეროდ, ბუნების დაცვის საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით, შრო გრის მეთოდით წარმოქმნეს და ცენტრალურ ნაკრძალში მოამრავლეს რესტიტუირებულ ცხოველთა ბევრი სახეობა, ხოლო უკანასკნელი ფურირმის მოკვლის დღის აღსანიშნავად დაწესდა ნადირობის ტრადიციული დღე, რომელიც ყოველწლიურად იმართება.

რა არის ამ ტრადიციის არსი?

საქმე ისაა, რომ მიკროსკოპული უჯრედიდან სხეულის აღდგენა გარემომცველი ჰაერის შემადგენელ ელემენტთა ხარჯზე ხდება. რესტიტუციური ფერმენტები იწვევენ ატმოსფერული ჟანგბადის, აზოტის, წყალბადის, წყლის ორთქლის ურთულეს რეაქციებს და ამ რეაქციათა შედეგად მიღებული საშენი მასალით აგებენ მთელ ორგანიზმს ეს ორგანიზმი ფაქტიურად ფანტომია, იგი ისევე, როგორც მედუზა — წყლისაგან, თითქმის მთლიანად ჰაერისაგან შედგება. რესტიტუირებული სხეული მდგრადობას მანამდე ინარჩუნებს, ვიდრე მასში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლა რაიმე მექანიკური ზემოქმედებით არ დაირღვევა („აქ დაახლოებით ასეთი რამ ხდება, — ჩაერია საუბარში შრო გრი: — ბზრიალა, ვიდრე ტრიალებს, ვერტიკალურ მდგომარეობას ინარჩუნებს და მდგრადია; მაგრამ საკმარისია შევაჩეროთ მისი მოძრაობა, და ბზრიალა წაიქცევა“).

— თქვენი თოფიდან გასროლილმა ტყვიამ, ჩვენო ძვირფასო სტუმარო, — გამიღიმა გრი ბრამ, — სწორედ ამგვარი მექანიკური მოქმედების როლი შეასრულა. ტყვიის შეხებისთანავე რესტიტუირებული ორგანიზმის მდგრადობა დაირღვა, იგი შემადგენელ კომპონენტებად დაიშალა და ჰაერს შეერია.

„ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!“ — გავიფიქრე, და საკითხისადმი ჩემი დამოკიდებულება მყისვე ხმამაღლაც გამოვხატე:

— მაპატიეთ და, მე მგონი, ეს ცინიზმია.თქვენი საქციელი ძალიან ჰგავს იმას, კაცს თავში ლოდი რომ ჩასცხო და მერე თავზე ხელი გადაუსვა — არ ვიცოდი, თუ გეტკინებოდაო. ბუნებას ისე მოპყრობიხართ, როგორც ბავშვი — სათამაშოს: ჯერ გაერთეთ, მერე კი ნაწილებად დაშალეთ და დაამსხვრიეთ. დალოცვილებო, — ყელი გამიშრა, ალბათ მღელვარებისაგან, და ხმა ჩამეხრინწა. — დალოცვილებო, ნატურალური, ხალასი ბუნება გქონდათ და ვერ მოუარეთ, ფლორა ულვთოდ დაამახინჯეთ და ფაუნას ბოლო მოუღეთ... მერე კი ცხოველთა სამყაროს საცოდავი იმიტაცია მოიგონეთ და ყოველწლიურად აბუჩად იგდებთ, არა?... და ეს დაცინვა ტრადიციად აქციეთ... მაპატიეთ, ცოტა მკვახე ნათქვამი გამომდის, მაგრამ... ჩემთვის, დედამიწელისათვის, გაუგებარია თქვენი საქციელი! — მამა-შვილი ინტერესით და მთელი სერიოზულობით მისმენდა. — არც ჩვენა ვართ მამა აბრამის უცოდველი ბატკნები, ჩვენც ვხოცავდით, ვესროდით, დანას ვუსვამდით ყელში... მაგრამ როდი დავცინოდით... გონსაც შედარებით მალე მოვეგეთ და ახლა ყოველ ბავშვს ტყეში თუ პარკში განუყრელი და ერთგული მეგობარი ჰყავს — შველი ან ჯიხვი, მელა ან სპილო, კენგურუ ან დათვი... არა, მეგობრებო, მე არ მესმის, რატომღა დასცინით... რატომღა დასცინით... — ხელი ჩავიქნიე, სიფონიდან წყალი ჩამოვასხი და მთელი დღის მწყურვალივით, სულმოუთქმელად შევსვი.

ცცანელები ერთხანს დუმდნენ. ჩემი მონოლოგი მოულოდნელი თუ იყო მათთვის, ან, იქნებ, ჩემს დამშვიდებას დაუცადეს.

დუმილი გრი ბრამ დაარღვია:

— ჩვენო საპატიო და სანატრელო სტუმარო , თქვენ ფრიად კეთილშობილი გული გაქვთ და ეჭვი არ მეპარება, რომ ეს აღელვება წრფელი და ნამდვილი იყო. — გრი ბრას ხმაში თითქოს დაცინვის ნოტი მომესმა, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე. -- მოდით, სცადეთ და ამ მოვლენას სხვა კუთხით, ჩვენი თვალით შეხედეთ. ჯერ ერთი, მომხდარ უბედურებას აღარაფერი ეშველება. მეორეც: ეს ყოველწლიური, ტრადიციული ნადირობა, ფაქტიურად — არარსებული ნადირის ხოცვა — გაფრთხილება გახლავთ ცცანელთა მიმართ, რათა მომავალში ასეთი შეცდომა აღარ განმეორდეს...

„ნეტავი რაღა შეგრჩათ“!.. — გავიფიქრე და მხრები ავიჩეჩე.

— კეთილი, ვთქვათ, ყოველივე ეს გასაგებია, — ამოვიოხრე და შუბლი მოვისრისე — თავი მტკიოდა, იმ საცოდავი შვლის ცრემლები მეხსიერებიდან ვერა და ვერ ამოვიგდე. — მაგრამ რით ამიხსნით ჩემი უკანასკნელი მსხვერპლის შემთხვევას? რატომ ისიც სხვებივით არ გაქრა? თუ განსაკუთრებით მდგრადი ეგზემპლარი გამოგივიდათ?

შრო გრიმ და გრი ბრამ ერთმანეთს შეხედეს. ახალგაზრდა მეცნიერი შებრუნდა, ნელი ნაბიჯით მივიდა ფანჯარასთან და გულხელდაკრეფილი გაშეშდა. სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა კუდი აიკეცა და კაბინეტში ბოლთის ცემას მოჰყვა.

— ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, — თქვა მან ბოლოს და ჩემი სავარძლის წინ შეჩერდა. — სამწუხაროა, რომ იგი მაინცდამაინც თქვენ გადაგხდათ თავს. — მე თავი ავწიე და მეცნიერს მზერა გავუსწორე. რაღაც ავმა წინათგრძნობამ შემიპყრო. — როგორც ჩანს,ცცანას ფაუნის უკანასკნელი წარმომადგენელი ამ ორმოცდაათი წლის წინათ როდი დაღუპულა... ეტყობა, ერთი თუ ორი შვლის ოჯახი გადაჩენილა და მათმა ნაშიერმა დღემდე მოატანა... შესაძლოა, სწორედ თქვენს მიერ მოკლული შველი იყო ჩვენი პლანეტის უკანასკნელი ნამდვილი, როგორც თქვენ თქვით, ნატურალური ცხოველი... დასანანია, ასე რომ მოხდა... ჭეშმარიტად დასანანია...

მთელ სხეულში წარმოუდგენელი, ჯოჯოხეთური სიმძიმე ვიგრძენი, ისეთი, გასამკეცებული სიმძიმის ძალის ტოლი აჩქარებისას რომ გადამიტანია კოსმოსში. თავი დავხარე, არ მინდოდა, ცცანელებს ჩემი ცრემლები შეენიშნათ. დიახ, დიახ, მე, ცნობილი და ბევრისმნახველი ასტრონავტი უტა ფაზია, ავტირდი, ავტირდი ულონო გააფთრებით, უმწეობის საზიზღარი გრძნობით დათრგუნვილი და გათელილი. თვალები დავხუჭე და ისევ ის შტანჯველი სურათი ვიხილე: მზით განათებულ პაწია მწვანე მინდორზე მომაკვდავი შველი იწვა... ხასხასა ბალახში ბროწეულისფერი მარცვლები ეყარა — ეს შვლის სისხლის წვეთები იყო... შველმა მზეს მზერა მოაცილა, ცრემლიანი თვალები მომანათა, ერთხანს ასე, მოულოდნელობით განცვიფრებული, ტკივილისაგან გაოგნებული მიყურებდა და თითქოს მეკითხებოდა:

— შენც, ბრუტოს?!




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 1

# შენი სიტყვა და საქმე

შეუძლებელია შენც არ შეგენიშნოს: როცა ამა თუ იმ პიროვნებას ახასიათებენ, იტყვიან „სიტყვის კაციაო“, ან „ეგ თავისი სიტყვის პატრონი არ არისო“.

უეჭველია, ჩვენი წინაპრების ნათქვამიც გაგიგონია: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ!“

სიტყვა და საქმე!

ეს ორი ცნება მტკიცედ არის ერთმანეთს დაკავშირებული (თუმცა ისიც მართალია, რომ საქმე შეიძლება უსიტყვოდაც გაკეთდეს, სიტყვა კი, თუ მას საქმით არ შეესხა ხორცი, ფუჭ კაკალს ჰგავს). მაგრამ აბა საკუთარ გულში ჩაიხედე, გარშემოც მიმოავლე თვალი და დაინახავ, რომ, სამწუხაროდ, სიტყვა და საქმე ხშირად შორდება ერთმანეთს. ბევრჯერ მომხდარა, რომ შენს თანატოლს „მტკიცე სიტყვა“ დაუდევს, რაიმე ვალდებულება უკისრია, მაგრამ დრო გასულა და მისი შესრულებისათვის თავი არ შეუწუხებია, შუბლი არ გაუცხელებია... ან კიდევ, სიტყვით ერთს ამბობს, საქმით კი სხვას აკეთებს...

შენ ალბათ ხვდები, რომ ეს საუბარი შემთხვევით არ წამოგვიწყია. ამ საკითხზე თურმე ბევრ შენს თანატოლს უკვე სერიოზულად უფიქრია, უმსჯელია, უკამათია. ზოგმა მერე ეს განსჯილ-ნაფიქრალი წერილად ჩამოაყალიბა და ჩვენი ჟურნალის რედაქციას გამოუგზავნა.

აი, მაგალითად, რას გვწერს პიონერი ლ. კირკიტაძე: „ჩვენმა კლასმა ვალდებულება იკისრა, რომ ზაფხულის განმავლობაში ერთ ტონა ჯართს შევაგროვებდით. თითო მოსწავლეზე დაახლოებით 30 კგ ლითონი მოდიოდა. მაგრამ რა გამოვიდა? ზოგიერთმა პირობა დაივიწყა და მთელი ზაფხული ბურთის თამაშში გალია. სექტემბერში, როცა ჩვენი მონაგარი შევაჯამეთ, აღმოჩნდა, რომ ვალდებულება მხოლოდ სანახევროდ შეგვისრულებია“...

ამას ხომ სკოლისა და ამხანაგების ღალატი ჰქვია!

ახლა დ. ეგიაშვილს მოვუსმინოთ: „ვინ არ იცის, რომ ფრინველები ადამიანის მეგობრები არიან. მაგრამ პატარებს ეს ხშირად ავიწყდებათ და შურდულით ხოცავენ ბელურებს, წიწკანებს, გულწითელებს. ჩვენმა რაზმმა გადაწყვიტა, დაეცვა ჩიტუნები ამ „მონადირეებისაგან“ — პატარებს თვალს ვადევნებდით, ვარიგებდით, რომ ამის ჩადენა არ შეიძლება, რომ ფრინველების მოკვლა ბოროტებაა. მაგრამ ჩვენს რიგებში აღმოჩნდა სიტყვის გამტეხი, რომელმაც ჩაგვიშალა ეს წამოწყება: სოსო ალიბეგაშვილმა მესამეკლასელი ბიჭუნასათვის ჩამორთმეული შურდულით თვითონ დაიწყო „ნადირობა“ და მუსრი გაავლო უდანაშაულო ფრთოსნებს“...

ამაზე იტყვიან: ციხე შიგნიდან გატყდებაო!

გოჩა კობახიძე კი გვწერს: „ჩვენი სკოლა დედაქალაქის ახალდასახლებათა რაიონშია. ბუნებრივია, რომ მოსწავლეების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი მწვანე ნარგავების მოვლა-გახარებაა. თითოეულ ჩვენგანს ორი-სამი ხე გვაქვს გაპიროვნებული და რიგიანადაც ვუვლით. ამ საქმეში თავი გამოიჩინა ჩემმა თანაკლასელმა დიტო ლაშხმაც... გასულ კვირას თინა მასწავლებელმა მცხეთაში ექსკურსიაზე წაგვიყვანა. ერთგან ბავშვებმა ნახევრადგაველურებული ვაშლის ხე ნახეს. პირველი დიტო ავარდა ზედ, მერე სხვებიც აჰყვნენ და საწყალ ხეს მთლად დაამტვრიეს ტოტები. განა ეს სწორი საქციელია? განა შეიძლება ერთი გააკეთო და ამავე დროს სხვა გააფუჭო?..“

ხომ სამართლიანია გოჩას აღშფოთება?

ახლა გულიკო მჭედლიშვილის წერილიც ვნახოთ: „შარშან ჩვენს სკოლაში შეიქმნა წიგნის მოყვარულთა საზოგადოება... ჩვენი ერთ-ერთი ვალდებულება ითვალისწინებს საბიბლიოთეკო ფონდის გაზრდას და ბიბლიოთეკაში არსებული მოძველებულ-გაცვეთილი წიგნების აღდგენა-განახლებას... ლადო გამილაღდიშვილი საზოგადოების აქტიური წევრი, თავისუფალ დროს სულ ბიბლიოთეკაში ტრიალებს. მაგრამ ამას წინათ გეომეტრიის წიგნი მათხოვა, გადავშალე და გავოცდი: წიგნის ყდა, თავფურცელი, თითქმის ყველა გვერდი ათასნაირი გეომეტრიული ფიგურით, წარწერით, ნახატით იყო აჭრელებული... ამის შემდეგ განა შეიძლება ლადო საზოგადოების წევრად დავტოვოთ?..“

რა თქმა უნდა, არა, არ შეიძლება! წიგნი სხვის დასანახავად კი არ უნდა გიყვარდეს, იგი შენი სულისა და გულის ნაწილი უნდა იყოს!

აი, ეს და კიდევ რამდენიმე სხვა მსგავსი წერილი გახდა ჩვენი დღევანდელი საუბრის მიზეზი. მართლაც, განა შეეფერება პიონერს, რომ ერთს ამბობდეს და სხვას კი აკეთებდეს? აბა წარმოიდგინე, რა მოხდება, ასევე რომ მოიქცნენ და თავიანთი დაპირება, თავიანთი ვალდებულება არ შეასრულონ მეტალურგმა და მევენახემ, მეშახტემ და მეჩაიემ, მფრინავმა და მეზღვაურმა? რას დაემსგავსებოდა მაშინ ჩვენი ცხოვრება?

პიონერის სიტყვა და საქმე განუყოფელი უნდა იყოს! რაკი თქვი, რაკი იკისრე, შეასრულე კიდეც, ნუ გადაუხვევ სიტყვას, „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ!“

მეგობარო, უთუოდ თქვენ შორისაც ჯერ კიდევ არიან პიონერები, რომელთა სიტყვა და საქმე, ზემოდასახელებულთა მსგავსად, შორდება ხოლმე ერთმანეთს. მოდი ვისაუბროთ ამის შესახებ, გავუზიაროთ ჩვენს მკითხველებს აზრი ამ საკითხებზე, ერთად მოვიფიქროთ, თუ როგორ, რა მეთოდებით აჯობებს ხელი მოვკიდოთ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს, როგორ მოვიქცეთ, რომ პიონერულ რგოლში, რაზმში, თითოეულ თქვენგანში ამთავითვე ჩაინერგოს ეს მაღალი ზნეობრივი პრინციპები.

საუბარში მონაწილეობის მისაღებად თქვენს გარდა ვიწვევთ პედაგოგებს, მშობლებს, მეცნიერებს, მწერლებს, მშრომელებს, ხელოვნების მუშაკებს.

მაშ, ასე, ვიწყებთ კამათს თემაზე: „შენი სიტყვა და საქმე“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საახალწლო

ჩვენზე ბევრი იზრუნა,
გზა გალია გრძელი...
სიყვარულით, მადლობით
გავაცილეთ ძველი.
მოგრიალდა ახალი,
ახალ ძალით სავსე,
გვრაზმავს საიერიშოდ
შრომის, სწავლის გზაზე.
დე ამ წელსაც ვმღეროდეთ
სიხარულით, წრფელად;
დე მომავალ ახალ წელს
კარგად შეხვდეს ყველა;
დე დასცალდეთ აფრენა
აკვნის მერცხლებს, გვრიტებს;
იყოს ქვეყნად მშვიდობა, —
ლაღად ვთესდეთ, ვმკიდეთ.

ელგუჯა მარღია,
წალენჯიხის რაიონი, პალურის
8-წლიანი სკოლა, VIII კლასი.

## ახალი წელი

რატომაა, რომ ყველაფერს საზეიმო ელფერი აქვს?
რა მოხდა, რომ პატარები ნაძვის ხეებს ეხვევიან?
რა არის, რომ ამ ჩვენს ტყეში უჩვეულო ხმაურია?
ნეტავი რას ულოცავენ ციყვს, კურდღელს და
დათუნიას? —
ახალი წლის დილა არის, მხიარული, მოსარკული,
ყველას სახლში სურნელია შემწვარის და მოხრაკულის.
გოზინაყი, თაფლი, ვაშლი გემრიელი, დაშაქრული,
და ნამცხვარი ტკბილზე ტკბილი, ფუმფულა და
დათაფლული.
ახალი წლის მობრძანებას ზეიმობენ ცხოველები,
ბუქნავენ და ყიჟინებენ და გადადის თასზე თასი.
ცეკვავს მელა, უკრავს მარში, აბა, ტაში, აბა, ტაში!

მზია მაღრაძე,
ასპინძის რაიონი, ოშორის საშუალო სკოლა,
VIII კლასი.

# შეხვედრა ომის ვეტერანებთან

ეს იყო 1977 წლის 15 ოქტომბერს. ჩვეულებრივი სასკოლო ცხოვრების ერთი დღე მოულოდნელი ამაღელვებელი მოვლენით დასრულდა: სკოლაში სტუმრად მოვიდნენ სამამულო ომის ვეტერანები — ჩვენი თანასოფლელი ვალიკო თოლორდავა და მისი სტუმარი ნიკოლოზ კულიკოვი, რომლებიც თურმე მხარდამხარ იბრძოდნენ დიდ სამამულო ომში და საკუთარი მკერდით, საკუთარი სისხლის ფასად იცავდნენ საბჭოეთის მიწას. 1944 წელს ფრონტულ ცხოვრებას ისინი დაუშორიშორებია, მაგრამ დაუფიცნიათ, რომ გამარჯვების შემდეგ აუცილებლად მოძებნიდნენ ერთმანეთს.

მართლაც, განშორებიდან 32 წლის შემდეგ, 1976 წელს, ომგადახდილი ვაჟკაცები პირველად შეიყარნენ. წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა მათი სიხარული!

დირექციამ და სკოლის პიონერულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ომის ვეტერანებს საზეიმო შეხვედრა მოუწყეს. სიტყვებით გამოვიდნენ სკოლის დირექტორი მ. მხეიძე, მასწავლებელი ჟ. ტოკარევი, აგრეთვე მოსწავლეები: მერაბ მირცხულავა, დათო გიორბელიძე, ემა კამკია და სხვები. შემდეგ სიტყვა მისცეს ვ. თოლორდავას და ნ. კულიკოვს, რომლებმაც მოიგონეს ეპიზოდები ფრონტული ცხოვრებიდან.

დასასრულს სტუმრებს კონცერტი გავუმართეთ.

ომის ვეტერანები ღიმილითა და მადლობით დაგვემშვიდობნენ. ჩვენც ძალიან კმაყოფილი დავრჩით.

მაგული ყურაშვილი, მზია გახარია,
ოჩამჩირის რაიონის, ახალდაბის ე. ნინოშვილის სახ. 1-ლი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები



ნაცარქექია. გოჩა ჩიკვაიძე. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**როდამ ჩაჩანიძე**

# ფერეიდანი

მხატვარი ქ. მახარაძე

1614 წლის 21 მარტს ირანის მრისხანე მპყრობელმა შაჰ-აბას პირველმა თავისი ლაშქარი ორად გაყო. პირველ შენაერთს თავრიზის მმართველი ფირბუდაყ-ხანი უსარდლა და დაავალა თბილისის მხრიდან შეეტია კახეთისათვის. მეორე არმიას შირვანის ბეგლარბეგი იუსუფხანი მეთაურობდა.

ხუთშაბათ დღეს, ნოვრუზის ღამეს ფირბუდაყ-ხანმა იორი გადალახა და იქ დაბანაკდა. ამ დროს შირვანის ბეგლარბეგი ალაზანზე გადავიდა და ქიზიყს მიადგა. კიდევ ერთხელ შეაგდეს საღვთო სასწორზე კახეთის ბედი. კიდევ ერთხელ მოიქუფრა საქართველოს ცა და სისხლის წვიმის მოლოდინში გაისუდრა ქვეყანა.

ირანის შაჰს კახეთის მოსპობა ეწადა. არმიებს დავალებული ჰქონდათ ალყაში მოექციათ კახთა მამაცი მეფე თეიმურაზი. თეიმურაზი გრძნობდა, საითაც უმიზნებდა ირანის მპყრობელი; გადაწყვიტა ძლიერ და ცბიერ შაჰს გასცლოდა და ქართლში გადასულიყო, მაგრამ ომი მაინც მოხდა, პირველი და უკანასკნელი დიდი შეტაკება იმ წელს. ჟალეთის ახლოს კახეთის მეუფეს ყიზილბაშები წამოეწივნენ და ალყაში მოაქციეს. ირანელებს თავად დიდი შაჰინშაჰი სარდლობდა, ხოლო ქართველთა მცირე ლაშქარს კახეთის მეფე მიუძღოდა ბრძოლაში. ვერა და ვერ შეისრულა ირანის შაჰმა სურვილი — დაჩოქილი ეხილა კახთა მეფე. თეიმურაზმა ბრძოლით გადაჯეგა ყიზილბაშთა ურდოები და ერწო-არაგვის გზით მუხრანში გადავიდა. აქ მას მცირე ამალით ქართლის მეფე ლუარსაბი ელოდა.

დევნილი მეფეები მძვინვარე მტერს გაეცალნენ და ლიხის გზით იმერეთს მიაშურეს. დარჩა ქვეყანა უპატრონოდ და მტრის სანავარდოდ.

ყიზილბაშები მთელ კახეთში გაიშალნენ და იწყეს ქვეყნის რბევა-დაქცევა. ეს საქმე მათ ოდითგან შენებაზე მეტად ეხერხებოდათ და არც ახლა დაუზოგავთ თავი.

ხოცვა-ჟლეტვას ვინც გადაურჩა, ქედზე უღელი დაადგეს და ირანის გზას გაუყენეს.

ასე დაიწყო კახეთის დიდი ტრაგედია...

მაგრამ ის, რაც 1614 წლის გაზაფხულზე მოხდა, „მეორედ მოსვლის“ მხოლოდ დასაწყისი იყო.

•

რეზო მიქელაძემ თეიმურაზ მეფე სამშვიდობოს რომ დაიგულა, ცხენი შემოაბრუნა. ჟალეთის მხარეს ნისლი იწვა. რეზო მიხვდა, რომ ეს ცხენთა ფლოქვებისაგან ცაში ატყორცნილი მტვერი იყო და მეტი არაფერი. ისიც კარგად იცოდა, გული საითაც მიუწევდა. იმერეთში არც ბიძა ჰყოლია და არც ძმისწული. მთელი ჯალაბი აქედან ერთი დღის სავალზე დარჩა და ახლა მისთვის უნდა მიეხედა. ნავარდას სავსე ფერდებზე მსუბუქად შემოჰკრა დეზი და ტყისაკენ გადაუხვია. მოკლე, უშიშარი ბილიკები იცოდა და ახლა სწორედ ამ ბილიკების იმედი ჰქონდა.

ცოტა რომ გაიარა, მიხვდა, რომ კვალში ვიღაც ჩასდგომოდა. ახლა ძნელი იყო იმის გარჩევა, მტერი მოსდევდა თუ მოყვარე. ფრთხილი კაცი იყო მიქელაძე — ნავარდა ბილიკიდან გადაიყვანა, იქვე ბებერ მუხასთან დაწოლა უბრძანა და, როცა ცხენი დაჰმორჩილდა, თვითონაც მიწას გაეკრა.

ბილიკზე სამი ყიზილბაში გამოჩნდა. სამივენი ჯეელები იყვნენ, მაღლები და ბეჭგამართულნი. რეზოს ცხოვრების ეჟვანი უკვე ორმოცდაათ წელს იქით ჟღარუნებდა და ახლა ამ დროულ კაცს სამთან ხმლით შებმა გაუძნელდებოდა. მშვილდი გადმოიღო და ის ყიზილბაში, მწევარივით წინ რომ მიძუნძულებდა, ერთი სროლით მიწაზე გააგორა. იმ ორმა მაშინვე ხმალი იშიშვლა. მაგრამ ერთი მათგანი პირველს მიუწვინა მიქელაძემ, მერე სამალავიდან გამოვიდა და ხმალი გამართა. არც ის მესამე დაბნეულა, ალაჰს მოწყალება შესთხოვა და გურჯს შეება.

რეზომ მაშინვე იგრძნო, ვისთანაც ჰქონდა საქმე. ამ ჯეელს უქმად არ დაეკარგა დრო და ხმალს ისე ხმარობდა, როგორც კარგი დასტაქარი დანას. ჯანიც ერჩოდა და ღონეც. მაინც დაჩაგრა მიქელაძემ და ხმალი ხელიდან გააგდებინა, მახვილი მკერდზე მიაბჯინა...

ყიზილბაში მის ფერხთით დაემხო.

რეზომ მიწაზე დაგდებული ხმალი წაღის ჭვინტით მიუცურა და ცხენს შეახტა.

ყიზილბაშს ხმალი არ აუღია. იდგა და ელოდა. მხოლოდ მაშინ აიღო ხმალი, როცა ცხენის ფლოქვების ხმა მიწყდა. აიღო და გაბრუნდა.

რეზო ნავარდას ვიწრო ბილიკზე მიაგელვებდა. როცა მთლად ჩამობნელდა, მაშინ მიხვდა, რომ ცხენს უჭირდა. მთელი დღის ნაბრძოლ-ნაომარს უკვე ფეხი ეშლებოდა. მხედარი გადაიხარა, ხელი კოხტა კისერზე შემოხვია და ყურში ჩასჩურჩულა:

— ვიცი, რომ დაიღალე, ნავარდავ. ცოტაც და მივალთ. აბა, შენ იცი...

ნავარდამაც იცოდა, და ბანცალ-ბანცალით, მთლად ოფლადგაღვრილი მიჰყვებოდა ნაცნობ ბილიკს.

შუაღამე რომ გამოხდა, ტყიდან მაშინღა გავიდნენ. წინ შავი ნაბადივით დაყუდებულიყო უშველებელი მთა. მთის შეფენებაზე აქა-იქ ხანდახან შუქიც გაიელვებდა. მხედარი მიხვდა, ყიზილბაშებს ჯერ ამ სოფლებამდე რომ ვერ მოეღწიათ. სული მოითქვა. სახიდან ოფლი ჩოხის კალთით მოიწმინდა და საურმე გზას შეჰყვა.

თერთმეტი შვილი ჰყავდა რეზო მიქელაძეს. აქედან

ხუთი თან ახლდა მამას ჟალეთის ომში და ხუთივე იმ ორომტრიალში აღესრულა.

თავისი ეზოს ყორეყრილს რომ გაუსწორდა, ნაბოლარა ბიჭის ხმა შემოესმა:

— მამავ ბატონო!

ნავარდა მაშინ ჩაიკეცა. რეზომ მოასწრო უზანგებიდან ფეხების გამოღება. დაიხარა და სულთმობრძავ ცხენს უკანასკნელად გადაუსვა ხელი კისერზე. მერე ზევით აიხედა. ყორეზე აჩრდილივით იდგა ზურაბი.

— ქუჯი სად არის? — იკითხა მამამ.

— აქ გახლავთ, მამავ ბატონო.

— ცხენები სასწრაფოდ დაასაპალნეთ, უნდა გავიხიზნოთ.

— წავაგეთ ომი?

— მეფე სამშვიდობოს გავიდა...

ყორედან აჩრდილი სწრაფად გაქრა.

ეზოში შესულ რეზოს წინ შუახნის ქალი შეეგება. ხელში ჭრაქი ეკავა და ქმარს მიუნათა.

— მარტო დაბრუნდი?

მამას არ უპასუხნია და დედაც ყველაფერს მიხვდა. მიწას გაკრული ჭრაქის შუქი მომაკვდავივით აცახცახდა.

იქვე რეზოს ქალიშვილებიც გამოჩნდნენ, მერე შვილიშვილები, სტუმრები...

ხმა-კრინტი არავის დაუძრავს. გარინდული იდგნენ და მოწიწებით შეჰყურებდნენ პატრონს.

— ხალხნო, ეს რა ჯადო შეგიჯდათ, ახლა დროს დაკარგავს კაცი? სარჩო-საბადებელი ხომ გინდათ? მიდით, ცხენები დაასაპალნეთ.

ჭიშკართან ჩარიგებული ეს გრძელი ჯგრო მაშინვე დაიშალა. ზოგი ბეღელს ეცა, ზოგი ჭურ-მარანს, ზოგიც კიდევ თავლაში შევარდა და შეიქნა ერთი ფაციფუცი.

— ცოტას წავთვლემ, ოთხი ღამეა თვალი არ მომიხუჭავს, — უთხრა ოჯახის უფროსმა მეუღლეს და იქვე მდგარ ტახტზე წამოწვა.

არავის გაუღვიძებია. რიჟრაჟზე თვითონ გაახილა თვალი და მაშინვე დაფეთებული ზეწამოიჭრა. ყორეზე შედგა და ალაზნის ჭალებს გადახედა. ბრძოლებში ნაწაფმა თვალებმა საურმე გზაზე გამწკრივებული ყიზილბაშები დაინახა. მეფის ერთგული სარდალი მიხვდა, რომ წასასვლელი გზა გადაჭრილი იყო. ახლა ყველაფერი ხმალს უნდა გადაეწყვიტა. სოფლის თავთან პირველი საბრძოლო ყიჟინა რომ გაისმა, მიქელაძე იმასაც მიხვდა, რომ ხმალი პირველად ონიკაძეებმა გამართეს. მალე ონიკაძეებს ბათუაძეების შეძახილიც შეემატა. მერე იოსელიანების, ასპანიძეებისა, და სოფლის ვიწროებში ნამდვილი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა.

რეზო მიქელაძეს ეზოში ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ვისაც ხმლისა და მშვილდ-ისრის ხმარება შეეძლო, ოცდახუთამდე კაცი შეუგროვდა. ამ ოცდახუთმა სულ მალე ყორის წინ სამოცამდე ყიზილბაში დააწვინა. მერე ირანელთა უფრო დიდი ჯგუფი რომ მოვიდა და ყორეც გადმოთელეს, ოჯახის უფროსმა ზედ ტახტთან ხუთი გადამთიელი გააგორა. შუბით შეიარაღებული ცოლიც გვერდით ედგა. ჯერ ცოლი წააქციეს ყიზილბაშებმა და გულში შუბი ჩასცეს, მერე ქმარიც ზედ დააკლეს. ეზოდან ცოცხალი არავინ გასულა. დიდ-პატარა ბატკნებივით დაჰკლეს და ყელგამოღადრულები იქვე დაჰყარეს.

ორმა ირანელმა სახლს ცეცხლი წაუკიდა. სწორედ ამ დროს ერთმა ყიზილბაშმა ტახტთან დაგდებული რეზო მიქელაძე შენიშნა. ხმალი ნელა ჩააგო ქარქაშში და იქვე მდგარ ორ ირანელს თითით მოუხმო. ის ორი მაშინვე ეახლა.

— ეს კაცი ახლავე დაასაფლავეთ.

ირანელები გაოცებული მისჩერებოდნენ მეთაურს.

— კი მაგრამ, ეს ხომ გურჯია, რამდენი კაცი მოგვიკლა!

— ახლავე დაასაფლავეთ-მეთქი.

ყიზილბაშმა ხელი ხმლის ვადაზე დაიდო და ამით ყველაფერი მაშინვე დამთავრდა. ორი დაფეთებული ირანელი მიქელაძის გვამს ეცა.

მერე ვილაცამ საბძლიდან შეშინებული გოგო გამოათრია. გოგო კი არა, უკვე სადედოდ შემზადებული ქალი გახლდათ, მუცელიც წამოზრდოდა. თუმცა ლამაზ სახეზე ბავშვობისდროინდელი უმანკო ხაზები ჯერ კიდევ არ გაჰქრობოდა. ირანელი ამ ქალს პირდაპირ ცეცხლისაკენ მიათრევდა. მაგრამ ის ყიზილბაში გამოესარჩლა, წეღან რომ რეზო მიქელაძის დასაფლავება ბრძანა.

— შენ იმ კაცისა რა ხარ? — ჰკითხა მან დაფეთებულ ქალს და რეზო მიქელაძის გვამისაკენ მიახედა.

— რძალი ვარ. მომკალ და გამათავე.

— არა, არ მოგკლავ, ეს კაცი ვაჟკაცი იყო, ნამდვილი ვაჟკაცი და მის რძალს არ მოვკლავ. სპარსეთში წახვალ.

ყიზილბაშმა ეს ბრძანება თავისიანებსაც გადასცა.

ანაგასთან თავს იყრიდნენ ტყვეები. ქვეყნის ოთხივე მხრიდან ცხვრებივით მოერეკებოდნენ ქალებს, მოხუცებს, ბავშვებს. ვისაც სიარული აღარ შეეძლო, იქვე გზაზე ჰკვეთდნენ თავს და თათრის უშველებელ ნაგაზებს მიუგდებდნენ.

ანაგის მიდამოები ჩამოკონკილი, ნაწამებ-ნაწვალები, გაძვალტყავებული ადამიანებით გაივსო. მალე ამ საცოდავ ადამიანთა უშველებელი მდინარე ირანისაკენ დაიძრა.

შუადღე რომ გადავიდა და მზემაც ცოტა იძალა, ბანაკიდან ივრისაკენ ერთი წელივით გალეული ქალი წალასლასდა. შავი, უხეში კაბა ეცვა. მაყვალივით შავი თმები კოჭებამდე სწვდებოდა. ნელა, სვენებ-სვენებით მიდიოდა. ფეხისგულები დახეთქოდა. ძლივს მიაღწია მდინარემდე. მიაღწია და შედგა, ერთ წუთს შედგა. მერე ჯერ ერთი ფეხი ჩაყო წყალში, შემდეგ მეორე. შეჩერდა და თვალები მზეს გაუშტერა. ისევ გადადგა ნაბიჯები და ის იყო წყალში უნდა ჩაეყურყუმელავებინა, რომ მკლავზე ხელის შეხება იგრძნო. არ შემობრუნებულა, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ მისი მარჯვენა მკლავი მამაკაცის ხელს გაეკავებინა.

— ქეთევან! შვილო, ქეთევან!.. განა ჩვენ რაიმედ გვიღირს სიცოცხლე, მაგრამ მაინც უნდა ვათრიოთ წუთისოფლის მძიმე პერანგი... არ დაივიწყო, რომ შენ რეზო მიქელაძის რძალი ხარ და თანაც ერთი მიქელაძე შენს მუცელში მწიფდება და მაგრდება. სიკვდილის უფლება არა გაქვს, შვილო! ხომ გაგიგია: „ჭირსა შიგან გამაგრებაო...“ ცხოვრება ტანჯვაა და მეტი არაფერი, ქართველი კაცისათვის იგი ორჯერ უფრო მეტად სატანჯველად ქცეულა. გამაგრდი, შვილო... წამომყე, ჩემს ჯალაბობასთან ერთად იყავი. ლუკმაც გავიყოთ და დარდ-ნაღველიც.

ქეთევანი ცახცახებდა. კარის მეზობლის სულხან ონიკაძის ხმა ისე ჩაესმოდა, თითქოსდა სადღაც შორიდან მათი სახლის პატრონი რეზო მიქელაძე ელაპარაკებოდა.

მეორე დილით სისხამზე ბანაკი აჰყარეს და იორს დაუყვნენ.

მდინარის იქითა მხარეს გზა უკვე უდაბნოში მიდიოდა. სადაც გახურებული მიწა გველებითა და მორიელებით იყო სავსე.

ორი დღე ამ უდაბნოში მიდიოდნენ სევდითა და თალხით დამძიმებული ტყვეები. შიმშილითა და წყურვილით გზაზე დაცემული ასობით ადამიანი სვავ-აფთრების არჩივი ხდებოდა.

ყარაბაღს რომ მიუახლოვდნენ, შეჩერდნენ. ყიზილბაშებმა ბანაკის დაცემა ბრძანეს. ისევ გაიშალნენ ცხელ მიწაზე დაღლილ-დაქანცული, არაქათგამოცლილი ტყვეები.

სულხანმა ბანაკის განაპირას, პატარა ხევთან შედარებით მყუდრო ადგილი იპოვა და თავისი ჯალაბი იქ შემოიკრიბა.

ქეთევანს ერთბაშად ცხენის ჭიხვინი შემოესმა. თავი ასწია და სერისაკენ გაიხედა.

მზის სხივებში შავრა ცხენზე ამხედრებული კაცი ჩანდა. თავზე ჩალმა ჰქონდა შემოხვეული. მხრებზე ოქრომკედით გაწყობილი მოსასხამი უფრიალებდა. გვერდით ათიოდე მხედარი ედგა, ისინიც მდიდრულად იყვნენ გამოწყობილნი. ახლოს რომ მივიდა, პაპა კახაბერი ზოზინით წამოდგა, წელში მოიხარა და ისე მიეგება უცხო მხედარს.

— ღმერთი გწყალობდეთ, დაუდ-ბეგ.

მხედარმა ცხენი შეაყენა და კახაბერს გადახედა. სიტყვა არ დაუძრავს.

დაუდ-ბეგის გაგონებაზე ქეთევანი სწრაფად წამოდგა და ზედ მხედრის შავრა ცხენის წინ მუხლებზე დაეცა.

— დიდო ბატონო, მე რეზო მიქელაძის რძალი ვარ. ბევრჯერ გხლებიათ იგი ბრძოლაში. დაგვიხსენი, გვიშველე რამე.

მხედარი დუმდა. მერე, გვიან, ქეთევანმა ზევით აიხედა, დაინახა დაუდ-ბეგის მთლად გაფითრებული სახე. ლოყებზე ორი კურცხალი დაცურებოდა...

ქეთევანმა შეჰყვირა და მაშინვე დაუდ-ბეგის გაბზარული ხმაც მოესმა:

— ღმერთო, დამიფარე... თავად მეც უსამშობლოდ დარჩენილი, გაუმაძღარი სვავის ლუკმა ვარ. როდის ინებებს ჩემს გადაყლაპვას ირანის ლომი, არ ვიცი...

მხედარმა ცხენს დეზი ჰკრა და მოოქრული მოსასხამის ფრიალით სერისაკენ გაკურცხლა.

პაპა სულხანმა იგრძნო, შემოხეული ჩოხის კალთა რომ მოქაჩა შვილიშვილმა. თორმეტი წლის გიორგი სახეში შეჰყურებდა პაპას.

სულხანმა გიორგის ბეჭზე ხელი მოუთათუნა.

— შვილო, კარგად დაიმახსოვრე ამ კაცის სახე. იგი ყარაბაღის გამგებელი ბეგლარბეგი დაუდ-ხან უნდილაძეა. მისი ძმა იმამ ყული-ხანი შირაზის ბეგლარბეგია.



მათმა მამამ, ალავერდი-ხანმა შაჰს მიჰყიდა სული და მთელს ირანში დიდი საგმირო საქმეები დაატრიალა. შაჰის შემდეგ პირველი კაცი გახდა, მაგრამ სხვის წისქვილში ქვის კოდვა სიპ კლდეზე ცოცვას ჰგავს. არავინ უწყის, როდის მოგიცურდება ხელი და ღრმა უფსკრულში ჩაიჩეხები. კაციშვილი არ გამოჩნდება, ხელი რომ გამოგიწოდოს.

თითქმის სანახევროდ შეთხელებული ტყვეები ყიზილბაშებმა არაქსზე გადარეკეს და თავრიზის გზის გაყოლებაზე გაამწკრივეს. ისე აღარ ჩქარობდნენ, ირგვლივ ყაჯართა და თურქმანთა მომთაბარე ტომები სახლობდნენ და თავი ქუდში ჰქონდათ, რამდენიც არ უნდა ეცადა გაქცევა რომელიმე ტყვეს, დიდი-დიდი ერთი-ორი დღე თუ შეიყუჟებოდა სადმე. მერე ან სიკვდილი იპოვიდა, ანდა კიდევ — ყაჯრის დაგეშილი ნაგაზი.

თავრიზს რომ გასცდნენ, ტყვეები ორ ნაწილად გაყვეს, ნაწილი ხორასანისა და მაზანდარანისაკენ გაირეკეს, ნაწილიც ისპაჰანისაკენ. შაჰმა კარგად იცოდა ქართველი კაცის ძალა და მათი დასახლება განაპირა პროვინციებში გადასწყვიტა. ირანის ლომს ერთი ხელით ორი კურდღლის დაჭერა სურდა: ქართველები იმპერიის კარგ მესაზღვრეებადაც ჰყოლებოდა და მომთაბარე ველური ტომებისათვის აგრონომის მოვალეობაც გაეწიათ.

ისპაჰანს რომ გამოსცდნენ, პაპა სულხანი მიწაზე დაწვა და ჯალაბი მიიხმო. ვკვდებიო, თქვა მოხუცმა, ყელზე მიბმული პარკი როგორც იყო გაკვნიტა და ქართული მიწა გამომშრალ მკერდზე მოიფრქვია...

იქვე გაუთხარეს საფლავი და დაფლეთილ ჩოხაში გამოკრული მიწას მიაბარეს.

ამ ამბიდან სწორედ ერთი კვირის შემდეგ, ორშაბათ დილის სისხამზე, ქარავანი ფერეიდანს მიადგა.

მტვრიან ბილიკებზე აჩრდილივით გაკრული ხალხი იმ დაწრეტილ მდინარეს ჰგავდა, რომელსაც ძალაც გამოსცლია და წყალიც, ვერც კი გაიგებ, მიდის თუ ოჩანი ცხენივით ერთ ადგილზე დგას...

წინ, მოქუფრულ, ხრიოკ მთებს შორის ჩანდა მოზრდილი მთა, მთის უკან კი — მეჩხერი ტყითა და ჩახრუკული ბუჩქნარით დაფარული გორაკები. არსად სახლი, არსად ბაღჩა-ვენახი და სათეს-სამკალი. ყველაფერი ისე იყო, როგორც ოდესღაც, კაშკაელებმა რომ გადაუარეს ამ მიდამოს, ცხვარი მოაძოვეს, დიდი წოწოლაკი ბუხრის ქუდები დაფერთხეს და გზას გაუდგნენ, იმ ანგარიშით, რომ პირი აქეთკენ არასოდეს ექნათ.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა... მერე ქურთები და ბახტიარები გამოჩნდნენ; აქა-იქ გომურები დადგეს, რა არის ღამე გაეთიათ. ცხვარს გარეკავდნენ და, როგორც დამშეული ვირთხები, გომურიდან გომურში გადადიოდნენ.

მეწინავე ყიზილბაშები ქურთების ნაძოვარ-ნაგომურალს რომ მოადგნენ, შუადღის ხვატი იდგა. ცხენებიდან ზანტად ჩამოვიდნენ და მუხლი გაშალეს.

მერე ტყვეების პირველმა რაზმმაც შემოაბიჯა. ერთი შუახნის სპარსელი მათ შორის ჩადგა და სულ ოთხად ოთხი სიტყვა თქვა:

— გურჯებო, აი თქვენი მიწა!.. — მერე შებრუნდა, ცხენს მოახტა და გაქუსლა.

ასე შეიქმნა ირანის იმპერიის გასათავარში დიდი საქართველოს ნამცეცა ნაწილი — ფერეიდანის ოლქი.

აქ ჯერ კიდევ არაფერს არ ერქვა თავისი სახელი. არ არსებობდა მთაციხის მთა, თათაშვილის გორა და შავგორა, კუს წყარო, სასახლეების ველი, ნაქერალები, ხორხატები, ნასერეები, სოფელი ზედა და ქვედა მარტყოფი, ჩუღურეთი, სიღნაღი, ჯაყჯაყი, რუისპირი, თვალი, ბუინი და სხვა. ადამიანს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო მიდამოს შეცვლა და გადასხვაფერება. მწყემსების გათხრილ მიწურ გომურებში ცხვრის სუნი იდგა და ყოველგვარი სიბინძურე ეყარა.

მეტი ჩარა არ იყო, ცხოვრება ამ გომურებიდან უნდა დაეწყოთ. ტყვეებმა გაასუფთავეს ისინი, წესრიგში მოიყვანეს და პირველი ცეცხლიც ააგიზგიზეს.

სულხანისეული ჯალაბიდან სულ სამმა კაცმა მოაღწია ფერეიდნამდე. ოჯახის ჩვიდმეტი წევრიდან თოთხმეტი გზაზე აღესრულა. გადარჩენილთაგან ყველაზე უფროსი გიორგი იყო, მერე თორნიკე და მერე დათუნა.

იმ ღამით მეოთხეც შემოემატათ. ოღონდ არა ონიკაანთი, არამედ მიქელაძეთა გვარისა. ახლადმოვლენილს რეზო დაარქვეს.

ეს იყო პირველი ვაჟი, რომელიც ქართველთა ახალსამოსახლოში გაჩნდა.

ახალშობილის დედამ, ქეთევანმა ახლა იგრძნო, რომ სულ ყველაფერი არ დაკარგულა. თურმე კიდევ ყოფილა ისეთი რამ, რაც საოცარი ძალით გეწევა სიცოცხლისაკენ, გავსებს და წინ მიჰყავხარ.

ცოტახანიც რომ გამოხდა, ქვემო მარტყოფში ოთხიოდე ქართული ოდასახლი გამოჩნდა. მერე კიდევ სამი და სოფელმა სოკოსავით იწყო მიწურიდან ზევით ამოსვლა. მომრავლდა სახლები და მათ კვალობაზე — ბაღჩა-ბოსტანიც.

ზემომარტყოფელ ნიკალა ონიკაძეს ვაზის ნერგიც წამოეღო.

კარგი მოვლით ქართულმა ვაზმაც იხარა ფერეიდანის მიწაზე.

იმ დღეს ზემომარტყოფში ყიზილბაშები გამოჩნდნენ. ყიზილბაშებს უკან მოლების მთელი დასტა მოჰყვებოდა. სოფელი პატარა მოედანზე შეჰყარეს, ნამდვილი ჭედვა იყო.

ერთი მოლა წინ წამოდგა.

— გურჯებო, თქვენ სპარსეთის მიწაზე ხართ. ეს მიწა ალაჰს ეკუთვნის. აქ არ შეიძლება სხვა რჯულის კაცმა იცხოვროს, ვინც ჩვენს რჯულს მიიღებს, აქ იყოს. ალაჰი იქნება მისი შემწე. ვინც არა და...

მოლამ ხელი დიდი კუნძისაკენ გაიშვირა, სადაც ჯალათი პრიალა ნაჯახს პირს უსინჯავდა.

— ამ კუნძზე დადოს თავი. აირჩიეთ ორში — ერთი, — დაამთავრა სათქმელი მოლამ.

ერთი ტყვე მოხუცი წინ გამოვიდა.

— აქ მხოლოდ მოხუცები და ბავშვები ვართ... ბებრებს ჩვენს რჯულზე გაგვივლია ცხოვრება და მიწაშიც ასევე ჩავალთ. თავს ამ ჯირკზე მოგვჭრით თუ ჩვენი დღით ჩავძაღლდებით, სულ ერთია, ბალღი კი ბალღია. თქვენი რჯულისა არაფერი იცის. დაიცადეთ, წამოჩიტდნენ და რჯულზე მერე ელაპარაკეთ.

მაგრამ მოლებმა არ დააცადეს. პირველად ამ მოხუცს დაადებინეს წაბლის კუნძზე თავი. მერე ცხრა კიდევ სხვაც მიაყოლეს. ქათმებივით დაჰკლეს ათი მთლად თეთრი მოხუცი, სოფელი მიარბ-მოარბიეს და გზას გაუდგნენ.

ორი წლის თავზე ფერეიდანში ქართველთა ახალი ჯგუფი მორეკეს. წივილ-კივილით მიეგებნენ უკვე დასახლებულები დაქცეულ-დანაცრული კახეთიდან გამორეკილ ახალ ნაკადს. ამათ ცხელ-ცხელი ამბავიც მოიტანეს.

დასასრული შემდეგ ნომერში



15844
ქ. მარქსი... ქ. სსრ
სახელმ...



იოსებ ქოქიაშვილი

# ჩვენი ამაგდარი

❋

თავისი არსებობის მანძილზე ჟურნალ „პიონერს“ ბევრმა ქართველმა მწერალმა, მხატვარმა, მეცნიერმა დასდო ამაგი. ისინი თავიანთ ნიჭსა და ცოდნას უანგაროდ ახმარდნენ დიდ მამულიშვილურ საქმეს — ქართული საუმაწვილო ჟურნალი ყოველმხრივ საინტერესო და მიმზიდველი გამხდარიყო, ყოფილიყო იგი ნორჩ მკითხველთა გულისხმიერი აღმზრდელი, მეგობარი, ერთგული მეგზური...

რედაქციამ გადაწყვიტა ჩვენს ჟურნალში სათანადო ადგილი დაუთმოს ამ მოამაგე ადამიანებზე წერილებს, მოგონებებს, რომლებშიაც წარმოჩენილი იქნება მათი ღვაწლი, კეთილშობილური თვისებები.

❋

მისი გვარი და სახელი ჩემთვის ბავშვობაშივე იყო ცნობილი. „ოქტომბრელისა“ (ასე ერქვა მაშინ ჟურნალ „დილას“) თუ „პიონერის“ ფაქიზად მოხატული ყდები და შიგნით საგულდაგულოდ დასურათებული ლექსები, მოთხრობები, წერილები, ლამაზი ასომთავრულები ამ ჟურნალებს ერთიათად მიმზიდველს ხდიდა. ეს იყო შესანიშნავი თვალსაჩინოება შინაარსისა...

მის გვარსა და სახელს ვხვდებოდი ჟურნალ „ნიანგისა“ და გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე... მისი კარიკატურა, ილუსტრაცია თუ სხვა ნამუშევრები, მუდამ მეტყველი და ხალისიანი იყო.

როცა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში მუშაობა დავიწყე, დროდადრო ინტერესით ვათვალიერებდი გაზეთის კომპლექტებს. სხვა საინტერესო მასალათა შორის, გაზეთის თითქმის ყოველ ნომერს ამშვენებდა ბავშვთა მკვირცხლი თვალები, შთაგონებული სახეები... ყოველი ნახატი მაღალი, ფაქიზი გემოვნებით იყო შესრულებული.

მე ჩემებურად წარმოვიდგინე მათი ავტორი: მაღალი, გამხდარი, ქერა... და აი, ერთხელ, ჩვენი რედაქციიდან გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში დარეკეს — იოსებ ქოქიაშვილს სთხოვდნენ მოსულიყო (ძირითად სამუშაოდ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში იყო).

პირველად მომეცა შემთხვევა, პირადად მენახა იგი. სულ მალე ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ბრგე, სასიამოვნო შესახედაობის, კეთილი გამომეტყველების კაცი. ყველაზე მეტად მისმა უბრალოებამ და სისადავემ გამახარა. რაც მთავარია, სული და გული აქვს ფაქიზი... — გავიფიქრე ჩემთვის. ეს იყო 1948 წელს. მან მშვენიერი ილუსტრაციები მოგვიტანა: ბეჯითი და ზარმაცი ბიჭუნები... მათი გახარებული და გულდაწყვეტილი დედები... პეიზაჟები...

მახსოვს, მეორე დღეს ჩემი მეზობლის ბავშვები წაკინკლავდნენ. უფროსმა ძმამ უმცროსს წასძახა: გუშინ გაზეთში ზარმაცი რომ ეხატა, სულ იმას გავხარ, შენ დაგხატესო. თუ კიდევ „ორიანს“ მოიტან, სკოლიდან გაგრიცხავენო...

მე ჩუმად გამეცინა. იმ საღამოს კარზე ფრთხილად დამიკაკუნა ზარმაცმა მეოთხეკლასელმა ბიჭუნამ და შეწუხებულმა მკითხა: — მაინც სად მნახა მხატვარმა, ასე რომ დამამგვანაო... მე საქმიანი გამომეტყველება მივიღე და ვუთხარი: ის მხატვარი სკოლებში დადის და ჩუმად გამოწმებთ-მეთქი... ორი კვირის შემდეგ, იგივე ზარმაცი მხიარულად შემომეგება: — იმ მხატვარს უთხარით, ახლაც მოვიდეს ჩვენთან, მე უკვე ოთხიანებს ვიღებო...

ვინ იცის, კიდევ რამდენ მოსწავლეს უცვნია თავი მის ილუსტრაციებში, რამდენს ინტერესით წაუკითხავს ლექსიც და წერილიც მისი დასურათების გამო... მას ხშირად რაიონებშიც იწვევდნენ გაზეთების გასაფორმებლად. რედაქციაშიც ყველას გვიყვარდა, მისი მოსვლა მუდამ გვახარებდა. დინჯი, საოცრად გონებამახვილი, ხშირად ოხუნჯიც, ღრმა სულისა და კეთილი გულის პატრონი — იმთავითვე ასე ვიცნობდით იოსებ ქოქიაშვილს. ბავშვთან ბავშვი იყო და ბრძენთან ბრძენი. გაგვიტოლდებოდა... სიმხნევეს გვმატებდა... ერთხელ ერთ სკოლაში მასალა ვერ ავიღე, დათქმული პირობა გამიმტყუნეს — კლასი მთლიანად წასულიყო, გაზეთი კი თავისას ითხოვდა. აღარ წავალ-მეთქი, ვჯავრობდი. რედაქციაში მობრუნებულს კარში იოსებ ქოქიაშვილი შემხვდა. ღიმილით მომესალმა. რამ გაგაბრაზაო, — მკითხა, მერე საუბარი სხვა ამბავზე გადაიტანა. გუნება შემეცვალა. მეორე დღეს კიდევ მივედი იმ სკოლაში და წერილიც მომზადდა.

ერთხელ, მუშაობისას თავზე წავადექი და ვთხოვე: დამიხატეთ აკაციები, იქ, ჩემს მესხეთში რომ არის, ისეთი-მეთქი. მან ოდნავ გაოცებული ღიმილით ამომხედა და მუშაობა განაგრძო. მცირე ხნის შემდეგ შემომიტანა ტუშით შესრულებული ნახატი: აკაცია, ხის ძირას პატარა ტახტი, ზედ — ჩამოცვენილი რამდენიმე ფოთოლი... ფანქარი და ქაღალდი... ამ ლამაზ, პოეტური განწყობილებით შესრულებულ ნახატს ახლაც ვინახავ. შენახული მაქვს მისივე შექმნილი მეგობრული შარჟებიც და, როცა ვათვალიერებ, გულიანად მეცინება...

მახსოვს, ერთ-ერთი საუბრის დროს ვუთხარი: თქვენ ისე მსუბუქად და მადლიანად ხატავთ, რომ ვერ წარმომიდგენია, ვინ უნდა გაგაკრიტიკოთ-მეთქი. მან, ჩვეულებრივად, დინჯად გაიღიმა და მითხრა: ჩემი პირველი კრიტიკოსები ჩემივე ბავშვები არიანო (ერთი მათგანი, ვახტანგ ქოქიაშვილი, ახლა უკვე მხატვარია). მართლაც, იგი მთელი შინაგანი ცხოვრებით ახლოს იყო ბავშვებთან. იოსებ ქოქიაშვილმა თავისი მოღვაწეობა პრესას მიუძღვნა. მთელი მისი ნათელი ცხოვრების მანძილზე ერთგულად ემსახურება ქართული ჟურნალ-გაზეთების მხატვრული გაფორმების საქმეს. სად არ შეხვდებით მისი ყალმის მადლს. მხატვრობა ბავშვობაშივე იზიდავდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წელს იგი, 16 წლის ჭაბუკი და უკვე მხატვრად წოდებული, თავის მშობლიურ სოფელში აფორმებს მოწო-

დებებს, ცნობებს, ახალ ამბებს... ამ დღეებიდან იწყება მისი საზოგადოებაში გამოსვლა. იგი შედის თბილისის სამხატვრო აკადემიაში და ერთსა და იმავე დროს წარჩინებული სტუდენტიც არის და სკოლაში ხატვის მასწავლებელიც. აქ იოსებ ქოქიაშვილი უფრო ღრმად ჩასწვდა ბავშვის სულიერ სამყაროს. ამ დროიდან მოღვაწეობს პოლიტიკურ კარიკატურაშიც. აი, როგორ იგონებს მას მწერალი ლავრენტი ჭიჭინაძე:

,,იგი ყველა რედაქტორთან ახლოს იყო, მუდამ დაუზარელი და ერთგული მშრომელი... დიდი სამამულო ომის დროს მან კარგა გრძელი გზა განვლო საფრონტო გაზეთის რედაქციაში... ომის დამთავრებამ ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მიუსწრო, სადაც გაიცნო ავსტრიელი მწერალი ჰუგო ჰუბერტი. ჰუგო ჰუპერტმა მშვიდობიანობის დროს თბილისში ინახულა ფრონტელი მეგობარი''.

როცა მესხეთში დიდი შოთა რუსთაველის იუბილე გადაიხადეს, ზეიმზე ,,ვეფხისტყაოსნის'' მთარგმნელ ჰუგო ჰუპერტს მეც შევხვდი და მისი ლექსი ,,ახალციხე'' მოვისმინე. იგი ახლოს მოვიდა ჩვენთან — მესხებთან და ღიმილით დაასახელა თავისი ქართველი მეგობრების გვარები... მათ შორის ახსენა იოსებ ქოქიაშვილი, როგორც ფრონტელი მეგობარი და ხელოვანი. მე სიამაყით ვთქვი, რომ კარგად ვიცნობდი ამ მხატვარსა და შესანიშნავ მოქალაქეს.

დაბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ მისი წმინდა ხელოვნების მადლი ჩემს პატარა ლექსსაც დაეპკურა: გაზეთში დაიბეჭდა ლექსი ,,დედაენით ჩაუქროლა'', რომელიც მხატვარმა საოცრად აამეტყველა. მოხდენილი გოგონა ,,დედაენით'' ხელში მიქრის ვერხვების ხეივანში, საიდანაც სკოლის ლამაზი შენობა მოჩანს... სწორედ ისეთი, როგორიც ჩემი მშობლიური სკოლა იყო.

თითქმის ყოველდღე ვხვდები რუსთაველის პროსპექტზე ამ უპრეტენზიო, თავმდაბალ, დიდად განათლებულ კაცს, ღვაწლმოსილ მხატვარს. იგი ალ. ჭავჭავაძის ქუჩით ჩამოუხვევს ხოლმე. როცა ერთმანეთს მოვიკითხავთ, თვალს გავაყოლებ და ვფიქრობ: დიდხანს, დიდხანს იცოცხლე შენი ნათელი მოწოდებისათვის, ადამიანთა სიკეთისათვის.

ელენე დიდიმამიშვილი.

## ჩვენი უცხოელი თანატოლები

# მარიატეგის სახელობისა

მარიატეგის სახელობის ბავშვთა ორგანიზაცია. ასე უწოდებენ თავის თავს პერუელი პიონერები.

ხოსე კარლოს მარიატეგი, გამოჩენილი პერუელი მარქსისტია, მან ჯერ კიდევ 1928 წელს დააარსა პერუს კომუნისტური პარტია, ამიტომ ატარებს პიონერული ორგანიზაცია მის სახელს. მისი ავტორიტეტი მეტად დიდია. მთელმა პერუელმა ხალხმა იცის, რომ ცხოვრების მიზანი თანასწორობისათვის, სამართლიანობისათვის, უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლაა, და იცის, რომ ხოსე კარლოს მარიატეგიმ მთელი ცხოვრება ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას შესწირა.

დღეს პერუს კომუნისტური პარტია იბრძვის ქვეყანაში ანტიფეოდალური, ანტიიმპერიალისტური რევოლუციისათვის. ეს სოციალისტური რევოლუციისაკენ მიმავალი გზის პირველი ეტაპია. დღევანდელი ბავშვები ამ ბრძოლის ავანგარდში იქნებიან, ამიტომ აქცევს ასეთ დიდ ყურადღებას მათ აღზრდას კომპარტია, კომუნისტური ახალგაზრდობა...

ახალგაზრდულ კომუნისტურ კავშირს საგანგებოდ ჰყავს გამოყოფილი ხალხი ბავშვების ხელმძღვანელად. 1976 წლის თებერვალში პერუში ჩატარდა კომუნისტური ახალგაზრდობის ყრილობა. ამ ყრილობაზე ძირითადი საკითხი იყო ბავშვთა და ქალთა ორგანიზაციების შექმნა. ოფიციალურად პირველად დაინიშნენ პიონერთა ხელმძღვანელები.

რა ამოცანებია მათ წინაშე დასახული?

ორგანიზაცია ისევე, როგორც პერუს კომუნისტური პარტია, ებრძვის იმპერიალიზმს და იბრძვის ქვეყანაში სოციალიზმის ასაშენებლად.

კვირაში ერთხელ პიონერები კომკავშირულ კომიტეტებში იკრიბებიან. ზაფხულობით კი კვირაში სამჯერ-ოთხჯერ მეცადინეობენ ტექნიკურ, სამეცნიერო წრეებში, ეწაფებიან საყვარელ საქმეს, მონაწილეობენ თეატრალურ წარმოდგენებში, ვარჯიშობენ სპორტულ სექციებში, მონაწილეობენ შეჯიბრებებში. მათთვის ბევრი შეჯიბრი და კონკურსი, მრავალი დღესასწაული ეწყობა. ბავშვებს უყვართ ეს, და ორგანიზაცია დღითი-დღე იზრდება.

— როგორი დამოკიდებულება გაქვთ თქვენს ორგანიზაციასთან, რატომ იზრდება იგი დღითი-დღე? — ვეკითხებით პერუელ ბავშვებს.

— ქალაქ ტუანიკში ვცხოვრობ,—ყვება ანგელე პარლოს უერტა, —1973 წელს ჩამოვედი ლიმაში და გავეცანი პიონერთა საქმიანობას, მერე კი ჩემს ქალაქში ჩამოვაყალიბე პირველი ბავშვთა ორგანიზაცია. ახლა 40-ნი ვართ. ვეცდებით ვისწავლოთ კომუნისტებისაგან, მივბაძოთ და დავეხმაროთ მათ. ვმონაწილეობთ სოლიდარობის აქციებში, ვავრცელებთ კომუნისტურ ფურცლებს, სადაც მოთხრობილია, თუ რა ხდება ჩილეში. და როგორ უნდა ვიბრძოლოთ სოციალიზმისათვის.

— ანგელე,—ჩაურთო სიტყვა ოტინიანამ, ქალაქ ტრუხილიოს ახალგაზრდობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, — ახალგაზრდა კომუნისტების ყრილობაზე ერთადერთი პიონერი დელეგატი იყო.

— ჯერ-ჯერობით ჩვენს ორგანიზაციაში ძირითადად კომუნისტების შვილები შემოდიან. ყრილობაზე ლაპარაკი იყო, რომ ორგანიზაცია მასობრივი უნდა გახდეს, ხოლო კომუნისტური ლოზუნგი—საერთო. ამიტომ ჩვენ, პიონერები მივდივართ სხვა ბავშვების მშობლებთან, ვუხსნით რა კარგი ორგანიზაცია გვაქვს და რა დიდებული მიზანია დასახული... ხოსე კარლოს მარიატეგის სახელი ძალიან გვეხმარება...

აი, ასეთი საუბარი მქონდა პერუელ ბავშვებთან და მათს ხელმძღვანელებთან. ახლა თვითონ წარმოიდგინეთ, როგორი ყოჩაღი და საიმედო ცვლა ეზრდებათ პერუელ კომუნისტებს.

ვუსურვოთ მათ წარმატება, ამ მძიმე და რთულ ბრძოლაში!

ლ. სიმონოვა.

ჟურნალი ,,პიონერი'' (მოსკოვი)




# ზნეობის ანბანი

## შრომისმოყვარეობა — შრომის სიყვარული, ჩვევა, მუშაობაში მონდომება

ერთხელ ერთმა მეშვიდეკლასელმა ბიჭუნამ „პიონერსკაია პრავდას“ მისწერა, მინდა კომბაინერი გავხდე, მასწავლებელი კი დაცინვით „კოლმეურნეს“ მეძახისო. „არ ვიცი, რა გავაწყო ამ ჩემს ოცნებასთან“, — წერდა ეს ბიჭუნა. რედაქციამ სთხოვა ცნობილ საბჭოთა მწერალსა და რეჟისორს ვასილი შუკშინს პასუხი გაეცა ამ ბიჭუნასთვის და კიდევ ბევრი სხვისთვის, რომელთაც ასეთი ხასიათის წერილი გამოუგზავნეს რედაქციას.

ვასილი შუკშინს მრავალი წელი ჰქონდა გატარებული სოფელში, ბევრს და თავდაუზოგავად მუშაობდა, არ უყვარდა ფუჭი ლაპარაკი.

„მეც იმით დავიწყებ, რითაც შენ, — ოცნებით. მაგრამ ჩვენ ამთავითვე გავიმიჯნებით: მე არ მიყვარს ოცნება. შენ კი, ცოტა არ იყოს, თავს იწონებ შენი ოცნებით, ამასთან მუქარაც შეინიშნება შენ სიტყვებში: აი, ავიღებ და სულაც თავს დავანებებ ოცნებასო! ერთი სიტყვით, შენ ოცნებობ, მე კი მოვრჩი ოცნებას. ორივეს გვაქვს ამის საფუძველი: შენ ცხოვრება დაიწყე, მე ჩემი გასავლელი გზის დიდი ნაწილი გავლიე. შეგვიძლია ჩვენ ერთმანეთს გავუგოთ? თუ სურვილი გვექნება, უსათუოდ გავუგებთ.

მე არ მინდა, შენ ოცნებას გადაეჩვიო (მე ამას ვერც შევძლებდი, რომ მომენდომებინა რაიმე მიზნით, ამის ძალა არც მე და არც არავის არ შესწევს), მე მხოლოდ მინდა, რომ შენ იცოდე: სასურველ მიზანთან მხოლოდ და მხოლოდ გონება და შრომა მიგიყვანს. მჯერა, რომ შენ უკვე ტვინი გაგიხვრიტეს ასეთი ლაპარაკით და თითქოს ვხედავ კიდეც შენს უკმაყოფილო სახეს. ძალიან მინდა დაგაჯერო, მაგრამ ვერ ვპოულობ ამაზე უფრო ზუსტ სიტყვებს: გონება და შრომა. ამ სიტყვების ბრალი როდია, რომ მათ ასე ხშირად, არცთუ ისე იშვიათად ფუჭად, თვალთმაქცურად ხმარობენ „კარგი შეფასებისთვის“ ანდა იმისთვის, რომ ხალხს კარგი წარმოდგენა შეუქმნან საკუთარ თავზე... სიტყვები არ არიან დამნაშავე, ისინი მართალს ამბობენ, მარადიულნი არიან. შენ რომ ცოტათი მაინც დაგაჯერებდეს ჩემი გამოცდილება (მეც სოფლელი ბიჭი ვარ, ცხოვრება გაჭირვებით დავიწყე, მშიერმა; ადრე მოვეკიდე შრომას), ისიც ამაშია: მთავარი ძალა ქვეყნიერებაზე — გონება და შრომაა. აქ არ უნდა დაგაფრთხოს იმან, რომ ეს ძალზე მარტივია. ამ უბრალოებისთვის ადამიანები ცხრა მთას იქით მიდიან, მთელი სიცოცხლის მანძილზე ეძებენ. ეს არ არის უბრალო. უბრალო მხოლოდ ამის არგაგებაა. შენ უფლება გაქვს იფიქრო, რომ გონიერსა და შრომისმოყვარე კაცს ყოველთვის როდი ულხინს ცხოვრებაში (ასე ვთქვათ: ყოველთვის როდი ცხოვრობს ის სხვაზე უკეთ). ამას შენ უკვე შენიშნავდი. მაგრამ მე მაქვს უფლება დაგიმტკიცო, რომ ყოველივე ღირებული და ძვირფასი დედამიწაზე შექმნა ჭკვიანმა, ნიჭიერმა, შრომისმოყვარე ადამიანმა. კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არასოდეს არც ერთ უქნარას არ შეუქმნია რაიმე მნიშვნელოვანი, ამაში უნდა დამეთანხმო.

მე ოცნებას არ ვუარყოფ, მაგრამ მწამს შრომის. ოცნება ოცნებად, მაგრამ, როდესაც ოსტატი ხელს კიდებს საქმეს, როცა მისმა ხელებმა იციან და შეუძლიათ გააკეთონ ზუსტად, ლამაზად, ჭკვიანურად — ეს ყოველგვარ ოცნებაზე ძვირად ფასობს. და კიდევ: მე არ მჯერა ლამაზი სიტყვებისა. ოცნება — მეტისმეტად ლამაზი სიტყვაა. ადამიანებმა ბევრი ლამაზი სიტყვები თქვეს, ახლა საჭიროა ამდენივე და რაც შეიძლება კიდევ მეტი ლამაზი საქმის გაკეთება.

ერთი რჩევაც: ნუ გეწყინება მასწავლებლისა. ისიც ცდება, ეტყობა, ბოლომდე ვერ გაუგია საქმის არსი. ანდა რატომ უნდა იცოდეს ყველაფერი?! საერთოდ ეცადე ნაკლებად გეწყინოს ადამიანებისაგან, სასოწარკვეთას ნუ მიეცემი. შენ თვითონ ხარ შენი ბედის ბატონ-პატრონი. (ხედავ, მეც ლამაზად გამომივიდა. სამწუხაროდ, ლამაზად თქმა უფრო იოლია). კიდევ რა გითხრა? ეცადე სხვაზე მეტი იცოდე, სხვაზე მეტი იმუშაო — სულ ესაა. ეს არ არის ადვილი, ეს მთელი სიცოცხლის საქმეა, მაგრამ სწორედ ასეთები გვახსოვს, სწორედ ასეთები არიან პატივისცემის ღირსნი. ვინც არ უნდა იყო შენ — კომბაინერი, აკადემიკოსი, მხატვარი — ეცადე ბევრი იცოდე, იცხოვრე და იშრომე მთელი ძალით. ნუ იწუწუნებ და ნუ შეგშურდება სხვისი. უსინდისოდ ნუ მოიქცევი, ეცადე იყო კეთილი და სულგრძელი — აი, ეს იქნება შესაშური ბედი. ხოლო, როდესაც ასეთი გახდები, დაეხმარე სხვებს. ვიცი, ეს მეტისმეტად ძნელია, მაგრამ, ეტყობა, მეც გამიტაცა ოცნებამ... გულით მინდა, რომ ასე აეწყოს შენი ცხოვრება. მშურს შენი (ეს მისატევებელია), შენი თოთხმეტი წლისა, — შენ იწყებ, შესაძლოა კარგადაც იწყებ, ყოველ შემთხვევაში, გეძლევა საშუალება კარგად დაიწყო — წინ კი მთელი სიცოცხლე გაქვს. ბევრი შეგიძლია მოასწრო! კიდევ: მეტი იკითხე, ახლოს არ გაიკარო ფიქრიც კი სმაზე (ცხადია, მომავალს ვგულისხმობ), ნუ დაიწყებ თამბაქოს წევას. ნუ აჰყვები იმათ, ვინც ეს ადრე ასაკში დაიწყო, — ეს ცუდი საქმეა. გახსოვდეს, რომ შენ ბევრის გაკეთება უნდა მოასწრო შენი ხალხისთვის, და ყველაფერი, რაც ამაში ხელს შეგიშლის — ღვინო, თამბაქო (ჯანმრთელი უნდა იყო), სიზარმაცე, ჭარბი პატივმოყვარეობა — თავიდან მოიცილე“.

**ვასილი შუკშინი.**

შრომისუნარიანობა განუყოფელია შრომისმოყვარეობისაგან. რაც უფრო მაღალია შრომისუნარიანობა, მით მეტია შრომის ნაყოფიერება.

...კვირა დღე იყო — დასვენების დღე, მაგრამ იაროსლავლის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების უფროსი, დიმიტრი პავლეს ძე გოლუბეევი მოხუცისთვის ჩვეული ფუსფუსით ხან დერეფანში, ხან პა-

ლატებში გამოჩნდებოდა ხოლმე. აი, საოპერაციო შეამოწმა, შენიშვნა მისცა მომვლელ ქალს კარზე შერჩენილი მტვრისათვის, ხელადაშიც კი ჩაიხედა, რომლიდანაც იგი წყალს უსხამდა მწოლიარე ავადმყოფებს. „რატომაა შიგნით ასე გამოყვითლებული?“ — „რამდენი ვხეხე, მაგრამ საშველი არ დაადგა“, — უპასუხა ბებია ანიამ.

ნახევარი საათის შემდეგ დიმიტრი პავლეს ძე უკვე ამთავრებდა ახალგაზრდა ქალის გასინჯვას, რომელიც ეჭვიანობის ნიადაგზე ქმარს დანით დაეჭრა.

შემდეგ ისევ სანიტარულ ოთახში დაბრუნდა და ხელადის ხეხვას შეუდგა. მომვლელი ქალი დაიბნა, გაწითლდა.

მე ვიცოდი, რომ გოლუბევი შაბათობითაც კი საღამოხანს მიდის საავადმყოფოდან შინ, კვირას და დღესასწაულების დღეებშიც მოდის საავადმყოფოში. 7 ნოემბერს დილით ტრიბუნაზე დგას, სადილობისას კი უკვე აქ არის, სამუშაოზე, და მაინც შევეკითხე: „დიმიტრი პავლეს ძევ, კონსტიტუციით მონიჭებული გაქვთ დასვენების უფლება. თქვენ კი არ გინდათ ისარგებლოთ. რატომ მოხვედით?“ მან მომიგო: „როგორც ჩანს, მუშაობა არ ვიცი“. და ეს ისეთნაირად თქვა, რომ ცხადი იყო: მუშაობა მან იცის, და ეს რომ ასეა, ამის მაჩვენებელია იმედი, რომელსაც იგი უნერგავს ადამიანებს, და სიხარული, რომელსაც ამასთან თვითონ განიცდის.

და მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მოვიგონეთ მეცნიერი ლიუბიშჩევი, რომელმაც არაერთი სამეცნიერო აღმოჩენა გააკეთა. მას ერთი წმინდა წესი ჰქონდა: არ ყოფილიყო დროის მონა: როგორც კი იგრძნობ დაღლას, დაისვენე, რომ შეგეძლოს დამქანცველი საქმიანობის კომბინირება სასიამოვნოსთან...

ცხოვრების ამ ორი წესიდან რომელია სწორი?

„გააჩნია სამუშაოს ხასიათს“, — მომიგო დიმიტრი პავლეს ძემ და დასძინა:—ამასთან უნდა იმუშაო ხალისიანად და ბევრი.

გამახსენდა სულ სხვაგვარი მაგალითი. ერთი ბიოლოგიის მასწავლებელი, უკვე ხანში შესული, ავადმყოფი ქალი, მთელ თავის დროს ბავშვებს ახმარდა. იყო კლასის დამრიგებელი, ხელმძღვანელობდა საგნობრივ წრეს. ხშირად აწყობდა კრებებს. მორიგეობის დღეებში მოსწავლეებთან ერთად რეცხავდა საკლასო ოთახის იატაკს. თუ გოგონები ამას ჰაიჰარად აკეთებდნენ, იგი მათ კუთხეში აყენებდა, რომ ეყურებინათ, თვითონ როგორ რეცხავდა კედლებს, მერხებს, იატაკს. ეს მასწავლებელი იყო პატიოსანი, კეთილსინდისიერი მშრომელი. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი შრომისუნარიანობა მხოლოდ და მხოლოდ ხელოსნური იყო. მას არ შესწევდა უნარი, რითიმე დაეპყრო მოსწავლეები. მათი გულები დაფარული იყო ყმაწვილური სიმკაცრისა და გულგრილობის ყინულით. ამასთან ეს ქალი შინ კიდევ უვლიდა ორ შვილსა და ქმარს, ასწორებდა მოსწავლეთა რვეულებს. მაგრამ მას უკვე აღარ შესწევდა ძალა გაღიმებისა, აღარ შეეძლო ხალისიანად მუშაობა და დასვენება. იგი უსაშველოდ იღლებოდა, ბუზღუნებდა, ყოველგვარ წვრილმანზე ჯავრობდა.

მოაწესრიგო შენი დრო, შენი შრომა, მოიცილო მეორეხარისხოვანი, — ეს ძალზე მნიშვნელოვანია. მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია დაძაბული მუშაობის დროს შეგეძლოს გამოთიშვა, დასვენება, იმისათვის, რომ აამაღლო შენი შრომისუნარიანობა.

მე ვიცნობ ორ მეათეკლასელს. ერთი გაკვეთილებს უზის დილიდან დაღამებამდე, იშვიათად თუ უყურებს ტელევიზორს. მეორე კი ტელევიზორს უყურებს და თან ღია ფანჯარასთან ფიზკულტურულ ვარჯიშს აკეთებს. ორივეს თანაბარი მოსწრება აქვთ — ოთხებზე სწავლობენ. ამასთან თუ ეს მეორე მხნეა და სიცოცხლის მოყვარული, პირველი გამხდარია, ფერმკრთალი და გამუდმებით მოუსვენრობის დაღი აზის.

ამერიკელ საქმოსნებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, არაჩვეულებრივი გამრჯელობით გამოირჩევიან, შეუძლიათ დღისით სამუშაო გაწამაწიის დროს ერთი ათი წუთით ჩაიკეტონ და სავარძელში წაიძინონ; და ვერაფერი ვერ აიძულებს მათ დაარღვიონ ეს რეჟიმი.

ჩვენს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საუკუნეში, როგორც არასოდეს, ისეა აუცილებელი ადამიანურობის შეხამება ყოველდღიურ მოუცლელობასთან. დროის ცაიტნოტი გვაშორებს მეგობრებს, ახლობლებს, აღარ გვიტოვებს დროს სიხარულისა და მწუხარებისათვის. ვიღაც ვერ პოულობს დროს ნახოს ავადმყოფი, წავიდეს დედის საფლავზე: ეს ხომ დროის ფუჭად დაკარგვაა (?!).

იშრომო და ყველაფერი მოასწრო გულქვაობის, გრძნობის დაჩლუნგების საფასურად—აბა, ვის რად უნდა ასეთი შრომისუნარიანობა!

... ახლა კი ისევ დიმიტრი პავლეს ძე გოლუბევს მივუბრუნდეთ. ვკითხოთ მას:

— თქვენ 70 წლისა ხართ, 1943 წლიდან პარტიის წევრი. დასტაქრად მუშაობთ 43 წელია, გაკეთებული გაქვთ 12 000 ოპერაცია, ხართ საზოგადო მოღვაწე, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი. როგორ ასწრებთ ყველაფერ ამას? რაშია თქვენი ასეთი შრომისუნარიანობის მიზეზი?

— ვინ გითხრათ, რომ მე ყველაფერს ვასწრებ? რაღაც-რაღაცეებს ვასწრებ, მაგრამ... ყველაფერს ვერა. დილით ადრე, 6 საათზე ვდგები, ვღებულობ ცივ შხაპს. ორგანიზმი მთელი დღის საკმარის დაჭურვას იღებს. საღამოობით კი 8 საათიდან ხშირად 12 საათამდე კიდევ ერთი სამუშაო დღეა, ეს უკვე მშვიდი მუშაობის საათებია. ვკითხულობ, ვწერ, ვფიქრობ, თუ არ ვცდები, ენგელსი ამბობდა, საქმიანობის მონაცვლეობა ყველაზე კარგი დასვენებააო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. ამას გარდა, მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ თვითმასაჟს. ამის წყალობით თანდათან ერთვება მოქმედებაში სხეულის ყველა ნაწილი. ვფიქრობ, რომ ფიზკულტურული ვარჯიში ყველამ თვითონ უნდა შეარჩიოს. ერთს უფრო მეტი ჩაჯდომი სჭირდება, მეორეს მეტი ხელის ქნევა. ყველასთვის ძალზე მნიშვნელოვანია სუნთქვითი ვარჯიშები, რომელიც შინაგანი ორგანოების ჟანგბადით მომარაგებას ემსახურება.

— კიდევ ერთი შეკითხვა, დიმიტრი პავლეს ძევ. მატულობს თუ არა შრომისუნარიანობა მაშინ, როდესაც შრომას კმაყოფილება მოაქვს?

— რასაკვირველია. რაც მეტს ვმუშაობ, მით ნაკლებია ჩვენს ქირურგიულ განყოფილებაში ნაკლოვანება. და რაც უკეთ მიდის საქმე სამსახურში, იმდენად მეც უკეთ ვგრძნობ თავს. ხომ ცნობილია, რომ კმაყოფილება ყველა საქმეში ძირითადი მამოძრავებელია, სტიმულია შრომისუნარიანობაში. აი, რატომ არის ყველა ადამიანისათვის აგრერიგად აუცილებელი იპოვოს მოწოდება, ის საქმე, რომლისთვისაც მოუნდება თავდაუზოგავად შრომა, და რომლის გამოც არ იგრძნობს უკმაყოფილებასა და გულნაკლულობას.

დიმიტრი პავლეს ძემ ხალათი შეიბნია და ავადმყოფებისაკენ გაეშურა. და ყველამ როდი იცოდა, რომ თეთრ ხალათს ქვემოთ მკერდზე მას სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავდა.

ა. ალექსეევა.

**მარინა უგიაშვილი**

## უნდა ინათო!

მამულო ჩემო!
დღეს შენ გჭირდება
ჩემი მარჯვენაც და
ჩემი სუნთქვაც.
მწვანე ცხოვრების
ზვარში ვიღიინებ,
მეზვრეს
დღედაღამ
ფიქრები მოუთქავს.
შენი დიდგორი
სულში მინთია,
ზეცის ნათელი
გულზე გადამდის.
შენი მზე ახლა
უფრო დიდია,
მზე კრწანისისა
და მზე მარადის...
ხელით ვატარებ
ვარძიას,
გელათს,
შენს სვეტიცხოველს,
გრემს და იყალთოს...
უკვდავი სულის
ხარ ამღერება,
უნდა ინათო,
უნდა ინათო!

●

მათრობს
ქართული
მიწის სურნელი,
თვალის ახელა
პირველი კვირტის...
ირველის სიმწვანე
მიხმობს,
მიცინის
და შემომცქერის
თვალებით ირმის.
ზამბახისფერი
ზეცის მშვენება
შემომენთო და
მაწვიმს ფერებად.
შემომაგებებს
მამულის ღიმილს,
დედის თვალებით
მომეფერება.

# როგორ გავხდეთ პოლიგლოტი

**ვ. პეკელისი**

ერთი ძველი ლეგენდა ამბობს: ადამიანები გაამაყდნენ და ღმერთს აუხირდნენ — ცამდე კოშკს ავაგებთო. შეეშინდა უფალს: ვაითუ ადამიანებმა მართლა ჩემამდე ამოაღწიონ... ესენი ხომ ერთ ენაზე მეტყველებენ... და რასაც გადაწყვეტენ, შეასრულებენო. უფალი ცით ჩამოვიდა და კაცთა მოდგმას ენა აღურია, „რათა ვეღარ ესმინათ ნაუბარი ურთიერთისა“. გადმოცემა ამტკიცებს: მას შემდეგაა, რომ ადამიანები სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდნენო. ასე მარტივად ხსნიდნენ წინათ ხალხთა მრავალენიანობას და ამის გამო მათ შორის გაძნელებულ ურთიერთობას.

ლინგვისტთა მსოფლიო კონგრესზე წაკითხულ ერთ-ერთ მოხსენებაში ნათქვამი იყო: დღეს დედამიწის ზურგზე 2976 ენაზე ლაპარაკობენ. ზოგიერთ ენაზე მილიონობით ადამიანი მეტყველებს, ზოგიერთზე — ერთეულები. ყველაზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს ჩინურ ენაზე, ინგლისურზე — 250 მილიონი, ჰინდისა და ურდუს ენაზე — 160 მილიონი.

ერთ-ერთი გავრცელებული, მეტყველი, მდიდარი ენაა რუსული. მას ახლა ყველა კონტინენტზე სწავლობენ. რუსული ენით დღეს 200 მილიონზე მეტი ადამიანი სარგებლობს.

არსებობს ცამეტი „დიდი ენა“, ამ ენებზე ლაპარაკობს დედამიწის მოსახლეობის ოთხმოცდაათი პროცენტი. დასახელებული ჩინურის, ინგლისურის, ჰინდისა და რუსულის გარდა, უნდა აღინიშნოს სხვებიც: ესპანურზე ლაპარაკობს 140 მილიონი ადამიანი, გერმანულზე — 100 მილიონი, იაპონურზე — 80-60 მილიონი, პორტუგალიურზე — 55 მილიონი, იტალიურზე — 55 მილიონი, არაბულზე — 50 მილიონი.

ზემოთ აღნიშნული 2976 ენიდან 1200 ამერიკელ ინდიელებზე მოდის. ისინი კი მხოლოდ 17,5 მილიონი არიან. არსებობენ ძალზე მცირერიცხოვანი ხალხები, რომელთაც თავიანთი ენა და დამწერლობა აქვთ. საბჭოთა კავშირში კოლის ნახევარკუნძულზე ცხოვრობენ საამები. საამების რიცხვი სულ 1700-ია, მაგრამ მათ აქვთ თავიანთი ენა და დამწერლობა.

ვინც ცამეტი „დიდი ენა“ იცის, იმას თეორიულად საშუალება აქვს დაელაპარაკოს ორ მილიარდ ადამიანს. მაგრამ ენის შესწავლისას მარტო მისი გავრცელების მასშტაბით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, საჭიროა ყურადღება მიექცეს სხვა ფაქტორებსაც. მაგალითად, ყველაზე მეტი წიგნი გამოდის რუსულ ენაზე. რუსულზევე გამოდის ყველაზე მეტი ტექნიკური ლიტერატურა. ინგლისურ ენაზე ყოველდღიურად იმდენივე გაზეთი იბეჭდება, რამდენიც მსოფლიოს ყველა სხვა ენაზე ერთად. ყველაზე მეტი წიგნი ინგლისურიდან, შემდეგ რუსულიდან, ფრანგულიდან და გერმანულიდან ითარგმნება. ხოლო გეოგრაფიული გავრცელების თვალსაზრისით პირველი ადგილი ესპანურ ენას უჭირავს.

რომელი ენაა „მოდაში“? ამბობენ, ინგლისური და რუსულიო. წინანდელზე მეტად სწავლობენ ესპანურსა და აღმოსავლურ ენებს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უპირველესად შესწავლილი უნდა იქნეს ძირითადი ენა, შემდეგ მასთან ახლოს მდგომი, მონათესავე ენა. ცხადია, რაც უფრო მეტი ენა იცის ადამიანმა, მით უფრო იოლად ითვისებს ახალ ენას.

უცხო ენების შესწავლის ერთ-ერთი ენთუზიასტი ფილოლოგი ტ. აუერბახი მოგვითხრობს: ცნობილ გერმანელ არქეოლოგს ჰენრიხ შლიმანს თუ პირველი ორი უცხო ენის — ფრანგულისა და ინგლისურის შესასწავლად თითო წელიწადი დასჭირდა, შემდეგ ყოველ ახალ ენას რამდენიმე კვირაში, ზოგს კი რამდენსამე დღეშიც სწავლობდაო. როცა შლიმანი ვენესუელისაკენ მიემგზავრებოდა, ჰამბურგში ორ მეგობარს უთხრა: კარაკასში რომ ჩავალ, ესპანურად მეცოდინება ლაპარაკიო. მართლაც, იმ მოგზაურობის დროს ესპანური შეისწავლა. ესპანური წიგნი ჰქონდა თან და ის დაეხმარა. ის წიგნი რამდენიმე ენაზე ზეპირად იცოდა. დაიწყებდა თუ არა ახალი ენის შესწავლას, შეადარებდა, სხვა ენებზე როგორ იყო ის ადგილი ნათარგმნი.

შლიმანმა კი თოთხმეტი ენა იცოდა.

ჭაბუკობის ჟამს შლიმანს ცუდი მეხსიერება ჰქონდა, მაგრამ რაკი ძვე-

(დასასრული იხ. 28-ე გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეფის მასხარა კოკორჩინი

მიკლოშ ვიდორი

ზღაპარი

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

ერთხელ ხელმწიფე უგუნებოდ იყო და დიდებულებთან ერთად სასახლის ეზოში დასეირნობდა. თავისი სანაქებო საჯინიბოებიც ინახულა, მაგრამ საუცხოო არაბული ცხენების ნახვამაც ვერ გაამხიარულა. შეწუხდნენ დიდებულები, აღარ იცოდნენ, რა ექნათ!

— კოკორჩინს უხმეთო!—ბრძანა ბოლოს სახლთუხუცესმა. მხლებელი მაშინვე ბაღის ბოლოს ყვავილნართან მდგარი პატარა, ლამაზი სახლისკენ გაიქცა. იქ ცხოვრობდა კოკორჩინი, მეფის მასხარა.

მალე ბილიკზე გამოჩნდა თხაზე ამხედრებული, წითელ-ყვითელ ტანსაცმელში გამოწყობილი მასხარა ჟღარუნებიანი ქუდით. გვერდით მისი საყვარელი ძაღლი დუდო მოცუნცულებდა.

— დილა მშვიდობისა, ნათლიმამ! — მიესალმა მასხარა მეფეს. გამხდარი, ძვალწვრილი და მკვირცხლი კოკორჩინი კალიასავით მსუბუქად იჯდა თხაზე და ისე სწრაფად იცვლიდა ლაპარაკისა და სიცილის დროს სახის გამომეტყველებას, რეზინისა გეგონებოდათ.

— აა, ეს შენა ხარ, შვილო კოკორჩინ? — გამოერკვა ჩაფიქრებული მეფე.

— შენი შვილი რომ ვიყო, ნათლიმამ, მაშინ ხომ ჩემს ნება-სურვილს დაემორჩილებოდა მთელი სასახლე, თანაც, ვინაიდან შენზე ორჯერ უფროსი ვარ, მხოლოდ უმცროს ძმად შემეფერები. თუმცა ნაწილობრივ მაინც მართალი ხარ. თუკი ხელმწიფე მთელი ხალხის მამაა, როგორც ამბობენ, მაშინ მეც შენი შვილი ვყოფილვარ.

— ეს ყველაფერი ახლა მოიფიქრე? — გაიცინა მეფემ..

— რა თქმა უნდა.

— ჩემმა ვეზირებმა ერთი წლის მანძილზე რომ მოისაზრონ ამდენი, ბედნიერი ვიქნებოდი, — უპასუხა ხელმწიფემ, — შენ ყველაზე ჭკვიანი ხარ სასახლეში, ჩემო კოკორჩინ!

— არ მიყვარს, როცა მაქებენ, ყველამ უქებრადაც უნდა იცოდეს თავისი საქმე, ასე არ არის, დუდო? — მიუბრუნდა კოკორჩინი თავის ძაღლს, რომელიც უკანა თათებზე დამდგარი მორჩილად შეჰყურებდა პატრონს.

— როგორ, შენმა ძაღლმაც იცის რამე? — გაოცდა მეფე.

— უფრო მეტი, ვიდრე შენმა ვეზირებმა, უფრო ნაკლები, ვიდრე სასახლის მზარეულმა, და გაცილებით იმაზე მეტი, ვიდრე შენმა მთავარმა ვეზირმა.

— ეს როგორ? მეტისმეტი ხომ არ მოგდის? — ჰკითხა მეფემ.

— ახლავე აგიხსნი: შენი ვეზირები ხომ ყოველდღე შემოდიან შენთან, აქვთ თუ არა რაიმე მოსახსენებელი?

ხელმწიფემ თანხმობის ნიშნად გაუღიმა.

— დუდო კი მხოლოდ მაშინ შემოდის ჩემთან, როცა საჭიროება მოითხოვს, მაგალითად, როცა ვინმე მესტუმრება ან როცა რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გამაგებინოს. ტყუილუბრალოდ ჩემი შეწუხება აზრადაც არ მოუვა.

მეფე კარგად გაერთო, რადგან მასხარა ცამდე მართალი იყო. თან ისიც გაახსენდა, რომ მისი ვეზირები ყოველთვის უკანასკნელნი მიდიოდნენ ბრძოლის ველზე და პირველნი გამორბოდნენ იქიდან.

— სასახლის მზარეულზე ნაკლები იცისო?

— ასეა! დუდოს ძალიან უყვარს გამოსახრავი ძვალი, მაგრამ როდის მიიღებს, ეს მზარეულმა უკეთ იცის, ვიდრე მან.

— ესეც მართალია, მაგრამ ახლა მთავარ ვეზირზე რაღას იტყვი? — ჰკითხა მეფემ.

— ოო, იმან ნამდვილად არ იცის, სანამდე იქნება შენს მთავარ ვეზირად, დუდო კი დარწმუნებულია, რომ სანამ ის ძაღლია და მე ადამიანი, მუდამ ჩემს გვერდით უნდა იყოს და მე მემსახუროს, — უპასუხა კოკორჩინმა.

მეფემ გულიანად გაიცინა და მასხარა საღამოს წვეულებაზე დაჰპატიჟა.

ნასადილევს უზარმაზარ, მარმარილოთი მოპირკეთებულ, გაჩირაღდნებულ დარბაზში თავი მოიყარეს ათასფერადი ფარჩა-აბრეშუმეულისა და ხავერდის ძვირფასი ტანსაცმლით მორთულმა დიდებულებმა. კოკორჩინს არ უყვარდა თვალთმაქცი დიდებულები, რომლებიც, როგორც კი მეფის გვერდით მოხვდებოდნენ, აუცილებლად თავის საუკეთესო მეგობარს დაამცირებდნენ. განმარტოებით სადმე კუთხეში, დაისვამდა დუდოს გვერდით და ელაპარაკებოდა:

— არ მინდა მაგათგან პირფერობასა და სიცრუეს მიეჩვიო, აქ კარგს ვერაფერს ისწავლი, ყველანი ერთმანეთს ატყუებენ და თან ისე ურცხვად იღიმებიან, ვითომც არაფერი. აი, შეხედე იმ ღიპიან პალატის უფროსს, ოქროსზონრებიან ძვირფას წამოსასხამში რომ გამოწყობილა! გავა თუ არა ამ დარბაზიდან, მაშინვე ჩამოიხსნის კეთილშობილების ნიღაბს და რისხვად დაატყდება თავზე მსახურებს,

ამ დროს შემოსასვლელში გამოჩნდა მომღიმარი ხელმწიფე, დიდებულებმა მაშინვე შეწყვიტეს საუბარი და მდაბლად დაუკრეს თავი.

თვით ხელმწიფემ გამოაცხადა, კოკორჩინი დღეს განსაცვიფრებელ სანახაობას გვიჩვენებსო. ყველა დიდი ინტერესით მიაჩერდა მასხარას, რომელმაც დუდოს თავზე ხელი გადაუსვა. ძაღლმა უცებ პირი გააღო და ყველას გასაოცრად დაილაპარაკა:| ,,მე კოკორჩინის ძაღლი ვარ, დუდო, და თან დავყვები ჩემს პატრონს მუდამ, მასხარები ვართ მეფის სასახლის, დიდებულებს ხომ გართობა უნდათ!‟

განცვიფრებული დიდებულები დიდხანს უკრავდნენ ტაშს, ისმოდა სიცილი და შეძახილები: ,,აი, ეს მესმის!‟ ,,რას არ მოიგონებს ეს კოკორჩინი!‟ ,,ნამდვილი სასწაულია!‟ ყველაზე მეტს მეფე იცინოდა და აქებდა თავის მასხარას. დიდებულები გარს შემოეხვივნენ კოკორჩინს და ერთმანეთს აღარ აცდიდნენ: მაინც როგორ ასწავლე ლაპარაკი? არ შეიძლება, ჩემსასაც ასწავლო? არაფერს დავიშურებ, ოღონდ მოლაპარაკე ძაღლი მყავდეს!



— ვასწავლი, რატომაც არა, თუკი აქვთ საამისო ჭკუა და ნიჭი, დიდი სიამოვნებით, სწავლის ქირა ათი ოქრო იქნება, — გამოაცხადა კოკორჩინმა.

გახარებულმა დიდებულებმა შეკრიბეს ოცამდე ძაღლი და კოკორჩინს სახლში მიჰგვარეს. ერთმა ვეზირმა გრიფელის დაფა და ცარციც კი გაუგზავნა. ამის შემდეგ მასხარა მთელ დღეებს მეცადინეობას ანდომებდა და სასახლეში იშვიათად თუ ნახავდით. დიდებულები ერთმანეთში სანაძლეოს დებდნენ, ვისი ძაღლი უკეთ ილაპარაკებდა. მეფესაც აინტერესებდა, რას მოიგონებდა კოკორჩინი, ოცი ძაღლის მაგიერ ის ხომ ვერ ილაპარაკებდა? ერთხელ ჰკითხა: „როგორ გინდა თავი დააღწიო დიდებულებს? თუ გამოირკვა, რომ გაამასხარავე, ხომ იცი, რომ ტყავს გაგაძრობენ!“ — კოკორჩინმა ისეთი სიმშვიდით აიჩეჩა მხრები, თითქოს მის ტყავზე არ ყოფილიყო ლაპარაკი.

დადგა დანიშნული დღეც. მარმარილოს სვეტებიან დარბაზში თავი მოიყარეს დიდებულებმა. მოლაპარაკე ძაღლების გამოცდაზე დასასწრებლად მობრძანდა თვით მეფეც. ყველა ღელავდა. ამ დროს მოვიდა ყვითელი ტანსაცმლით შემოსილი მასხარა ჟღარუნებიანი ქუდით, შუა დარბაზში გაჩერდა და მდაბლად დაუკრა თავი ყველას. მარტო იყო, დუდოც კი არ წამოეყვანა თან. ყველამ ეჭვის თვალით შეხედა. მეფეს გაეღიმა. მთავარმა ვეზირმა ველარ მოითმინა და

ჰკითხა, ძაღლები სად არიანო. მათი წამოყვანა ვერ გავბედეო, — უპასუხა შეწუხებული სახით მასხარამ.

„რატომ?“ „მოგვატყუე ხომ?“ „არამზადა!“ „უსინდისო“, „მატყუარა!“ — ისმოდა ყოველი მხრიდან. ბოლოს მეფემ უბრძანა: კოკორჩინ, გამაგებინე რაშია საქმე, მოგვიყევი რა მოხდა ძაღლების სკოლაშიო.

— ჩემო ხელმწიფევ! ბრწყინვალე ქალბატონებო და ბატონებო! — დაიწყო მასხარამ, — გთხოვთ მომისმინოთ და ახლავე ყველაფერს აგიხსნით.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

— მართალია, აქ მატყუარა და არამზადა მიწოდეს, მაგრამ მე ეს არ დამიმსახურებია. როგორ გგონიათ, განა შეიძლება, თქვენი ძაღლები უნიჭოები იყვნენ? ხუთ-ექვს დღეში მთელი ჯგუფი უკვე ისე გამართულად ლაპარაკობდა, რომ მე თვითონ მიკვირდა. მაგრამ ბოლოს თითოეულმა მათგანმა თავის ბატონზე და სახლის შინაურ ამბებზე დაიწყო ლაპარაკი, რას არ უყვებოდნენ და ეკითხებოდნენ ერთმანეთს. აი, მაგალითად თქვენი მეძებარი მოუყვა ხაზინადარის ძაღლს, რომ მსახურებს აშიმშილებთ. მეღვინეთუხუცესის ძაღლმა ხმამაღლა გამოაცხადა, ჩემი ბატონი იმდენ ღვინოს სვამს, ფხიზელი ჯერ არ მინახავსო. ხაზინადრის ძაღლს ეკითხებოდნენ, შენი ბატონი განძეულსა და ოქრო-ვერცხლს კიდევ ჰპარავს მეფეს თუ არაო... გავაგრძელო?

— რა უსინდისობაა! — წამოიძახა ერთ-ერთმა სეფე-ქალმა და იმის შიშით, რომ მისი ოთახის ძაღლის ნაამბობიც არ ეთქვა კოკორჩინს, გული წაუვიდა. გაფითრებული დიდებულები გულის კანკალით ელოდნენ, კიდევ რას იტყოდა მათ შესახებ კოკორჩინი, მათ შორის ხომ არ მოიძებნებოდა ისეთი, რომელსაც რაიმე დანაშაული არ ჰქონოდა ჩადენილი.

— გეყოფა! — დაიყვირა მთავარმა ვეზირმა, — მეტი აღარ არის საჭირო!

— მართალი ბრძანდებით! — მდაბლად დაუკრა თავი კოკორჩინმა, — ან კი როგორ შეიძლებოდა ძაღლების მონაჩმახ სისულელეებზე ლაპარაკი! იმედი მაქვს, თქვენ ეს საწყენად არ დაგრჩებათ! ის უმადური ძაღლები კი ნამდვილად არ არიან სასახლეში ცხოვრების და თავიანთი ბატონების სიყვარულის ღირსი.

მეფემ ბევრი იცინა, მაგრამ დიდებულებს კი ისე წაუხდათ ხასიათი, რომ დარბაზიდან გამოსვლის შემდეგაც ერთმანეთისთვის ხმა აღარ გაუციათ. არც სწავლის ფულის დაბრუნება უთხოვია ვინმეს კოკორჩინისათვის და სასახლეშიც მას აქეთ ძაღლი აღარ ჰყოლიათ დუდოს მეტი.

უნგრულიდან თარგმნა ლილი მაისურაძემ.




## ხაზზეა ქუთაისის პიონერთა საქალაქო შტაბი „კოცონი“

ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე, პიონერთა საქალაქო შტაბის უფროსი **მაია ვახტანგაძე** და შტაბის ხელმძღვანელი, პიონერთა სასახლის პოლიტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე **დოდო გაბრიჩიძე** გვესაუბრებიან საქალაქო შტაბის მუშაობაზე, ქალაქის პიონერული აქტივისადმი შტაბის დახმარების ფორმებზე, საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილის „სწორება კომუნისტებზე!“ პირველ და მეორე ეტაპზე ჩატარებულ მუშაობაზე, ქუთაისის პიონერთა სასახლო საქმეებზე...

პიონერთა საქალაქო შტაბში 27 მოსწავლეა გაერთიანებული. შტაბს აქვს თავისი ემბლემა, ფიცი, სიმღერა და ფორმა. მისი წევრები პიონერთა სასახლეში კვირაში ერთხელ იკრიბებიან. შტაბი დიდ დახმარებას უწევს ქალაქის სკოლების პიონერულ აქტივს, განაზოგადებს რაზმეულთა გამოცდილებას, ატარებს რაზმეულისა და რაზმის საბჭოს თავმჯდომარეების, ვარსკვლავის ხელმძღვანელთა შეკრებებს.

შტაბთან მომუშავე მაძიებელთა და წამომწყებთა ჯგუფებს მარინე ძაგნიძე და თამილა ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობენ, მეგობართა საბჭოს — ჟანა გუკასოვა, ნორჩ კორესპონდენტთა სექციას — ელისო ლორთქიფანიძე, ოქტომბრელთა ჯგუფის სექციას — მაია თუმანიშვილი, კულტმასობრივს — მაია ანდღულაძე. შტაბის წევრები დოფინე სვანიძის რედაქტორობით უშვებენ კედლის გაზეთს. პიონერთა საქალაქო შტაბის პრეზიდენტია კახა შარაბიძე. შტაბის სამუშაო პროგრამის ხასიათს განსაზღვრავს საკავშირო პიონერული მარშის დევიზი: „ჩვენ შენი საიმედო ცვლა ვართ, კომკავშირო!“ და საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილის „სწორება კომუნისტებზე!“ მოთხოვნა.

შტაბის წევრებს ხშირად შეხვდებით ქუთაისის სკოლებში. მათ დახმარება გაუწიეს მე-2, მე-4, მე-7, მე-12, მე-19, 23-ე საშუალო სკოლების პიონერულ რაზმეულებს.

„კოცონის“ თაოსნობით მოეწყო ქალაქის პიონერთა შეხვედრები მუშა კომკავშირელებთან, ქუთაისის ახალი პიონერთა სასახლის მშენებლებთან, პოეტ ანა კალანდაძესთან, ქალაქის მოწინავე ადამიანებთან, საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობის დელეგატებთან, მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძესთან, საბჭოთა კავშირის გმირ მარინა ოსიპოვასთან, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მომუშავეებთან. შტაბი მხატვრის, წიგნისა და ოქტომბრელთა კვირეულების ორგანიზატორია.

მაგალითად, მხატვრის კვირეული შტაბმა ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე ჩაატარა. კონკურსმა ასფალტზე ხატვაში მთელი ქალაქის ბავშვთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

შტაბმა ბევრი კარგი ტრადიცია დაამკვიდრა, მათ შორის აღსანიშნავია „შრომისა“ და „წიგნის“ დღეები, „თამაშობების“. „მეგობრობის“, „ჯანმრთელობის“, „ხელმძღვანელის“ და „წითელი ყელსახვევის“ დღეები; ამ დღეების მომზადება-ჩატარებაში ქუთაისის ყველა სკოლის რაზმეული მონაწილეობს.

შტაბის ყურადღების ცენტრშია პიონერული აქტივის სწავლება, რასაც ემსახურება „პიონერული აქტივის სკოლა“. აქ თვეში ერთხელ იკრიბებიან ქუთაისის სკოლების რაზმეულისა და რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები, კედლის გაზეთის რედაქტორები, ოქტომბრელთა ვარსკვლავის ხელმძღვანელები.

„პიონერული აქტივის სკოლის“ მუშაობაში მონაწილეობენ ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი სერგო მოდებაძე, პოლიტიკური განათლების ლექტორი შოთა ჭილაძე, პიონერთა სასახლის მთავარი მეთოდისტი ეთერ თოფურია, მეთოდისტი — ეთერ მურჯიკნელი.

საქალაქო შტაბი შეფობს ქუთაისის ახლოს მდებარე სოფლების მეცხოველეობის ფერმებს; შტაბთან არსებული ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბს „გაგარინს“ მიმოწერა აქვს ყველა მოძმე რესპუბლიკის პიონერებთან, ასევე უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, პო-

ლონეთში, საფრანგეთში, დანიასა და იტალიაში მცხოვრებ თანატოლებთან.

საქალაქო შტაბმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ოპერაციაში „მილიონი სამშობლოს“. ამ ოპერაციის მონაწილეთა პირველ რესპუბლიკურ შეკრებაში ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლას მეორე ადგილი მიეკუთვნა. შეჯიბრება კვლავ გრძელდება, ქუთაისელებს თბილისელები ჰყავთ გამოწვეული.

პიონერთა საქალაქო შტაბი გამოეხმაურა ლენინგრადელთა თაოსნობას „60 დამკვრელური კვირა“ და რუსთაველთა თაოსნობას „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“

ქუთაისელ პიონერთა საქალაქო შტაბი სტუმრად ეწვია რუსთავის პიონერთა საქალაქო შტაბს. აქ მეტალურგთა სახლში მოეწყო შეხვედრა ცნობილი თაოსნობის ინიციატორებთან — მეფოლადეებთან ომარ წითლიძესთან, სოციალისტური შრომის გმირ არჩილ გაბაშვილთან, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრ თენგიზ ხარშილაძესთან.

„კოცონს“ მჭიდრო კონტაქტები აქვს ფაბრიკა-ქარხნების კომუნისტებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან. მათი სტუმრები იყვნენ ენგურჰესის მშენებლობის საწარმოო კომბინატის მებეტონე ლაშა სანდუხაძე, სამკერვალო გაერთიანება „გელათის“ მე-2 ბრიგადის ოსტატი გულიკო ნიჟარაძე, ტყავფეხსაცმლის კომბინატის საამქროს უფროსი ნაზი თოფურია და სხვები.

შტაბს რჩევა-დარიგებებით დიდ დახმარებას უწევენ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე, პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი გიორგი ჩხეიძე, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ივანე ვარლამიშვილი, განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ჯანსუღ საკანდელიძე.

ჩვენი ქალაქის პიონერული აქტივის ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდი სიხალისე შეიტანა მონაწილეობამ გადაძახილში „სწორება კომუნისტებზე!“ თუმცა ამის შესახებ თვით ჩვენი შტაბის წევრებს ვაძლევთ სიტყვას.

**ნანა გურული — ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის მეშვიდე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე:** — ჩვენს სკოლაში რაზმი რაზმს ეჯიბრება. შეჯიბრებაში გამარჯვება პირველ რიგში სწავლაში სიყოჩაღეს მოითხოვს, ჩვენს რაზმში კი ჩამორჩენილები გვყავდა — ზ. ფხაკაძესა და ბ. კოზხირიძეს რუსულ ლიტერატურაში და მათემატიკაში უჭირდათ. სისტემატური დახმარებით მათ ჩამორჩენა დაძლიეს, რისთვისაც რაზმის საბჭომ საზეიმოდ დაასაჩუქრა ისინი თვითნაკეთი სუვენირებითა და წიგნებით.

**გ. მანაგაძე — 32-ე საშუალო სკოლის მერვე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე:** — გულდასმით გავეცანით საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის ყველა მუხლს. იმ დღეებში, როცა მთელი სამშობლო კონსტიტუციის მიღებას ზეიმობდა, ჩვენი სკოლის რაზმეულმა გულითადი მილოცვა გაუგზავნა ლ. ი. ბრეჟნევს. საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხმას ჩვენი ხმაც შევუერთეთ.

ვეჯიბრებით ავტოქარხნის შასის საამქროს წინახიდის უბნის „ა“ ცვლის კომკავშირულ ბრიგადას.

**ინგა ნიჟარაძე — მე-2 საშუალო სკოლის მე-4 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე:** — გადაძახილში მონაწილეობის სურვილის გამოთქმას ჩვენი რაზმის შეკრება მოჰყვა. შეკრებაზე აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი ქსენია ბახტაძე მოვიწვიეთ. ქსენია დეიდა ქართველ მეჩაიეებზე, მათ წარმატებებზე გვესაუბრა.

შეჯიბრებაში VII³ კლასი გვყავს გამოწვეული. ახალმა წამოწყებამ ხელი შეუწყო რაზმში დისციპლინის განმტკიცებას, აკადემიური წარმატების ამაღლებას.

**ანა გარუჩავა — მე-11 საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე:** — საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილის ამბავი პირველად ჩვენი შეფებისაგან — ლითოფონის ქარხნის კომკავშირელებისაგან შევიტყვეთ. როცა გეგმებს ვადგენდით, ჩვენთან ერთად იყვნენ ჩვენი საშეფო ორგანიზაციიდან გამოყოფილი რაზმის ხელმძღვანელებიც — რევოლუციის ვეტერანები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში, პარალელური კლასების პიონერული რაზმების გარდა, ქარხნის კომკავშირელებიც გამოვიწვიეთ. ჩვენი რაზმის დევიზია „კეთილსინდისიერი სწავლით მხარი ვუსწოროთ კომუნისტებს!“.

რა პიონერული წვლილი შევიტანეთ ამ გადაძახილში? შევასრულეთ ლითოფონის ქარხნის კომკავშირელებისათვის მიცემული პირობა, — ჩვენი რაზმი მარჯვენაფლანგელია; ვამტკიცებთ კავშირს სხვა ქალაქების პიონერებთან; ჩავებით ოპერაციაში „შავი საბადო“; ვაგროვებთ მასალებს ჩვენს ქალაქში მცხოვრებ ლენინის ორდენის კავალერთა ცხოვრებაზე.

**ლია გაგუნია — მე-7 საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე:** — „საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილს — „სწორება კომუნისტებზე!“ — ჩვენი უერთგულესი მოსწავლური გარანტია!“ — ასეთი დევიზით დაიწყო მუშაობა ჩვენმა რაზმეულმა. ავიღეთ ახალი ვალდებულებები, შევადგინეთ სამოქმედო გეგმები. სკოლაში თვალსაჩინოდ არის შედგენილი რაზმების მოძრაობის გეგმა-გრაფიკი; გადაძახილის „ეკრანზე“, რომელიც სკოლის დერეფანში გვაქვს მოთავსებული, ნათლად ჩანს გადაძახილის ეტაპები, აღებული ვალდებულებები, შესრულებულ საქმეთა შეფასებები; განუხრელად ვასრულებთ საკავშირო კომკავშირის მე-17 ყრილობის განაწესს პიონერებისადმი; შევისწავლეთ სსრ კავშირის ჰიმნი, პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“; საფუძვლიანად გავეცანით ლენინის სიტყვას კომკავშირის მესამე ყრილობაზე; ვამყარებთ მეგობრობას ბაიკალ-ამურის მშენებლებთან, ჩვენს პიონერულ რუკაზე გვინდა სახელოვნად გავიაროთ 3147 კილომეტრი; ვმეგობრობთ ნია-გრუზინსკაიას რვაწლიანი სკოლის პიონერებთან, ამ სადგურის ქართველ მშენებლებთან; ვმონაწილეობთ საკავშირო შრომით აქციებში — „ბამს პიონერული მატარებლები!“ „მილიონი სამშობლოს“; გამოცხადებული გვაქვს ოპერაციების „შავი საბადოსა“ და „თეთრი ფარის“ ერთთვიური; შევასრულეთ ჯართის და მაკულატურის შეგროვების გეგმა; ვსწავლობთ ჩვენი ქალაქის კომკავშირის ისტორიას; ვადგენთ ალბომს „თაობათა ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა“.

ქუთაისის პიონერთა საქალაქო შტაბის წევრებმა, სკოლების რაზმეულის საბჭოსა და რაზმის საბჭოს თავმჯდომარეებმა კარგად აუბეს მხარი ქალაქის კომკავშირელებს, რომლებიც წარმატებით მონაწილეობენ გადაძახილში „სწორება კომუნისტებზე!“ მათი საქმიანობა მართლაც რომ მისაბაძია.

**ნათელა ფაილოძე.**

# საინტერესო სიახლენი

## ხომალდი, რომელიც არ იძირება

ინგლისურმა გემსაშენმა კომპანიამ ,,ფორტაიკმა“ შეიმუშავა ისეთი გემის კონსტრუქცია, რომელიც არ იძირება. ეს გემი, თუკი ნახვრეტი გაუჩნდა, უმალვე ,,ყირაზე დადგება“. როცა დაზიანებას შეაკეთებენ, გემი დაუხმარებლად, თვითონვე დაუბრუნდება ნორმალურ მდგომარეობას. ატლანტის ოკეანეში ჩატარებულმა გამოცდებმა უჩვენა, რომ ამ სიახლემ გაამართლა. ფირმამ შეიმუშავა ჩაუძირავი ხომალდების რამდენიმე ვარიანტი — მაშველი, სამგზავრო ხომალდები, იახტები და უახლოეს ხანში დაიწყებს მათ წარმოებას.

## სახლი ჰაერისაგან

ცხადია, ცარეილი ჰაერისაგან სახლს ვერ ააშენებ, მაგრამ პენოპლასტმასისაგან, რომლის შემადგენლობაშიც 80% ჰაერია, შეიძლება სახლის აშენება და ძალიან სწრაფადაც.

შერჩეულ ადგილზე მოდის მანქანა კომპრესორით, ორი ყუთი ქიმიკატებით, და ერთი მინი ელექტრო გამომთვლელი მანქანით. ექვსი საათის შემდეგ ამ ადგილზე უკვე დგას 100 კვ. მეტრი საერთო ფართობის მქონე სახლი.

ფრანგი მშენებლების მიერ შემოთავაზებული ეს მეთოდი ახლა ამერიკელებმა გააუმჯობესეს. დაპროგრამებული ელექტრო გამომთვლელი მანქანა თვალყურს ადევნებს მშენებლობის გეომეტრიას, ქიმიკატების შერევას, რომელთაგანაც პენოპლასტმასის პორციები მიიღება. ეს ქაფი მილის საშუალებით შეჰყავთ ყალიბში, რომელიც ლითონის ორი ფურცლისაგან შედგება. მათ შორის დაშორება 12 სანტიმეტრია. აქ ქაფი გარე ჰაერთან შეხების შედეგად მკვრივდება და წარმოქმნის სახლის კედლის მორიგ მონაკვეთს, შემდეგ ელექტრო-გამომთვლელი მანქანის განკარგულებით ფორმა გადაადგილდება და კვლავ ქაფით ივსება.

## დარჩება საჰარა უდაბნოდ?

საჰარის უდაბნოს დიდი ცვლილებები ელის. სწავლულებმა, რომლებიც საჰარაში ნავთობს ეძებდნენ, აღმოაჩინეს შვიდი ვეება მიწისქვეშა წყალსაცავი. აღნიშნული წყალსაცავები ძალზე დიდ სიღრმეზეა განლაგებული. გამოანგარიშებულია, რომ ისინი შეიცავენ დაახლოებით თხუთმეტ კვადრილიონ კუბურ მეტრ წყალს. შესაძლოა, მომავალში საჰარა უდაბნოდ აღარც იწოდებოდეს.

## სასარგებლო ნარჩენები

პოლიმერის ნარჩენები დაწვის შედეგად შხამიან გაზებს გამოყოფენ. თუ მათ მიწაში ჩაფლავ, მიწა გამწირდება.

ვარშაველმა ქიმიკოსებმა თავიანთი ექსპერიმენტებით დაამტკიცეს, რომ არსებობს გამოსავალი. ნარჩენების გამოყენება შეიძლება და თანაც დიდი მოგებით.

თუ ასფალტის ცხელ მასას დავუმატებთ პოლიეთილენის, პოლიპროპილენისა და სხვა პლასტმასების ნარჩენთა შვიდ პროცენტს, ისინი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ გზის საფარს, მისი გამძლეობა ორჯერ გაიზრდება, რადგან პოლიმერების დამატების შედეგად მიღებული ასფალტი ზამთარში არ სკდება, ზაფხულში კი არ ლღვება.

## ჩანკის ტომი ცოცხალია!

პერუელი მონადირეების ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კიდევ ცხოვრობს ინდიელთა ტომი — ჩანკი, რომელიც 400 წლის



განმავლობაში გადაშენებულად მიაჩნდათ. ოდესღაც ჩანკი ლათინური ამერიკის ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომი იყო. ისინი ეომებოდნენ ინკებს, თავგანწირულად ებრძოდნენ ესპანელ კოლონიზატორებს. შემდეგ კი ტომი ერთბაშად გაქრა ამაზონის ჯუნგლებში და რამდენიმე საუკუნე მათ შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

## ბენზინი მცენარეულობისაგან

ცნობილმა ამერიკელმა ქიმიკოსმა, პროფესორმა მ. კალვინმა ჩაატარა მთელი რიგი ცდები და დაამტკიცა, რომ სქელი თეთრი სითხე, რომელსაც ზოგიერთი ტროპიკული ხეები გამოყოფენ, შესანიშნავი ნედლეულია მაღალხარისხოვანი ბენზინის მისაღებად. ამასთან სათბობის მიღების ხერხი მარტივია, ხის მასალა არ ფუჭდება და შეიძლება მისი გამოყენება მშენებლობასა და ქაღალდის წარმოებაში.

ხეები, რომლებიც ამ წვენს გამოყოფენ, იზრდება ბრაზილიაში, ინდონეზიაში და აფრიკის მთელ რიგ რაიონებში.

მეცნიერმა გადაწყვიტა ასეთი სანერგე გააშენოს კალიფორნიაში. სკეპტიკოსების დასარწმუნებლად, მან მსუბუქი მანქანით უკვე გაიარა 100 კილომეტრი და საწვავად გამოიყენა სწორედ ბრაზილიის ხეების წვენისაგან ლაბორატორიაში მიღებული ბენზინი.

სულ ახლახან პროფესორ მ. კალვინს მიმდევარი აღმოუჩნდა საფრანგეთში — ეს არის აგრონომი სან დე პერსევო. მასაც გადაწყვეტილი აქვს ბრაზილიური ხეების კულტივირება საფრანგეთში. მას უკვე დაუანგარიშებია, რომ ყოველწლიურად თითოეული ჰექტარი პლანტაციიდან შეუძლია მიიღოს რკინიგზის ცისტერნის სავსე სათბობი, მისი გაანგარიშებით მცენარეული ბენზინი ჩვეულებრივზე გაცილებით იაფია.

## იუპიტერის თანამგზავრები ყინულით არიან დაფარულნი

რამდენიმე წლის წინ იუპიტერის ორ უდიდეს თანამგზავრზე — ევროპასა და განიმედაზე შუქსპექტრის ინფრაწითელ სფეროში დაკვირვებამ მოულოდნელი შედეგი აჩვენა. აღმოჩნდა, რომ ამ ციურ სხეულებზე არის გაყინული წყალი. სულ ახლახან ეს აღმოჩენა დადასტურდა რადიოლოკაციური მეთოდით. ევროპისა და განიმედას ზედაპირი ნამდვილად დაფარულია რამდენიმე მეტრი სისქის ყინულით.

# როგორ გავხდეთ პოლიგლოტი

(დასასრული. დასაწყისი იხ. 22 გვ.)

ლი სამყაროს შესწავლა ჰქონდა მიზნად დასახული და სამისოდ მრავალი ენის ცოდნა იყო საჭირო, თავდაუზოგავი ვარჯიშით იმდენს მიაღწია, რომ ყოველდღე ზეპირად სწავლობდა ოც-ოც გვერდ პროზაულ ტექსტს. შლიმანმა ასე გამოიმუშავა ფენომენალური მეხსიერება და ენების სწრაფ შესწავლაზე გადავიდა. მაგალითად, ექვს თვეში აითვისა უცხოელისათვის ფრიად ძნელად შესასწავლი რუსული ენა.

შუა საუკუნეებში უცხო ენების ასეთი სწრაფი შესწავლის ნიჭი ეჭვს აღუძრავდათ. XVII საუკუნის ფინეთში ერთი სტუდენტი იმისათვის გაასამართლეს, რომ ის უჩვეულოდ სწრაფად სწავლობდა უცხო ენებს — აქ უთუოდ ავი სულის ხელი ურევიაო. ბრალდებას მხარი დაუჭირა ეკლესიამ და სტუდენტს, როგორც „მოჯადოებულს", სიკვდილი მიუსაჯეს. ეს ბარბაროსული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ძველთაგანვე საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს, რომ სხვათა ენის შესწავლა უჩვეულოდ ძნელი საქმეა.

მაგრამ ცნობილია ბევრი ისეთი ადამიანი (მათ პოლიგლოტებს უწოდებენ), ათეულობით ენას რომ დაუფლებია. კარდინალმა მეცოფანტიმ (1774-1849 წ. წ.) ასზე მეტი ენა იცოდა. 1961 წელს გერმანიაში გარდაიცვალა 132 ენის მცოდნე პროფესორი გეესტერმანი. დაახლოებით ამდენივე ენა იცის იტალიელმა პროფესორმა ტალიავანმა. ცოცხალი და მკვდარი ენების ცოდნით მათ არც მოსკოველი ი. დვორეცკი ჩამორჩება.

დღეს პარიზში ცხოვრობს ვინმე გრიგოლ კოლპაკჩი. ამბობენ, რომ მან სრულყოფილად იცის ფრანგული, გერმანული, ესპანური, პორტუგალიური, იტალიური, ნორვეგიული, თურქული, რუსული, სერბიული, ბერძნული, ბასკური, ბერბერული და ბანტუს ენები; კითხულობს ყველა ევროპულ ენაზე. ასევე ულექსიკონოდ ფლობს ლათინურს, ძველბერძნულს, ჩინურს, იაპონურს, სპარსულს, არაბულს, ფინურს, ძველსირიულს. ძველეგვიპტურს, და წელიწადი არ გავა, ერთი ენა მაინც არ შეისწავლოს.

— სულ რამდენი ენა იცით? — ჰკითხეს ერთხელ კოლპაკჩის.

— ზუსტად ვერ გეტყვით, — უპასუხა თურმე საოცარმა პოლიგლოტმა. იტყვით ალბათ, ეს ენებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებააო. დიახ, მართალი ბრძანდებით! ასეთები მართლაც არიან და არ შეიძლება მოწიწებით არ მოვიხსენიოთ ისინი, მაგრამ „ენებისადმი მიდრეკილება" მარტო რჩეულთა ხვედრი როდია. ყველა ბავშვი იოლად, სწრაფად ითვისებს უცხო ენას. ენას სიყმაწვილის ჟამსაც წარმატებით სწავლობენ. ხოლო თუ მეთოდიკას ფლობ და მარჯვედ გამოიყენებ, შეუპოვრად გაჰყვები მას, ჭეშმარიტად საოცარი შედეგის მიღწევას შეძლებ.

პოლიგლოტები ერთხმად ამტკიცებენ: „მთავარია არ მოგერიდოთ! ენის შესწავლისას ეცადეთ, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, გამოხატოთ თქვენი აზრი ასათვისებელ ენაზე".

მეორე პირობაა: იყავით უსაზღვროდ ცნობისმოყვარენი. ყველაფერი, ყველას, ყოველთვის აუცილებლად შესასწავლ ენაზე ჰკითხეთ. ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი ურთიერთობა გქონდეთ ენის მცოდნეებთან, იმათთან, ვისაც დახმარება შეუძლია.

და მესამე: იქნებ ეს უცნაურადაც კი მოგეჩვენოთ — რაც შეიძლება მეტი უსმინეთ მუსიკას, განივითარეთ სმენა, კარგი სმენა უცხო ენის შესწავლისას კარგი დამხმარეა.

ბოლო დროს ენის შესწავლის რამდენიმე მეთოდი იხმარება. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია პირდაპირი მეთოდი: მასწავლებელი იმეორებს სიტყვას, საგანზე იქამდე მიუთითებს, ვიდრე მოსწავლე არ დაიმახსოვრებს იმ სიტყვას. თუ ენის კანონებსაც შეისწავლით, ამ მეთოდით შეიძლება 200 საათში აითვისოთ ენა.

არსებობს კიდევ სხვა მეთოდი — ლინგოფონური, ანუ გრამფირფიტებითა და მაგნიტოფონის ჩანაწერებით სწავლა. ფირფიტებს თუ ფირებს ჩვეულებრივ თან ახლავს სახელმძღვანელო ტექსტი, სადაც ყველაფერი დაწვრილებით არის ახსნილი: აქ შემსწავლელის შეუპოვრობა და სიბეჯითეა მთავარი.

ამჟამად ყველაზე გავრცელებულია დაჩქარებული მეთოდი. ეს მეთოდი არ მოითხოვს გრამატიკისა თუ ენის სტრუქტურის შესწავლას. მისი დანიშნულებაა შეასწავლოს კაცს ლაპარაკი, აიძულოს ილაპარაკოს. კვირაში მხოლოდ სამი საათი ხმარდება თეორიას. დანარჩენი დრო ლაპარაკს ეთმობა, აქედან მთავარი ყურადღება — სალაპარაკო ენას.

რუსულ ენაში, მაგალითად, ნახევარ მილიონამდე სიტყვაა. რამდენი სიტყვით სარგებლობენ პრაქტიკულად? ლიტერატურული მეტყველების ლექსიკონი, რუსული ენის თვით ისეთი გენიოსისა, პუშკინი რომ იყო, სულ რაღაც 21.197 სიტყვისაგან შედგება. თუ პუშკინის ლექსიკონი ასეთია, უბრალო მოკვდავთა ლექსიკონი რაღა იქნება?

ლინგვისტებმა აღმოაჩინეს გასაოცარი კანონზომიერება — ყველაზე ხშირად ხმარებული ასი სიტყვა „ავსებს" ზეპირი და წერითი მეტყველების 20 პროცენტს, ხოლო დანარჩენი ათიათასობით სიტყვიდან, ერთის შეხვედრის ალბათობა 15 პროცენტზე ნაკლებია.

1911 წელს ელდრიჯმა ინგლისურის შემსწავლელი ამერიკელი მუშა-ემიგრანტებისათვის შეადგინა „6 ათასი ყველაზე მეტად ხმარებული სიტყვის" ლექსიკონი. მას შემდეგ ბევრი მსგავსი ლექსიკონი გამოვიდა. დღეს მსოფლიოს 16 ენაზე 300 ასეთი წიგნია.

ენაში ყველა სიტყვა თანაბარი სიხშირით არ იხმარება. მაგალითად, სიტყვა вода-ს რუსულში ვინ მოთვლის დღეში რამდენჯერ ხმარობენ, სიტყვა „ალგორითმს" — იშვიათად, თუმცა ეს სიტყვაც ბევრმა იცის. რაც უფრო მეტჯერ გვხვდება ესა თუ ის სიტყვა, მით უფრო ხმარებულია იგი, ან, მათემატიკოსთა ენით რომ ვთქვათ, უფრო მეტი „სიხშირისაა". ხმარების სიხშირის მიხედვით შედგენილ ლექსიკონებში სიტყვები ისეა განლაგებული, რომ პირველ ადგილზე ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვაა, შემდეგ — უფრო ნაკლებად ხმარებული, მერე კიდევ უფრო ნაკლებად.

თურმე ყოველი ენის ყველა ტექსტი ძირითადად მცირე რაოდენობის „ხშირი" სიტყვებისაგან შედგება. გამოთვლილია, რომ ინგლისური ენის ყველაზე ხშირად ხმარებულ 500 სიტყვას ლიტერატურის 70 პროცენტი უჭირავს, 2000 სიტყვას — 80,5 პროცენტი, 2500 სიტყვას—85 პროცენტი, 3.000 სიტყვას — 90 პროცენტი, ხოლო 5000 სიტყვას — 93,5 პროცენტი. მაშინ რა სურათი იქნება, თუ ხუთი ათასის ნაცვლად ათი ათას ყველაზე ხმარებულ სიტყვას ავიღებთ? გამოთვლები გვიჩვენებს, რომ მაშინ 93,5 პროცენტის მაგიერ, გვეცოდინება ტექსტის სიტყვების 96,4 პროცენტი. სიტყვიერი მასალის ორჯერ გაზრდამ მოგვცა მხოლოდ 2,9 პროცენტი მოგება. ღირს კი ასეთი უმნიშვნელო განსხვავებისათვის 500 ზედმეტი სიტყვის სწავლება?!

უცხოური ლიტერატურის შეს-

წავლის პრაქტიკამ გვიჩვენა, თუ შესასწავლი ტექსტის სიტყვების 60 პროცენტზე ნაკლები იცით, წაკითხულიდან აზრს ვერ გამოიტანთ, ვერ გაარჩევთ მთავარს მეორეხარისხოვნისაგან. 60-80 პროცენტის ცოდნა საშუალებას მოგცემთ თვალი ადევნოთ ავტორის მსჯელობას, ჩაწვდეთ საერთო აზრს და გამოყოთ მთავარი, შემდგომ, ამ მთავარის თარგმნა უკვე ლექსიკონით შეიძლება. თუ სიტყვების 80-90 პროცენტი იცით, შეძლებთ უცხო ტექსტის მშობლიურზე კონსპექტირებას ლექსიკონის საშუალებით. ხოლო თუ ტექსტის 90-98 პროცენტი იცით, მაშინ პრაქტიკულად, დედაენასავით გცოდნიათ ის ენა.

ტექსტში იშვიათად ხმარებული, გაუგებარი სიტყვის მნიშვნელობის მიხვედრა იოლია. ასე, რომ დაახლოებით 5000 სიტყვისა თუ იდიომატური გამოთქმის ცოდნა ინგლისურ ენაზე თავისუფლად მეტყველების საშუალებას მოგცემთ.

უცხო ენის ათვისების თაობაზე ძალზე საინტერესოა ცნობილი საბჭოთა ენათმეცნიერის აკადემიკოს ლ. შჩერბას მოსაზრებაც. წიგნში „როგორ უნდა ვისწავლოთ უცხო ენები“ იგი გვირჩევს: გრამატიკის საფუძვლების შესწავლისა და ტექსტში ლექსიკონის დახმარებით გარკვევის შემდეგ, ბევრი კითხვაა საჭირო. უნდა იკითხოთ სათავგადასავლო ხასიათის ბელეტრისტიკა. კითხვის შესწავლა ძალზე ნელი ტემპით წავა წინ, მაგრამ ყოველგვარად უნდა ეცადოთ, მოუმატოთ კითხვის ტემპს. თუ ზუსტად და სრულად არ გესმით ტექსტი, არა უშავს — გაუგებარი ადგილები გამოტოვეთ. ლექსიკონში სულ უფრო იშვიათად უნდა ჩაიხედოთ და განივითაროთ კონტექსტის მიხედვით მიხვედრის უნარი. ასეთი კითხვის აზრი ის არის, რომ გონებაში მოგროვდება უცხო სიტყვათა მარაგი, შეეჩვევით სიტყვათა სახეცვლას. „ამასთან, — მიგვითითებს აკადემიკოსი შჩერბა, — ცხადია, გამეორდება ენაში უფრო ხშირად ხმარებული სიტყვები. ამგვარად შეირჩევა ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი. წარმატება წაკითხულის რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული“.

დავუბრუნდეთ ზეპირი მეტყველების დაჩქარებული მეთოდით შესწავლას. ინგლისში მომუშავე დიდი გერმანელი ლინგვისტი მაქს მიულერი ამბობს, ინგლისელი გლეხი ყოველდღიურ ცხოვრებაში ხმარობს მხოლოდ... სამას სიტყვას, ხოლო როგორც ბულგარელ მეცნიერთა გამოკვლევებმა დაამტკიცეს, საშუალო ნიჭის ადამიანს თურმე საათში 100 უცხო სიტყვის შესწავლა შეუძლია. აქ საჭიროა გავიხსენოთ ისიც, რომ ზეპირ მეტყველებაში შეხვედრილი სიტყვების სიხშირე უფრო დიდია, ვიდრე წერილობით ტექსტებში: პირველ ათას სიტყვას აქ თითქმის 90 პროცენტი უჭირავს.

ბულგარელმა სპეციალისტებმა წამოაყენეს სუგესტოპედიური, ანუ ენის დაჩქარებული შესწავლის მეთოდი. დაჩქარებული შესწავლის ორიგინალური მეთოდი საბჭოთა მეცნიერებმაც შეიმუშავეს. მისი მიხედვით მთავარი ყურადღება ექცევა ჰიპერმნეზიას — ზედამახსოვრებას და უშუალო ფსიქიკურ ზემოქმედებით კომპლექსს. შემსწავლელი თითქოს იძირება მისთვის ახალი ენის სტიქიაში და ამით მიაღწევს იმას, რომ თავისუფლად ილაპარაკებს.

მართალია, ცუდად, შეცდომებით, ცოტა არ იყოს ენადაბმით, მაგრამ შემსწავლელი უკვე მესამე დღეს იწყებს ლაპარაკს უცხო ენაზე. სამ კვირაში ისე შეისწავლის ენას, ჩვეულებრივ სამ თვეს, ან ტრადიციული შესწავლისას, უფრო დიდხანს რომ უნდებიან ხოლმე.

ლინგვისტები ახლა ამტკიცებენ: თუ გინდათ იკითხოთ წიგნები, ისწავლეთ იმ ენაში ყველაზე ხშირად ხმარებული ორი ათას ხუთასი სიტყვა და მისი გრამატიკა. ამ სიტყვების სიას სიხშირულ გრამატიკაში იპოვით.

ყოველივე ზემოთქმული ერთ რამეში გვარწმუნებს: უცხო ენის შესწავლისადმი გონიერი მიდგომით ყველას შეუძლია პოლიგლოტად იქცეს, დაწყებაა მხოლოდ ძნელი, მესამე ენას რომ შეისწავლით, წყალივით წავა საქმეო, ამბობენ ამ საქმის მცოდნენი. და კიდევ, მუდამ გახსოვდეთ ფრანგული ანდაზა: „თუ გინდა მჭედელი გახდე, უნდა ჭედო“.

თარგმნა ზ. ლეშკაშელმა.




ვულკანის მოქმედება მუდამ იწვევდა ადამიანის უსაზღვრო შიშს, გრიგალის, წყალდიდობის, მიწისძვრის მსგავსად იგი ბუნების მრისხანე ძალებს მიეკუთვნება. ვულკანის ამოფრქვევის შედეგად ინგრევა და ნადგურდება აყვავებული ქალაქები, იღუპება აუარებელი ადამიანი.

ძნელი სათქმელია ბუნების მრისხანე მოვლენებიდან რომელია ყველაზე საშიში და დამღუპველი, მაგრამ ადამიანი მუდამ რაღაც ზებუნებრივ შიშს განიცდის მიწისძვრებისა და ვულკანების ამოფრქვევის წინაშე. ალბათ იმიტომ, რომ არც ადამიანის გონებას და არც თვით მაღალგანვითარებულ ტექნიკას არ ძალუძს წინ აღუდგეს მათ, მაშინ, როდესაც ადამიანს შეუძლია გარკვეული ზომები მიიღოს წყალდიდობის ან ნებისმიერი გრიგალის წინააღმდეგ და შედარებით მოკლე დროში აღადგინოს კიდეც მათ მიერ მიყენებული ზარალი.

ახლა მოგითხრობთ ვულკანისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

არამდგრადობა და მოძრაობა წყლის მუდმივი დამახასიათებელი თვისებაა. და თუმცა ძლიერი ზვირთცემა, ზღვის ღელვა საკმაოდ საშინელი და შიშისმგვრელია, იგი არავის არ აკვირვებს. უფრო საშინელი და შიშისმომგვრელია დედამიწის ზედაპირი მიწისძვრის დროს, რადგან თუ ადამიანისათვის ზღვა (წყალი) მუდამ მოძრაობის სიმბოლო იყო, ხმელეთი მას მუდამ მყარ და უძრავ ფაქტორად მიაჩნდა (საერთოდ მიწა ყველაზე მყარი ფაქტორია ბუნებაში).

დედამიწის ქერქისათვის დამახასიათებელია, როგორც ვერტიკა-

ლური, ისე ჰორიზონტალური რყევა, რაც ხშირად გამოწვეულია ვულკანების მოქმედებით.

ძველ რომაელთა წარმოდგენით ვულკანი იყო ცეცხლისა და მჭედლობის ღვთაება, რომელიც ცხოვრობდა და მუშაობდა მიწის ქვეშ, ჰქონდა უზარმაზარი სამჭედლო, საიდანაც დროდადრო დედამიწის ზედაპირზე ცეცხლის ალი და კვამლი ამოდიოდა. იტალიის სანაპიროსთან არის პატარა კუნძული, რომელსაც ამ ღმერთის სახელი — ვულკანი ეწოდება, რადგან აქ არის მოქმედი ვულკანი. შემდეგ ყველა ცეცხლმფრქვეველ მთას ვულკანი შეარქვეს.

არსებობს ორი სახის ვულკანი — ჩამქრალი და მოქმედი. დედამიწაზე ორიათასზე მეტი ვულკანია, მათ შორის ხუთასამდე — მოქმედი და მბოლავი. დედამიწის ზედაპირზე არსებობს ეგრეთწოდებული სეისმური ზონები, რომელთათვის დამახასიათებელია მუდმივი მიწისძვრები და ვულკანური მოქმედებანი. ასეთი ზონებია: წყნარი ოკეანის ორივე სანაპირო, ფართო ზოლი კარპატის მთებიდან და ყირიმიდან მოყიდებული შუა აზიამდე, აპენინის ნახევარკუნძული, გარდა ამისა — ცალკეული რაიონები ევროპასა და ოკეანიაში. ვულკანების განლაგებას და მათი მოქმედების თავისებურებებს შეისწავლის სპეციალური მეცნიერული დისციპლინა — ვულკანოლოგია. საბჭოთა კავშირში არსებობს სპეციალური ვულკანოლოგიური სადგურები, რომლებიც დაკვირვებებს ახდენენ ვულკანის მოქმედებაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დედამიწაზე ხუთასამდე მოქმედი ვულკანია. მათ შორის საბჭოთა კავშირში ყველაზე ცნობილია კლუჩევსკაია სოპკა, კრონოცსკაია სოპკა და სხვა ვულკანები კამჩატკის ნახევარკუნძულზე; ევროპაში — ვეზუვი, ეტნა, ჰეკლა; ჰავაის კუნძულებზე — მაუნა კეა, მაუნა ლოა, კილაუეა; ცენტრალურ ამერიკაში — მონ-პელე; აზიაში — კრაკატაუ; იაპონიაში—ფუძიამა, და ბევრი სხვა.

დავახასიათოთ რამდენიმე პოპულარული ვულკანი.

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ვულკანად ითვლება ვეზუვი იტალიაში, ქალაქ ნეაპოლის მახლობლად. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ვეზუვის დიდი ამოფრქვევა მომხდარა, ამაზე ცნობებს გვაწვდიან რომაელი მწერლები პლინიუს უმცროსი, (რომელიც უშუალოდ ესწრებოდა ვეზუვის ამოფრქვევას) და ტაციტუსი. ამოფრქვევა თურმე 79 წლის 24 აგვისტოს დაიწყო, დაიღუპა დიდძალი ხალხი, პირისაგან მიწისა აღიგავა სამი მოზრდილი ქალაქი — პომპეი, სტაბია, ჰერკულანუმი. XVII საუკუნის დამდეგს ერთი გლეხი ვეზუვის მახლობლად ჭას თხრიდა და შემთხვევით ქვის რამდენიმე განლაგება და ბრინჯაოს ჭურჭელი იპოვა. შემდეგ აქ მეცნიერებმს გათხრები დაიწყეს და გაცივებული ლავის ქვეშ აღმოაჩინეს მთელი ქალაქი — თავისი შენობებით, ქუჩებით, მოედნებით, ადამიანთა გაქვავებული ფიგურებით.

წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში, ჰავაის კუნძულებზე გვხვდება ეგრეთ წოდებული ჰავაის ტიპის ვულკანები. აქაური ვულკანები მთები კი არ არის, უზარმაზარი ტაფობია, სადაც მუდმივად თუხთუხებს და დროდადრო, როგორც თეფშიდან წყალი, ისე გადმოიღვრება ხოლმე გავარვარებული ლავა.

მსოფლიოს მოქმედ ვულკანთა შორის „ცუდი“ სახელი აქვს მოპოვებული ცენტრალური ამერიკის კუნძულ მარტინიკაზე მდებარე მონპელეს ვულკანს. 1902 წელს მომხდარა ამ ვულკანის გრანდიოზული ამოფრქვევა. რამდენიმე წუთში გავარვარებულ ლავას დაუფარავს და დაუნგრევია ქალაქი სენ-პიერი, რომლის მოსახლეობა ოცდაათიათას კაცს შეადგენდა. ქალაქის მცხოვრებთაგან შემთხვევით გადარჩენილა ერთი კაცი, რომელიც იმ დროს ციხეში იყო დამწყვდეული, ციხე კი მაღალ ადგილას იდგა და ლავამ იქამდე ვერ მიაღწია. ამოფრქვევის დროს ყველა ჭაში დაკარგულა წყალი, მდინარეები კალაპოტიდან გადმოსულა და შენობები და ხიდები წაულეკავს, დაახლოებით 60 კვ. კმ. ფართობი მთლიანად დაუფარავს ლავის სქელ ფენას და ვულკანურ ფერფლს.

მართალია, ვეზუვისა და მონ-პელეს ვულკანების ამოფრქვევა კატასტროფული იყო, მაგრამ ისეთი ძლიერი ამოფრქვევა, როგორიც ინდონეზიაში მოხდა 1883 წელს, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არ ახსოვს კაცობრიობას.

წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში კუნძულებს სუმატრასა და იავასთან ახლოს მდებარეობს ვულკანი კრაკატაუ. XX საუკუნეში კრაკატაუმ იმდენი ლავა ამოაფრქვია, რომ პატარა კუნძულის ფართობი თითქმის სამჯერ გაიზარდა. რაც შეეხება 1883 წლის 26 აგვისტოს ზემოთ მოხსენებულ ამოფრქვევას, ამ დროს ახლომდებარე კუნძულ საბუზის მთელი მოსახლეობა დაიღუპა და ვულკანის გარშემო 25 კმ. რადიუსით ყოველგვარი ცოცხალი არსება მოისპო. ვულკანიდან 230 კმ მანძილზეც კი, ქალაქ ბატავიაში (ამჟამად ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა) თურმე დაიმსხვრა ფანჯრის მინები და გაირღვა შენობათა კედლები; ხოლო როდესაც ვულკანის მთა ადგილიდან მოწყდა და ზღვაში ჩაეშვა, თურმე ისეთი ძლიერი ღელვა ატყდა, რომ უზარმაზარი ტალღები აიშალა ყველა ოკეანეში და ჰაერის ძლიერმა ტალღამ სამჯერ შემოუარა დედამიწას, ვულკანის ფერფლი კი რამდენიმე დღის განმავლობაში ტრიალებდა ჰაერში.

ბევრი რამის თქმა შეიძლება ვულკანების შესახებ, აი, თუნდაც ის, რომ ვულკანი ფუძიამა იაპონიაში სამლოცველო ადგილია — იაპონელთა წარმოდგენით ამ მთის წვერზე ზის მათი უზენაესი ქალღმერთი. ამჟამად ფუძიამის გარშემო მდებარე ტერიტორია ნაკრძალად არის გამოცხადებული და დიდძალ ადგილობრივ მლოცველებს და უცხოელ ტურისტებს იზიდავს.

კიდევ ერთი მაგალითი: ევროპაში ცნობილი ვულკანებიდან (ვეზუვი იტალიაში, ჰეკლა ისლანდიაში, ეტნა კუნძულ სიცილიაზე) მუდმივმოქმედი ვულკანი ეტნა ნახა და აღწერა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და მოგზაურმა სულხან-საბა ორბელიანმა.

ადამიანმა უკვე ისწავლა მიწისძვრების და თვით ვულკანის ამოფრქვევათა თავისებურებანი და უკვე შეუძლია წინასწარ მიიღოს გამაფრთხილებელი ზომები მათ წინააღმდეგ, ბუნების ამ მრისხანე მოვლენას თურმე ზოგიერთი სარგებლობაც მოაქვს ადამიანისათვის. ვულკანების მოქმედებასთან არის დაკავშირებული ცხელი წყაროების — ჰეიზერების გაჩენა, რომლებსაც წარმატებით იყენებენ საყოფაცხოვრებო პირობებისათვის — გათბობა, კომუნალური მეურნეობა, სათბურები და სხვ. ჰეიზერების ნამდვილი სამეფოა კამჩატკის ნახევარკუნძული. გარდა ამისა ჩამქრალი ვულკანების ადგილზე ხშირად გამოდის მინერალური წყაროები და აქ კურორტებს აშენებენ (ასეა, მაგალითად ჩრდილო კავკასიაში). ვულკანების მოქმედების შესწავლა ადამიანს ეხმარება მიაგნოს წიაღისეულ სიმდიდრეებს; ვულკანის მავნე მომწამვლელი გაზების გადამუშავებით მას შეუძლია მიიღოს ძვირფასი ქიმიური პროდუქტები, მათ შორის ბორის მჟავა, ნიშადური და სხვ. ვულკანებთან არის დაკავშირებული გოგირდის მოპოვება. გაციებული ლავა თურმე შესანიშნავი საშენი მასალაა. ამის საუკეთესო მაგალითია სომხეთის მთიანეთი, რომელიც ცნობილია ტუფის, პემზის და ბაზალტის საბადოებით. ზოგიერთ ქვეყანაში ვულკანის ფერფლს წარმატებით იყენებენ მიწების განაყოფიერებლად, ეს ბუნებრივი სასუქი, როგორც ირკვევა, არ ჩამოუვარდება დღემდე ცნობილ არც ერთ სასუქს.

დასასრულ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვულკანის ორთქლს. დღეისათვის ვულკანის გეოჰიდროთერმულ ენერგიას მთელ რიგ ქვეყნებში წარმატებით იყენებენ ელექტროსადგურებისათვის. ასეა, მაგალითად, იტალიაში, ახალ ზელანდიაში, იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩვენში, კამჩატკის ნახევარკუნძულზე — მდინარე პაუჟეტკას ხეობაში 1969 წლიდან მუშაობს მცირე სიმძლავრის გეოჰიდროთერმული ელექტროსადგური; მომავალში ატომურ ენერგიასთან ერთად ადამიანის სამსახურში ჩადგება იაფი და თითქმის „მუდმივი“ ენერგიები, — ზღვის მიმოქცევისა და ჰიდროთერმული, რომელთა მარაგი პრაქტიკულად განუსაზღვრელია.

ვულკანების ნამდვილი სამეფოა კამჩატკის ნახევარკუნძული, სადაც 129, მათ შორის 20 მუდმივმოქმედი ვულკანია. კამჩატკის ნახევარკუნძულზე მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე მაღალი ვულკანური მთა კლუჩევსკაია სოპკა.

გრ. ზარდალიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშობლიური გრძნობა და შთამომავლობის აღზრდა ცხოველებში

აფრიკაში, სერენგეტის ნაკრძალში, აქაური ბუნების თავგამოდებული მცველების ბერნად და მიხაელ გრჟიმეკების თვალწინ საინტერესო სცენა გათამაშდა. ანტილოპა გნუს საკმაოდ დიდი ჯოგის შუაგულში აქეთ-იქით აწყდებოდა ფრთებშემართული ქოჩორა ჩიბისი. ცოტაც და ფრინველი სულ დაიკარგა ცხოველთა ჩლიქებისაგან ავარდნილ მტვრის კორიანტელში. ჯოგმა გრიგალივით ჩაიქროლა. როცა მტვერი დაიწმინდა, გამოირკვა, რომ ფრთებგაფოფრილი ჩიბისი ორ უმწეო ბარტყს გადაჰფარებოდა.

მშობლიური ინსტიქტი მაგიური ძალაა. ყველასათვის ცნობილია, როცა წიწილებს საფრთხე ემუქრება, კრუხი არ ეპუება ისეთ მძვინვარე მტაცებელ ფრინველს, როგორიც ქორია. მსგავსი მაგალითები ცხოველთა სამყაროში დაუთვლელია.

მშობლობა ცხოველთა ცხოვრების ის მომენტია, როცა მათ დაუფიქრებლად შეუძლიათ თავის გაწირვა საკუთარი შთამომავლობის საკეთილდღეოდ.

ცხოველთა თავგანწირვის მრავალრიცხოვანმა მაგალითებმა იმ დასკვნამდე მიიყვანა ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი აირა პროგოვი, რომ ცხოველთა ნამდვილი ინსტიქტი მდგომარეობს არა საკუთარი თავის გადარჩენაში, არამედ თავისი სახეობის არსებობის შენარჩუნებაში. ჩვენი საუკუნის გამოჩენილი ზოოლოგი ერნსტ მაირი თვლის, რომ შთამომავლობაზე ზრუნვის ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოველთა ამა თუ იმ სახეობის შენარჩუნებისათვის.

გარემო ფაქტორების ზემოქმედებისაგან ცუდად დაცული ცხოველისათვის გაცილებით მომგებიანია მრავალრიცხოვანი შთამომავლობის შექმნა. ამ დროს ხშირი სიკვდილიანობის შემთხვევაშიც კი არ გადაშენდება სახეობა. მაგალითად, ზღვის უხერხემლო ცხოველებში მილიონებიდან მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ინდივიდი აღწევს ზრდასრულ მდგომარეობას, მაგრამ სამაგიეროდ ისინი ხშირად და ბევრჯერადად მრავლდებიან, ასეთები არიან, მაგალითად, ნიადაგში მცხოვრები უხერხემლო ცხოველები — ნემატოდები, რომლებიც გამრავლების უნარით გამოირჩევიან.

სრულიად განსხვავებულ სურათს ვხედავთ მაღალგანვითარებულ ცხოველებში. განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურზე დგას ცხოველი, რაც უფრო კარგად არის იგი შეგუებული გარემო ფიზიკურ ფაქტორებს, მით უფრო მცირერიცხოვანია მისი შთამომავლობა, მით უფრო იშვიათად მრავლდება ის, მაგალითად, მსხვილ ძუძუმწოვრებსა და ფრინველებს შთამომავლობა ერთ-ორ წელიწადში მხოლოდ ერთხელ უჩნდებათ. ამავე დროს შთამომავალი სქესობრივ სიმწიფეს ხუთი-ათი წლის შემდეგ აღწევს.

შთამომავლობის შენარჩუნების საოცრად მრავალფეროვან ხერხებს ვხვდებით მთელი რიგი ცხოველების წარმომადგენლებში.

ორსაგდულიანი მოლუსკები მაღალგანვითარებულ ცხოველთა რიცხვს არ მიეკუთვნებიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი ერთ-ერთი სახეობა შესანიშნავად ახერხებს შთამომავლობის დაცვას. ისინი წყალსაცავის ფსკერზე გაკეთებულ ორმოებში ცხოვრობენ. ივნისის დასაწყისში დედლის მანტიაში წარმოიქმნება კვერცხები. კიდევ ცოტა ხანიც და კვერცხები ცხოველის ლაყუჩებში მოექცევა. ეს კი მიახვედრებს მას, რომ დროა საბუდარი მიატოვოს და სუფთა წყალში გადაინაცვლოს. სინქრონულად ასევე იქცევა მამალიც, წყალში მამალი მოლუსკი გადმოაფრქვევს სპერმის ღრუბელს, რომელსაც სასუნთქ-საყლაპავი აპარატის მეშვეობით შთანთქავს მოპირდაპირე სქესის წარმომადგენელი. ასეთი მარტივი გზით ხდება . განაყოფიერება.

რამდენიმე კვირის შემდეგ ჩანასახები პაწაწკინტელა მოლუსკებად იქცევიან. ორგანოები მათ ჯერ კიდევ განუვითარებელი აქვთ, მაგრამ თვითონ უკვე საკმაოდ დიდები არიან და დედის ლაყუჩებში ვეღარ ეტევიან. მეორეს მხრივ კი ჯერ ისევ სუსტები, უსუსურები არიან და მშობლებისგან დახმარება — კვება და დაცვა სჭირდებათ. ეს საკმაოდ თავისებური ფორმით ხდება: აი, დედალ მოლუსკთან მიცურდება პატარა თევზი, რომელიც თავის მხრივ ასევე შთამომავლობის მოლოდინშია, და ეს ორი სრულიად განსხვავებული არსება საოცრად საჭირო გახდა ერთმანეთისათვის. მოლუსკმა ლაყუჩები გააღო და იქიდან ქვიშასავით გადმოიფანტნენ პატარა მოლუსკები. როგორც კი ეს პაწაწკინტელა არსებები თევზს მიუახ-



დედამ გემრიელი საჭმელი მოიტანა

ლოვდნენ, მაშინვე თავიანთი ნიჟარების მახვილი წვეროები ჩაარჭვეს და ახალი დედილოს სხეულის შემადგენელ ნაწილად გადაიქცნენ. მალე თევზს ჭრილობები დაუსივდა და წარმოქმნილმა ბუშტუკებმა მთლიანად შთანთქეს პაწაწა მოლუსკები. დღეიდან ეს ბუშტუკები არა მარტო თავშესაფარი, არამედ კვების შესანიშნავი წყაროც გახდება შვილობილებისათვის, რომლებიც იქამდე არ გამოვლენ ამ თავშესაფრიდან, ვიდრე თვითონ არ შეეძლებათ გახეთქონ ბუშტუკების გარსი. ამის შემდეგ კი უკვე დამოუკიდებელი ცხოვრების უნარის მქონე, ზრდასრული მოლუსკები კენჭებივით ჩაცვივდებიან წყალსაცავის ფსკერზე.

ამგვარად, თევზი ერთი თვის განმავლობაში ზრდის უცხო გვარის შთამომავლობას.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს პატარა თევზი მოლუსკების მსხვერპლი შეიქნა, მაგრამ სინამდვილეში მთელი ეს ხანმოკლე დრამა ურთიერთდახმარების პრინციპზეა აგებული. სანამ პაწაწინა მოლუსკები თევზის სხეულზე მაგრდებოდნენ, ამ უკანასკნელმა თავის მხრივ ქვირითი დაჰყარა მოლუსკის სხეულში. ამიერიდან საკუთარი შთამომავლობისაგან განთავისუფლებული მოლუსკის ლაყუჩებში თავშესაფარს ჰპოვებენ და გაიზრდებიან თევზის ლიფსიტები.

ასე განსაცვიფრებლად ცვლიან სულ სხვადასხვა ცხოველები — მოლუსკები და თევზები თავიანთ შთამომავლობას და თავიანთი სხეულით ზრდიან უცხო ტომის თაობებს.

საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება — თევზის ქვირითი ნაყოფიერდება მას შემდეგ, რაც იგი მოლუსკის ლაყუჩებში დაიდებს ბინას. გამანაყოფიერებელი — მამალი კი იქვე ტრიალებს. ინსტიქტი ზუსტად კარნახობს მას, თუ როდის და რა როლი უნდა შეასრულოს შთამომავლობის შექმნის ამ საოცრად დახლართულ მექანიზმში.

საოცრად ერთგული მშობლები არიან ორაგულები. ეს თევზები ზღვებს, ოკეანეებს გადაივლიან, ხშირად რამდენიმე ათას კილომეტრს გადალახავენ და იმ მდინარეს მიაღწევენ, სადაც ოდესღაც თვითონ იხილეს დღის სინათლე. მოგზაურობით დაქანცულები ფარფლებითა და ბოლოთი მაშინვე იწყებენ მდინარის ფსკერზე ღრმულების გაკეთებას, სადაც დედალი ქვირითს ყრის, ხოლო მამალი დაუყოვნებლივ გაანაყოფიერებს მას. ამ პროცესის შემდეგ ორივე მშობელი ქვირითს თავიანთსავე ამოთხრილ გრუნტს მიაფარებს. აქ, ჰაერით მდიდარ და მტრის თვალთაგან კარგად დაცულ ადგილას, ქვირითისაგან ახალი თაობა იჩეკება.

ქვირითობის შემდეგ ორაგულებს უცნაური რამ ემართებათ: ისინი მოულოდნელად კარგავენ ინტერესს სიცოცხლისადმი — ცოტას ჭამენ, შემდეგ საერთოდ ანებებენ თავს საკვებს, აღარ ცელქობენ და სიცოცხლის ხუთი-ექვსი წლის თავზე იხოცებიან. რა სტიმულები ამოძრავებთ ორაგულებს, როცა გვარის გაგრძელების საკეთილდღეოდ თავს სწირავენ, მეცნიერებისათვის უცნობია.

წყალში მცხოვრებ ცხოველთა ცხოვრების ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში ჩვენ ვხვდებით სახეობის შენარჩუნების არანათელ და, რა თქმა უნდა, შეუგნებელ იმპულსებს. ეს ცხოველები ცდილობენ მოძებნონ საუკეთესო ადგილი შთამომავლობის გასაზრდელად, ანდა საგულდაგულოდ ბუდეებიც კი გააკეთონ.

არნოლდ ბეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

დასასრული შემდეგ ნომერში.

## საძიებელი

შამფრიანი ს. — საახალწლო (ლექსი) . . . . . . . . 1
სიდოროვსკაი ლ. — ტბასთან (მოგონება, თარგმანი ს. ბეჩოელისა) . . . . . . . . . . 2
მეტრეველი თ. — ყრილობის დელეგატი (ნარკვევი) . . . 5
აფხაზავა ნ. — შენც, ბრუტოს?! (ფანტასტიკური მოთხრობა) 7
აისი . . . . . . . . . . . . 12
ჩაჩანიძე რ. — ფერეიდანი (ნარკვევი) . . . . . . . . 14
ზნეობის ამბანი — შრომისმოყვარეობა — შრომის სიყვარული, ჩვევა, მუშაობაში მონდომება . . . . . . 20
უტიაშვილი მ. — უნდა ინათო! უსათაურო (ლექსები) . 22 გვ.
პეკელისი ვ. — როგორ გავხდეთ პოლიგლოტი (წერილი, თარგმანი ზ. ლეშკაშელისა) . . . . . . . . . 22
ვიდორი მიკლოშ — მეფის მასხარა კოკორჩინი (ზღაპარი, უნგრულიდან თარგმნა ლ. მაისურაძემ) . . . . . . 24
ფაილოძე ნ. — ხაზზეა ქუთაისის პიონერთა საქალაქო შტაბი „კოცონი“ (წერილი) . . . . . . . . . . 26
საინტერესო სიახლენი . . . 27
ზარდალიშვილი გ. — ადამიანი და ვულკანი. (წერილი) . 29
ბეგეჭკორი არნ. — მშობლიური გრძნობა და შთამომავლობის აღზრდა ცხოველებში. (წერილი) . . . . . . . . . . 31
„ცხრაკლიტული“ — გარეკ. . . . 3

ბარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა დიმიტრი ზარაფიშვილისა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81
პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ». на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 24/XI-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/I-78 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 3502 ტირ. 150.660. უე 03014.

ფასი 20 კაპიკი

 © „პიონერი“, 1978 წ.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი

**შვეულად:** 1. გმირი ქალაქი; 2. პირის ნაცვალსახელი; 3. ბურჟუაზიულ ქვეყნებში პირი, რომელიც მართავს კერძო თეატრალურ წარმოდგენებს; 4. მოლურჯო ფერის ძვირფასი ქვა; 5. მგზნებარე ქართველი რევოლუციონერი; 6. ყვავილი; 7. ჩვენებითი ნაცვალსახელი; 9. ზე ალსახედი; 9. ზღვის გადაშენებული ქვეწარმავალი; 10. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა; 11. შორისდებული; 12. გულის ექიმი; 13. თანამდებობის პირი, რომელიც ზედამხედველობასა და კონტროლს უწევს ამათუიმ დაწესებულებას; 15. სამშენებლო მასალა; 17. გარიჟრაჟი; 18. შერეული შემადგენლობის ორკესტრი, რომელშიც ჭარბობს ჩასაბერი და სარტყმელი საკრავები.

**თარაზულად:** მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი; 3. პირველი რევოლუციური გაზეთი; 5. კაცის სახელი; 8. სამუშაო იარაღი; 10. მუსიკალური ნაწარმოები ერთი მომღერლისათვის; 12. რადიოაქტივობის საზომი ერთეული; 14. ჭრილობა; 16. დიდი შეჯიბრება იალქნიანი გემებით; 19. მომწამვლელი ნივთიერება; 20. ჟანგბადის სახეშეცვლილი გაზი; 21. მუშაობის ან ენერგიის საზომი ერთეული; 22. ქეჩის კარავი.

ლელა სალლიანი,

მესტიის სკოლა-ინტერნატი, V კლასი.





### შ ა რ ა დ ა

თუკი მარცვალგამოცლილი
პარკის სახელს იტყვი,
შესაკვეცი მარტო ბოლო
ხმოვანია სიტყვის.
მეორე კი ზამთრის პირას
მწვანე ქათიბს იხდის,
თუმცა ზოგი ინარჩუნებს,
ალბათ უკვე მიხვდი.
მიუმატებ მათ მეექვსე
მუსიკალურ ბგერას,
ტკბილია და ნუგბარია,
გეყვარება, მჭერა.

შ. ამირანაშვილი.

### გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ციბრუტივით ვტრიალებ და
ფიფქი მხურავს თავზე.
შემდეგ ფიფქი დადნება და
მომეხვევა ტანზე.

გ. ლეჟავა.

რკინის კრუხი წიწილებს
ხმით და არა უხმოდ
ზოგჯერ გარეთ ეძახის,
ზოგჯერ შიგნით უხმობს.

გ. შეთეკაური.

### ითამაშეთ ჩვენთან ერთად

ბავშვებო, გთავაზობთ თქვენი ბულგარელი თანატოლების ერთ-ერთ საყვარელ თამაშს. მას ფრენბურთის მოედანზე თამაშობენ, ოღონდ ბადის გარეშე. მონაწილეობს ორი გუნდი, თითოეულში 10-15 კაცია.

გუნდები თავ-თავის ნახევარზე დგანან და თითო მოთამაშეს მოწინაალმდეგის მოედანზე აგზავნიან, იგი მთელი თამაშის განმავლობაში იქ იმყოფება.

ერთ-ერთი გუნდის მოთამაშე ბურთს ისე ისვრის მეორე მხარეზე, რომ რომელიმე მოწინააღმდეგეს მოახვედროს. ვისაც ბურთი მოხვდება, იგი თამაშს ეთიშება, მაგრამ თუ დაჭერა შეძლო, უფლება ეძლევა ახლა მან ესროლოს ბურთი მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეს. გუნდები რიგ-რიგობით ისვრიან ბურთს და „დაჭერილი" მოთამაშეები თანდათანობით სტოვებენ მოედანს. რას აკეთებს ამ დროს „მტრის ტერიტორიაზე შეგზავნილი" მოთამაშე?

თუ ბურთი არავის არ შეეხო და უბრალოდ გაგორდა, იღებს მას და თავის გუნდს აწვდის.

### ავტომანქანა კიბეზე

კიბეზე დგას ავტომანქანა. კიბის საფეხურები ჰორიზონტალურია, რა მოუვა ავტომანქანას თუ მუხრუჭებს მოვუშვებთ და გადაბმულობას გამოვთიშავთ?



ნახატი ხუმრობები ალექსი ოქროპირიძისა.





ბერიკაობა.

თემურ გოგაშვილი, გურჯაანის რაიონის შაშიანის საშუალო სკოლა.



ძველი თბილისი.

გოჩა პაპიაშვილი, თბილისის მე-8 საშუალო სკოლა, VII კლასი.

ИНДЕКС 76157